# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 9 დეკემბერი 1999 №236 (1009) | ფასი 50 თეთრი

3

## საქართველო? წარმოდგენა არა მაქვს!

უნგრელთა მწვრთნელი ბერტალან ბიჩკეი საქართველოს ნაკრებს სათვალავშიც არ აგდებს

7

## უღელი რონალდოს კისერზე



ბრაზილიელმა ვარსკვლავმა პარიზის კლინიკაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა

12

## ვითარება კატასტრო-ფულია!



საუკუნის ბოლოს ქართული ხელბურთი შეიძლება მოგონებად გვექცეს



REUTERS

ბარსელონა — სპარტა 5:0. ძნელი მისახვედრი არ არის, რას განიცდის კატალონიელთაგან შერცხვენილი ჩეხთა მეკარე ტომაშ პოსტულკა

# ელოდეთ გაზაფხულს და ჩემპიონებს

გუშინდელი მატჩებით ჩემპიონთა ლიგის საშემოდგომო ეტაპი დასრულდა და თასის მაძიებელთ ზამთრის არდადეგები დაეწყოთ. ახლა ისინი ეროვნულ პირველობებს მიხედავენ, ბრძოლას კი გაისად, გაზაფხულზე განაახლებენ. ნუხანდელი შეხვედრების მიმოხილვა იხილეთ მეორე გვერდზე

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## მეორე ეტაპი II ტური

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| ბარსელონა | 5 |
| სპარტა | 0 |
| პორტუ | 1 |
| ჰერტა | 0 |
| **B ჯგუფი** | |
| მანჩესტერი | 3 |
| ვალენსია | 0 |
| ბორდო | 0 |
| ფიორენტინა | 0 |
| **C ჯგუფი** | |
| ბაიერნი | 2 |
| დინამო | 1 |
| რეალი | 3 |
| რუსენბორგი | 1 |
| **D ჯგუფი** | |
| ლაციო | 0 |
| ჩელსი | 0 |
| ფეიენოორდი | 3 |
| მარსელი | 0 |



REUTERS

მანჩესტერი — ვალენსია 3:0. გუშინ როი კინის დღე იყო: დილას „იუნაიტედთან“ კონტრაქტი ოთხი წლით განაახლა, საღამოს ესპანელებს გოლი გაუტანა

CHAMPIONS LEAGUE

# დილით ფული, საღამოს გოლი

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი. მეორე ტური



პორტუ — ჰერტა 1:0. გერმანელმა ანდრეას ნოიენდორფმა პაულინიუ სანტუშთან (№20) და კარლოს სეკრეტარიუსთან უთანაბრო ბრძოლა წააგო

თამაშის დამთავრებამდე თორმეტი წუთით ადრე იუგოსლაველი ლიუბინკო დრულოვიჩის გატანილმა ბურთმა „პორტუს" გერმანულ „ჰერტასთან" 1:0 მოაგებინა და საშობაოდ თავის ქომაგებს გუნება-განწყობილება კიდევ უფრო გაუხალისა. ახლა „პორტუ" მადრიდის „რეალთან" ერთად იმ ორეულს შეადგენს, რომელთაც მეორე ტურის შემდეგ ლიგაში ქულა არ დაუკარგავთ.

დრულოვიჩის გოლი მის ინდივიდუალურ გარღვევას მოჰყვა. იუგოსლაველმა თხუთმეტიოდე მეტრი გაირბინა, მეკარე კირალისთან პირისპირ გავიდა და ბურთი ტექნიკურად შეუცურა ბადეში. დამთავრებას წუთი უკლდა, როცა მსაჯმა მინდვრიდან მასპინძელი პაულინიუ სანტუში გააძევა. ამან „ჰერტა" გამოაფხიზლა და შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო მეგოლეს, მიხაელ პრეეცს გათანაბრების ჩინებული შანსიც მიეცა, მაგრამ მისი თავური ოდნავ უზუსტო გამოდგა. ესეც მატჩში გერმანელების ყველაზე რეალური მომენტი.

თავისი გოლი შეაგდო პორტუელთა ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმაც, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა. არადა, ტელეგამეორებაზე კარგად გამოჩნდა, ჟარდელის გოლი ნაღდი იყო.

ამავე A ჯგუფში „ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" ჩეხური „სპარტა" 5:0 გაანადგურა. ორ-ორი გოლი პატრიკ კლუივერტმა და ლუის ენრიკე მარტინესმა გაიტანეს. ერთიც პეპ გვარდიოლამ დააყოლა. ამგვარად, წლევანდელი ლიგის ოთხ საშინაო მატჩში „ბარსას" 15 გატანილი ბურთი მოუგროვდა. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ჩეხები კი 38-ე წუთიდან ათნი ებრძოდნენ მრისხანე კატალონიელებს. მათ ნახევარმცველი მარტინ ჰაშეკი გაუძევეს.

B ჯგუფში დიდებულად ითამაშა ჩემპიონთა თასის მფლობელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა". ნაწვიმარ „ოლდ ტრეფორდზე" ესპანურ „ვალენსიას" 3:0 მოუგო.

პირველი ბურთი, საჯარიმოს გარედან ეფექტური დარტყმით „ალისფერთა" ირლანდიელმა კაპიტანმა როი კინმა გაიტანა და ამით თავისი მანჩესტერში დარჩენა აღნიშნა. საქმე ისაა, რომ გუშინ დილით ბოლო მოეღო ზაფხულიდან მოყოლებულ ყბადაღებულ ვარაუდებს კინის გუნდში დარჩენა-არდარჩენის შესახებ. კინმა კლუბთან ახალი, ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ოლდტრეფორდელი ქომაგებიც ერთობ გაახარა.

„მანჩესტერმა" კიდევ ორჯერ გაუტანა მოწინააღმდეგეს და ორივე დევიდ ბექემის ჩაწოდებების ნაყოფი გახლდათ. ალექს ფერგიუსონმა დანაპირები შეასრულა და თავდასხმაში ენდი კოულს ოლე გუნარ სოლსკიაერი შეუწყვილა. სხვაგვარად, ალბათ არც შეიძლებოდა, ნორვეგიელი ხომ გასულ შაბათს, „ევერტონთან" პრემიერლიგის მატჩში ოთხჯერ გამოირჩა. სოლსკიაერმა ამჯერადაც იყოჩაღა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბექემის მარჯვნიდან ჩაწოდებულს მეტოქე მცველებზე ადრე გამოეხმაურა და ანგარიში ორამდე გაზარდა. 69-ე წუთზე კი „ალისფერებმა" კლასიკური და ულამაზესი მესამე გოლი შეაგდეს. ბექემის საჯარიმოში დაკიდებულ ბურთს პოლ სქოულზის თავურმა რაღაც ფანტასტიკური ტრაექტორია შემოახაზინა და კარის ბადეში ჩაუშვა.

ბორდოში, „ჟირონდა" და „ფიორენტინა" უგოლოდ გაიყარნენ. იტალიელებს დისკვალიფიცირებული კაპიტანი გაბრიელ ბატისტუტა არ ჰყავდათ. ფრანგთაგან თავის გამოჩენა ლილიან ლასლანდსა და სილვენ ვილტორდს შეეძლოთ, მაგრამ ფლორენციელთა კარის დარაჯმა ფარნჩესკო ტოლდომ იყოჩაღა. მას არც ბორდოელი კოლეგა ულრიხ რამე ჩამორჩა და ენრიკო კიეზას ხელსაყრელი ადგილიდან არ გაატანინა. 0:0, რომელმაც „ფიორენტინა" გაზაფხულამდე ჯგუფის ლიდერად დატოვა.

### A ჯგუფი

**ბარსელონა 5:0 სპარტა**

1:0 კლუივერტი (44), 2:0 ლუის ენრიკე (45), 3:0 გვარდიოლა (59), 4:0 კლუივერტი (63), 5:0 ლუის ენრიკე (76)

ბარსელონა: არნაუ, რაიციგერი (ხავი 83), დეუ, ფ. დე ბური, ზენდენი, ლუის ენრიკე (რ. დე ბური 77), გვარდიოლა, კოკუ, ფიგუ (სიმაო 77), კლუივერტი, რივალდო

სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ნოვოტნი, ფუკალი, ჰაშეკი, ჰორნაკი, სვობოდა (ბოლფი 17), ბარანეკი, როსიკი, ლოკვენცი, სიონკო (იაროშიკი 68)

გაძევება: ჰაშეკი (38)

მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

**პორტუ 1:0 ჰერტა**

1:0 დრულოვიჩი (78)

პორტუ: ვიტორ ბაია (ილარიუ 74), სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა, ალოიზიო ალვეში, ესკერდინია, პაულინიუ სანტუში, ჩაინიო, დეკო სოუზა, ნუნო კაპუჩო, რუბენს ჟუნიორი (დრულოვიჩი 55), ჟარდელი

ჰერტა: კირალი, ა. ჰერცოგი, ვან ბურიკი, სვერისონი, რემერი (ჰარტმანი 46), კონსტანტინიდისი (დაეი 81), შმიდტი, ვოში, ნოიენდორფი (ტომი 64), მიხალკე, პრეეცი

გაძევება: პაულინიუ სანტუში (89)

მსაჯი: რ. ვოიჩიკი (პოლონეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| ჰერტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

*III ტური. 1 მარტი, 2000 წელი. ბარსელონა — პორტუ, ჰერტა — სპარტა*

### B ჯგუფი

**მანჩესტერი 3:0 ვალენსია**

1:0 კინი (38), 2:0 სოლსკიაერი (47), 3:0 სქოულზი (69)

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, ფ. ნევილი, ირვინი, ბექემი, კინი, სქოულზი (ბათი 72), გიგზი, კოული (იორკი 72), სოლსკიაერი

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, ჯუკიჩი, მენდიეტა, კარბონი, ფარინოსი, მილია, ანგლომა, ოსკარ გარსია (ხუან სანჩესი 69), კლაუდიო ლოპესი (ვლაოვიჩი 85)

მსაჯი: კ. მილტონ ნილსენი (დანია)

**ბორდო 0:0 ფიორენტინა**

ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ალიკარტე, მარტენსი (რუვიე 85), პავონი, დიაბატე, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი

ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, ფირიკანო, პიერინი, ტორიჩელი, დი ლივიო, კ. ამორუზო (როსიტო 70), რუი კოშტა, ჰაინრიხი, კიეზა (ბრესანი 71), ბალბო

მსაჯი: კ. ნილსონი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ბორდო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

*III ტური. 1 მარტი, 2000 წელი. მანჩესტერი — ბორდო, ფიორენტინა — ვალენსია*



ბორდო — ფიორენტინა 0:0. ფრანგი კორენტინ მარტენსი (მარცხნივ) და იტალიელი ანჯელო დი ლივიო ფეხით კეჭნაობენ

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი
### საპასუხო მატჩები. 7 დეკემბერი

UEFA CUP

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვერდერი (გერმანია) 4:0 ლიონი (საფრანგეთი) (0:3)**

1:0 ბოდე (16), 2:0 ჰერცოგი (39პ), 3:0 ბაუმანი (54), 4:0 [illegible] (77)

ვერდერი: როხტი, ტიკუზუ, ფ. ბაუმანი, სესარი, ბოდე, [illegible], ჰერცოგი (ვიდნერი 89), ფრინგსი, პიზარო, აილტონი

ლიონი: კუპე, კარტერონი, ბაკი, ბრეშე (მალბრანკი 80), [illegible] (ფურა 61), ლინარესი, ვიოლე, დორასო, დელმოტი, ანდერსონი, ვერელი

მსაჯი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)

**დორტმუნდი (გერმანია) 2:0 (3:1პ.ჯ) რეინჯერსი (შოტლანდია) (0:2)**

1:0 იკპება (28), 2:0 ბობიჩი (90)

დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, ვიორნსი, ნიეგუსი, სტევიჩი (ტანკო 72), ნერლინგერი, რიკენი (ბარბარესი 82), ვ. ბუტი, ადო, ჰერლიხი (ბობიჩი 62), იკპება

რეინჯერსი: მირე, მური, ლ. ამორუზო, ადამჩუკი (კანჩელსკისი 90), ნუმანი, კ. რეინა, ბ. ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, ალბერცი (დიური 46), მაკკენი, უოლესი (ვიდმარი 90)

მსაჯი: ს. ოგიუზი (თურქეთი)

**იუვენტუსი (იტალია) 1:2 ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) (3:1)**

1:0 კოვაჩევიჩი (2), 1:1, 1:2 ჯორჯევიჩი (38, 82პ)

იუვენტუსი: რამპულა, ტუდორი, ფერარა, მირკოვიჩი, ბირინდელი, ოლისე, ტაკინარდი (პესოტო 46), ბაკინი (ძამბროტა 73), ესნაიდერი, დელ პიერო (მონტერო 62), კოვაჩევიჩი

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ამანატიდისი, პურსანიდისი, მავროგენიდისი, ანცასი, კოსტულასი, კარაპიალისი (ნინიადისი 62), პასალისი, პურსაიტიდისი, ჯორჯევიჩი, გოგიჩი (ალექსანდრისი 72)

მსაჯი: ფ. მარინი (ესპანეთი)



იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი 1:2. იტალიელმა ჯონათან ბაკინიმ (მარცხნივ) ბერძნებს ბურთი არ დაანება

სენსაციად შეიძლება მოინათლოს უეფას თასის გადმოტანილი, სამშაბათს ნათამაშევი სამი მატჩის შედეგი.

მთავარი მოულოდნელობა ბრემენულმა კლუბმა, „ვერდერმა" შემოგვთავაზა, რომელმაც საფრანგეთში „ლიონთან" 0:3 წაგებული პირველი მატჩის შემდეგ მოახერხა, მეტოქისთვის შინ 4 უპასუხო ბურთი გაეტანა და მერვედფინალში ასპარეზობის უფლება მოეპოვებინა. გერმანული გუნდის ძლევამოსილ გამარჯვებას, მე-16 წუთზე ფორვარდმა მარკო ბოდემ ჩაუყარა საფუძველი. მან „ლიონის" მეკარის, გრეგორი კუპეს შეცდომით ისარგებლა. 39-ე წუთზე ფრანგული გუნდის ნახევარმცველმა დევიდ ლინარესმა ვერდერელი ტორსტენ ფრინგსი საკუთარ საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა და მსაჯმაც უყოყმანოდ მიუთითა თერთმეტმეტრიანი ნიშნულისკენ. პენალტი გოლად ანდრეას ჰერცოგმა აქცია.

გერმანელებს მხოლოდ ერთი ბურთი სჭირდებოდათ, რათა ორი შეხვედრის ჯამში ანგარიში გაეთანაბრებინათ, რაც 54-ე წუთზე ფრანკ ბაუმანის გმირობამ შეაძლებინათ. მატჩის დასრულებამდე 36 წუთი რჩებოდა, „ვერდერს" საქმე თითქმის მოთავებული ჰქონდა. დარჩენილ დროში გუნდს მინიმუმ დამატებითი დრო განაღდებული ჰქონდა (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ საკუთარ კარში ბურთს არ მიიღებდა), ფსიქოლოგიური, ტერიტორიული, სათამაშო უპირატესობაც მის მხარეს იყო, რაც ხელიდან აღარც გაუშვია — 77-ე წუთზე პარაგვაელმა ფორვარდმა კლაუდიო პიზარომ საბოლოოდ გაარკვია მომდევნო ეტაპზე გამსვლელის ვინაობა. „ვერდერი" სრულიად დამსახურებულად მოხვდა მერვედფინალში.

იყოჩაღა დორტმუნდის „ბორუსიამაც". გერმანელებმა გლაზგოში „რეინჯერსთან" 0:2 წაგება შინ გაქვითეს. მატჩი ჯერ დამატებით დროში, შემდეგ კი პენალტების სერიაში გადაიყვანეს. თუმცა 90-ე წუთამდე, ვიდრე ფრედი ბობიჩმა ოქროს გოლი არ გაიტანა, მერვედფინალის ზღურბლზე შოტლანდიური გუნდი იდგა. მანამდე, 28-ე წუთზე, ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ გამოიჩინა თავი, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი შეუშვირა. გოლის გატანის შანსი რეინჯერსელებსაც ჰქონდათ — ნილ მაკკენმა დაახლოებით ორი მეტრიდან ვერ ივარგა. დამატებითი დროის ბოლო წუთზე კი გლაზგოელთა კაპიტნის, ლორენცო ამორუზოს დარტყმულს „ბორუსიას" მეკარე, ლემანი გადაელობა და შეხვედრაც პენალტების სერიაში გაგრძელდა.

გმირობაც იმას ჰქვია, რაც დორტმუნდელთა გოლკიპერმა მერე მოიმოქმედა — მან სამი თერთმეტმეტრიანი აუღო ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს, არტურ ნუმანსა და კლაუდიო რეინას.

მესამე შეხვედრაში კი ტურინის „იუვენტუსი" ბერძნულ „ოლიმპიაკოსს" შეხვდა და დამარცხდა — 1:2, თუმცა რადგან საბერძნეთში 3:1 მოგებული ჰქონდა, მომდევნო ეტაპზე მაინც გავიდა. მატჩის დებიუტი კი სამარცხვინო წაგებას ნამდვილად არ უქადდა. უკვე მე-2 წუთზე იუგოსლაველმა ფორვარდმა დარკო კოვაჩევიჩმა მშვენიერი რეიდი განახორციელა და წლევანდელ ევროტურნირებში თავისი მე-10 ბურთი გაიტანა. იუგოსლაველი პრედრაგ ჯორჯევიჩის დუბლმა (38-ე და 82-ე წუთები) კი „ოლიმპიაკოსს" გაამარჯვებინა, მაგრამ მერვედფინალში გასასვლელად ამან არ იკმარა.

### ესპანეთი

**ალავესი 2:1 რასინგი**

1:0 კარმონა (8), 1:1 სალვა (51), 2:1 ხულიო სალინასი (87პ)

### ბელგია

**ბევერენი 4:0 ვესტერლო**

1:0, 2:0, 3:0, 4:0 ნუჰიჟი (70, 73, 75პ, 83)

### შოტლანდია

**მოზერუელი — კილმარნოკი**

გადაიდო

**აბერდინი 3:1 ჰართსი**

1:0 ჯესი (9), 1:1 სევერინი (30), 2:1 სტავრუმი (63), 3:1 ჯუნტვეიტი (65)

# საქართველო? წარმოდგენაც არა მაქვს!

ახლა სხვა დროა. წარსულს ჩაბარდა ის წლები, როცა ქართველებსაც და უნგრელებსაც დიდი გუნდი ჰყავდათ. ჩვენ, საბჭოეთისას, რა თქმა უნდა — „დინამო", მათ — ნაკრები.

დრო იყო, ევროპაში უძლიერეს გუნდებთან ერთად მოიხსენიებდნენ ერთსაცდა მეორესაც.

დრო იყო, უნგრეთის ნაკრებს პუშკაში, ალბერტი ჰყავდა, „დინამოს"... თავად გაიხსენეთ.

ახლა კი, როცა საუკუნე მთავრდება, არც უნგრეთს აქვს რაიმე სატრაბახო, ქართველებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

უეფამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის ერთი მეოთხე კალათაში განთესა, მეორე, უსუსტესებთან ერთად, მეხუთეში. ისინი მეტოქეები არიან. გადამთიელმა, სუმოს მოჭიდავე მთასავით კაცმა და მექსიკელმა უგო სანჩესმა უნგრეთიცა და საქართველოც მერვე შესარჩევ ჯგუფში მოახვედრა.

ვნახოთ, მატჩების დროც დადგება. მანამდე კი უნგრეთის ნაკრების მწვრთნელ ბერტალან ბიჩკეისთან ინტერვიუ წაიკითხეთ. ის რამდენიმე დღით ტოკიოში შეყოვნებულიყო.

**— გამარჯობათ, საქართველოდან გაწუხებთ...**

— საქართველოდან?

**— დიახ, სპორტული გაზეთი „სარბიელი", წილისყრის თქვენეული კომენტარი გვაინტერესებს.**

— წილისყრის? ოო, ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ჯგუფში მოვხვდით. არც კი ვიცი ამაზე ძლიერი გუნდები რომელ ჯგუფში არიან. ისეთი თამაშები გველის, წინასწარ ვერაფერს გეტყვით

**— მაინც, ფავორიტი თქვენი აზრითაც იტალიაა?**

— ასეა, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვების რეალური შანსი იტალიელებს, რუმინეთსა და ჩვენ გვაქვს. ამ სამი გუნდიდან ერთ-ერთი გაიმარჯვებს კიდეც.

**— საქართველო? უკვე ჩამოგვწერეთ?**

— იცით... არა, მაგრამ... ხომ გითხარით, ძალიან ძლიერი ჯგუფია, ერთიც არ არის ხელწამოსაკრავი. მე მხოლოდ გითხარით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატში მოხვედრის შანსი საქართველოზე მეტად იტალიას, რუმინეთსა და უნგრეთს აქვს.

**— საქართველოზე რა იცით?**

— ვიცი, იტალიასთან 0:0 გითამაშიათ.

**— მეტი არაფერი?**

— არა.

**— ქართველ ფეხბურთელთა შესახებ რა იცით?**

— წარმოდგენაც არა მაქვს. ისე, აქ, ტოკიოში, შევხვდი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტსა და გენერალურ მდივანს.

**— რაზე ისაუბრეთ?**

— ერთმანეთი გავიცანით. კალენდარზე შეთანხმება გვსურდა, მაგრამ ვერაფერი გადავწყვიტეთ. მერე დავილაპარაკებთ.

**— პირველად [illegible] გირჩევნიათ?**

— [illegible] ვერ [illegible] შინ იყო.

**— ერთსაც გკითხავთ. უნგრული ფეხბურთის ასეთი კრიზისი რამ გამოიწვია?**

— ეს ცალკე თემაა, ბევრი მიზეზია და ყველაფერზე რომ ვთქვა, ხვალ დილამდეც ვერ მოვრჩები.

**— მოკლედ თქვით.**

— მთავარი მიზეზი, ჩემი აზრით, უფულობა იყო. თანაც ფეხბურთის ფედერაციაშიც ვერ იყვნენ მთლად შეხმატკბილებულნი. ახლა კი ნელ-ნელა ზემოთ-ზემოთ მივდივართ, დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში უნგრეთი ძველ სახეს დაიბრუნებს. არის ამისი წინაპირობა.

**კობა ინასარიძე**



სარბიელის არქივიდან

საქართველო — უელსი 5:0. იყო დრო ქართველებს საქმე გასახარადაც გვქონდა

# დიაგნოზი: მწვრთნელი რეცეპტი: კარგი გუნდი

## ცხრა თვის შემდეგ საქართველოს განახლებული ნაკრები უნდა დაიბადოს

მაშ ასე, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის წილისყრამ მერვე ევროპულ ჯგუფში დაგვაფუძნა. ფიფას გენერალური მდივნის, მიშელ ზენ-რუფენენის ზედამხედველობით ცნობილმა მექსიკელმა ფეხბურთელმა უგო სანჩესმა და ამომავალი მზის ქვეყანაში ასევე ღრმად პატივცემულმა პიროვნებამ, წარმოშობით იაპონელმა, მაგრამ ამჟამად ჰავაელმა კონიშიკიმ მეტოქეებიც გამოგვიწერეს.

რუმინეთი, იტალია, ლიტვა და უნგრეთი. საქართველოსთან აქამდე უთამაშებელი მხოლოდ უნგრეთი გვარგუნა განგებამ. ლიტველებთან გვითამაშია, რუმინელებს შევურცხვენივართ, იტალიელებისთვის კი სახათაბალოდ გაგვიხდია საქმე, მაგრამ ეს წარსულში იყო, ახლა მომავალია საშენებელი.

საქართველოში რამდენი ფეხბურთის ქომაგიცაა, იმდენი აზრი ტრიალებს. აქ ყველა მწვრთნელია, ყველა სპეციალისტი. ჰოდა, ზოგი თვლის, რომ წილისყრამ კარგ ჯგუფში მოგვახვედრა, აქედან გასვლა შეიძლება. ბევრის აზრით კი მსოფლიოს ჩემპიონატს ვერც კი მივუახლოვდებით, ამის იოტისოდენი შანსიც კი არ არსებობს.

საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, მაგრამ სულ სხვაა პოზიციის დაფიქსირება და მერე მისი ბოლომდე დაცვა. საკამათო და სადავო ის კი არ უნდა იყოს, როგორ ჯგუფში მოვხვდით, არამედ ის, თუ რა შეუძლია საქართველოს ეროვნულ ნაკრებს. ანუ გაგარკვიოთ, საფეხბურთო მსოფლიოში ვინ ვართ ჩვენ, ქართველები.

შესარჩევი ციკლის დაძლევა-არდაძლევა მხოლოდ ნაკრების მწვრთნელ-მოთამაშეებზე როდია დამოკიდებული (თუმც ისინი ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებლები არიან). აქ მთელი რიგი ფაქტორებია ურთირთგადაჯაჭვული და ერთი რგოლის არასტაბილურობა მთლიანი პროცესის ჩაშლას გამოიწვევს.

დავიწყოთ თავიდან, ვთქვათ, წილისყრამ ვის რა არგო და მერე მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვიოცნებოთ.

საქართველოს ეროვნული ნაკრები მთლად განწირული არ ყოფილა. ვისაც თავმოყვარეობა გააჩნია, ვისაც ბრძოლა შეუძლია და სურს, ის მერვე ჯგუფს ვერაფერს დაუწუნებს. ღვთის ნება რომ ყოფილიყო, შეიძლებოდა, ქართული ფეხბურთისთვის უკეთესი ჯგუფიც გამონახულიყო, მაგრამ დავიმსახურეთ კი?!

მგონია, მადლობლები უნდა ვიყოთ, მთლად უიმედოდ რომ არ დავრჩით. მერვე ჯგუფი ისეთია, ფინანსურადაც იხეირებ და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსიც (არცთუ დიდი, მაგრამ მაინც) გეძლევა.

დარწმუნებული ვარ, ჯგუფში იტალიასთან მოხვედრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წელში გამართავს. თუ ქართული ფეხბურთის მამები მარიფათს გამოიჩენენ, მაშინ ტელესარეკლამო უფლებების გასხვისებით დაახლოებით 800 ათას დოლარს გამოჰკრავენ ხელს. ამ თანხით ვალებიც დაიფარება (ყადალადადებული ანგარიში გათავისუფლდება) და შემდგომში არსებობისთვისაც მორჩება ფული.

მოკლედ, თავისუფლად შეგვიძლია, იტალიას ქართული ფეხბურთის მხსნელი შევარქვათ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები წილისყრის შედეგებით უკმაყოფილონი ნამდვილად არ არიან. ეს ტოკიოშივე გაკეთებულმა კომენტარებმა ცხადყო. ფედერაცია იმედიანადაა, რაც ძალიან კარგია და ბევრს ნიშნავს.

მერაბ ჟორდანიამ კიდევ ერთი საგულისხმო რამ თქვა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვინაობას 10 დეკემბერს შეიტყობთო. მწვრთნელის დანიშვნა ადრეც შეიძლებოდა. კარგი იქნებოდა (აუცილებელიც), წილისყრას ეროვნული გუნდის თავკაციც დასწრებოდა. იგი ტოკიოში ბევრ საგულისხმო ფაქტს ჩაინიშნავდა და მერე გუნდის საკეთილდღეოდ გამოიყენებდა, მაგრამ არა უშავს, არც ახლაა ძალიან გვიან. დრო ჯერ ითმენს.

რაც მყვირალა ჰოლანდიელმა დაგვტოვა, მას შემდეგ მწვრთნელობის კანდიდატად ვის არ მიიჩნევდნენ. დანამდვილებით ახლაც ვერავინ გეტყვით, თუ ვის ანდობენ ეროვნული გუნდის საჭეს, არადა, მწვრთნელზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ახლა ის დროა, როცა შიშის და უკანდახევის უფლება არავის აქვს. შეცდომა გამორიცხულია, მერყევი ხასიათის კაცი ამ უდიდეს პასუხისმგებლობას თავს ვერ გაართმევს.

არასწორი არჩევანის გაკეთების უფლება არც ფედერაციას აქვს. პირველ რიგში მან უნდა აგოს პასუხი საკუთარ კანდიდატზე, ამიტომ მაშინ უნდა გაჭრას გაზომილი, როცა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული იქნება.

მწვრთნელად ისეთი კაცი უნდა დაინიშნოს, რომელიც ნაკრებზე ფიქრში დაალამ-გაათენებს. არავითარი შეთავსება და უმიზნოდ წანწალი. მხოლოდ ნაკრები და სხვა არაფერი ნაკრების გარდა.

ეროვნული გუნდის თავკაცი კარგად უნდა იცნობდეს ნაკრების კანდიდატებს, იცოდეს მათი შესაძლებლობების ზღვარი. კარგი ურთიერთობები უნდა ჰქონდეს ფეხბურთელებთან, თორემ ინტრიგებში გახლართულმა, დაქსაქსულმა და ჯგუფებად დახლეჩილმა გუნდმა სანამდე მიგვიყვანა, ყველამ ვნახეთ.

მწვრთნელი უნდა იყოს პედაგოგიც, ფსიქოლოგიც და თანამედროვე ფეხბურთის ზედმიწევნით მცოდნეც. სხვაგვარად სულ ვარსკვლავებით რომ გაავსო საქართველოს ნაკრები, წინსვლა არ იქნება.

იმედია, ფეხბურთის ფედერაციას შეგულებული ჰყავს ასეთი პიროვნება. იმედია, ახალი მწვრთნელი გაამართლებს ნდობას. ეს ყველაფერი ხვალ გაირკვევა.

ახლა უმთავრესი — ნაკრების ფეხბურთელები. ვინ იტყვის, გამოუცდელი, უსუსური მოთამაშეები გვყავსო. კალაძე, ქეცბაია, ქინქლაძე, კობიაშვილი, [illegible] ჯანაშია, შოთა და არჩილ არველაძეები, იაშვილი, ფოცხვერია, ჯამარაული... კიდევ ხომ არ ჩამოვთვალოთ? მათგან შეიძლება კარგი გუნდის ჩამოყალიბება, მაგრამ რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, საქართველოს ნაკრები არ არის გუნდი.

რალაც ავადმყოფობა შეუჩნდა ნაკრებს, რალაც სტკივა და ახალი მწვრთნელის პირველი დიდი გამარჯვებაც ის იქნება, თუ წყლულს ალმოუჩენს.

ჯერ უნდა გავიგოთ, რა გვჭირს ასეთი უსაშველო. სხვაგან (კლუბებში) თუ ვარგიან, ერთად შეყრილები (ფაქტობრივად, ერთად გაზრდილები) ერთმანეთს რატომ ვერ უგებენ. სად გაწყდა დამაკავშირებელი რგოლი, როდის დაიკარგა ურთიერთგაგება?

რომელია ჩვენი სატკივარი, შეკარე თუ დაცვა, ნახევარდაცვა თუ თავდასხმა. იქნებ ცოტ-ცოტა ყველას სტკივა და სასწრაფოდ უნდა მივხედოთ. არც ამას უნდა მოერიდოს ახალი მწვრთნელი. როცა საქვეყნო საქმე კეთდება, ერთი და ორი მოთამაშის განაწყენება არაფერია. ახალ კაცს ფედერაცია უნდა დაუდგეს მხარში, არ უნდა შეზღუდოს, არ უნდა დააშინოს. თუ უმტკივნეულოდ ჩაივლის ყველაფერი, ამაზე უკეთესი რაღა იქნება, არადა, უნაყოფო ხე უნდა მოიჭრას, სასწრაფოდ უნდა მოიკვეთოს.

შესარჩევი ციკლის დაწყებამდე ცხრა თვეა დარჩენილი. ეს საკმაოზე მეტი დროა გუნდის შესაკრავად. ვიცი, ვიღაც იტყვის, გაგიჟებულა ეს კაცი. გუნდის კეთებას თვეები კი არა, წლები უნდაო, მაგრამ იმ ვიღაცის გასაგებად ამას ვიტყოდი: „საქართველოს ნაკრებს არაერთი წელი უმძიმებს ზურგს. სამძიმარი ჯერ კიდევ 1990 წლის 27 მაისს, ლიტვის ნაკრებთან თბილისური მატჩისას ჩაიყარა. მერე შენდებოდა და შენდებოდა. ახლა აშენებული ინგრევა".

გუნდი გაკეთებულია, უბრალოდ, მკურნალობა სჭირდება, იქნებ ქირურგიული ჩარევაც კი. მაშინაც მთლიანი ორგანიზმი კი არ შეიცვლება, არამედ ერთი ნაწილი ამოიკვეთება.

ცხრა თვე კი სამკურნალოდ თუ საოპერაციოდ სრულიად საკმარისი დროა. იმ ცხრა თვეში ეროვნულ ნაკრებს დაუღალავი შრომა მართებს. აუცილებელია ნორმალური სამუშაო პირობები, შეკრებები, ამხანაგური მატჩები. თუ მხართეძოზე წამოწექი და ხელ-ფეხი არ გაანძრიე, ცხრა თვე კი არა, ცხრა წელიც არ გეყოფა.

იმას კი აქედანვე უნდა შევეგუოთ, რომ ეროვნულ გუნდს ისევ არ ექნება საკუთარი ბაზა, ალბათ, ისევ დიღომში არსებული საწვრთნელი კომპლექსი უმასპინძლებს. ისევ დაირღვევა სიმყუდროვე და ისევ და ისევ შეაწუხებენ მწვრთნელ-ფეხბურთელებს ნაცნობ-უცნობები, მთხოვნელ-მომთხოვნები.

ამქვეყნად ფეხბურთის ფედერაცია ვერსად მიაგნებს მწვრთნელს, რომელიც საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის რეცეპტს გამოუწერს. ვინც მსგავსი დაპირებებით აგვავსებს, ჩათვალეთ, რომ ტყუის, არაფერი გამოუვა. ის რეცეპტი ფეხბურთის ფედერაციამ, მწვრთნელმა, ფეხბურთელმა, ქომაგმა, ჟურნალისტმა, ერმა და ბერმა უნდა გამოწეროს. მერე იმ რეცეპტით სხვებიც ისწავლიან.

ასეთ დროს არავისი და არაფრის უნდა გეიმედებოდეს, საკუთარი თავის გარდა. ჩვენს გასაჭირს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. იტალიელი, მით უმეტეს, რუმინელი შენს საკეთებელს არ გააკეთებს. თავიანთიც თავსაყრელი აქვთ. ამიტომაა აუცილებელი სწორი დიაგნოზის დასმა, სწორი მიმართულების შერჩევა.

ცხრა თვის შემდეგ საქართველოს კარგი გუნდი უნდა ჰყავდეს. ცხრა თვე სრულიად საკმარისი დროა.

**მამუკა კვანტალიანი**

# მიეცით შენიღბულად!

## შესაძლოა თამაშები ახლებურად გარიგდეს

ვაშა ჩხოროწყუელებს! მართლაც რომ უსაზღვროა ადამიანის ნიჭი და ფანტაზია. ნახეთ, რა ხდება. ვთქვათ, A და B გუნდები ერთმანეთში თამაშობენ. B ფავორიტია, მაგრამ გადაწყვიტა, უმოტივაციო A-სთან გართულების გარეშე აიღოს სამი ქულა. ტკბილი სიტყვის ამბავი ხომ იცით და A-ც, ნაყოფიერი წინადადებით მოხიბლული, თანახმაა, ორმხრივ გარიგებას სრულყოფილი სახე მისცეს. მაგრამ ისიც ცნობილია, რა პრობლემებსაც უკავშირდება ჩაწყობილი მატჩი. არაერთ კაცთანაა დასალაპარაკებელი, თითოეული მათგანი საქმის კურსშია ჩასაყენებელი, მერე ისეთი ცხოვრებაა, ყველას ვერ ენდობი. შესაძლოა თამაშის მსვლელობისას მსაჯი აიჭრას, შენს კარში პენალტი გამოაცხოს, ან ათასი უბედურება დაატეხოს თავს, აუცდება მავანს ფეხი, გაგიტანს იმ პენალტს და უკარე მერე კაკალი, ნაწვალებ-ნაჯახირევი წყალში ჩაგეყრება და საქმესაც აჯებ. არა, მართლაც დიდი პრობლემაა ყოველივე. მაგრამ მიეცით ნიჭსა გზა ფართო, ხომ გაგიგიათ და ჩხოროწყუელებმაც მისცეს. საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალური ლიგის ერთ-ერთი ზონის, ერთ-ერთი ჯგუფის რიგითი კალენდარული მატჩი უნდა ჩატარებულიყო ჩხოროწყუში ადგილობრივ „სამეგრელოსა“ და ქობულეთის „შუქურას“ შორის. თამაში არ გამართულა. სტუმრებმა უმტკივნეულოდ მიიღეს 3 ქულა. რატომ? მასპინძლებს მოთამაშეების მონაწილის ბარათები (კარტოჩკებს უფრო ეძახიან) არ აღმოაჩნდათ. ჯერ უთქვამთ, ახლავე მოვიტანთო, მერე აქვე ახლომახლო ყოფილა ერთთან და კაცს გავგზავნითო, ამასობაში მატჩის დაწყების დრო მოახლოებულა და მასპინძლებს განუცხადებიათ, „კარტოჩკები“ ვილაცას თან წაუღია და ამის გარეშე თუ გვათამაშებთ, თქვენი ჭირიმეო. ამდგარა დაღლილი მატჩის დელეგატი მალხაზ ლაცაბიძე, პირნათლად მოუხდია თავისი ვალი, დებულებისთვის დიდი პატივი უცია და მასპინძლებისთვის კანონიერი 0:3 მიურთმევია.

ღმერთმა დამიფაროს, მხოლოდ ჩემს მოსაზრებას გაზვევდეთ თავს. ამდენს ნამდვილად ვერ გავრისკავ. სჯობს, გუშინ ძველ მისამართზე (ფიზკულტურის აკადემიის რექტორის კაბინეტში) გამართულ სადისციპლინო ტექნიკური სხდომის მსვლელობას მივყვეთ.

მალხაზ ლაცაბიძე — როცა მითხრეს მასპინძლებმა, რომ მონაწილის ბარათებს მალე მოიტანდნენ, „შუქურას“ წარმომადგენლებს ვთხოვე, რომ ცოტაც მოეცადათ. ვცდილობდი, მატჩი ჩატარებულიყო, მაგრამ შემდეგ მითხრეს, ბარათები ვილაცას გაჰყოლიაო და იძულებული გავხდი, ოქმი შემედგინა...

— მიუციათ თამაში ჩხოროწყუელებს და ეგ არისო — თქვა სტკ-ს თავმჯდომარემ ომარ გოგიაშვილმა.

— ეს მეც ვიფიქრე, მაგრამ ის ვერ გავიგე, თუ მიცემა უნდოდათ, ეთამაშად ისე წაეგოთო — აიჩეჩა მხრები ლაცაბიძემ. შენიღბული ფორმით მიუციათო — დაასკვნა სათქმელი გოგიაშვილმა.

ვიდრე ჩხოროწყუელები თავიანთ „ნოუ ჰაუს“ დააპატენტებენ (არადა, მსურველი ბევრი გუნდი აღმოჩნდება ჩვენში), სტკ-მ მკაცრი განაჩენი გამოუტანა „სამეგრელოს“. გუნდის მწვრთნელს უკანასკნელი გაფრთხილება მიეცა მკაცრი საყვედურით, თავად კლუბი კი 1000 ლარით დააჯარიმა, რა თქმა უნდა, 0:3 ძალაში დარჩა.

სამაღლო საქმეს გავაკეთებთ, „სამეგრელო“ მაინც არ არის ამ თანხის გადამხდელი და ბარემ მოვხსნათ გათამაშებიდანო — უკმაყოფილება გამოთქვა რეგიონალური ლიგის დასავლეთ ზონების კურატორმა ნოდარ კაკულიამ. მწარე სინამდვილე შეინიშნებოდა მის ნათქვამში.

„რაჭა“ — „გაგრა“ — კიდევ ერთი მატჩი, რომელიც არ ჩატარებულა და ამის მიზეზების განხილვაც მოუხდა სტკ-ს. „რაჭა“ ამბროლაურის გუნდია, მაგრამ შინაური სტადიონის დისკვალიფიკაციის გამო გაგრელებს ტყიბულში უნდა შეხვედროდა. სამატჩოდ გზად დამდგარი გაგრელებისთვის ტრანსპორტს უმტყუნია, თუმცა ბოლოს ამ ისედაც გაჭირვებულ ქვეყანაში უფრო გაუჭირვებიათ, ტაქსები უქირავებიათ და ტყიბულის ცენტრალურ სტადიონზე 15 საათისთვის ჩასულან (ეს ის დროა, როცა მატჩი უნდა დაწყებულიყო). იქ მათ მასპინძელთაგან არავინ დახვედრია, სტადიონი კი დატბორილი ყოფილა, მალე გაირკვა, რომ მსაჯ-მასპინძელი სტუმრებს 2 კილომეტრში მდებარე საბაზო სტადიონზე უცდიდა. იქამდე მისვლას, ბუნებრივია, დრო დასჭირდა და 15 საათსა და 20 წუთზე გამოცხადებულ სტუმრებს მასპინძლებმა უარი სტკიცეს თამაშზე, დებულება მარჯვედ მოიშველიეს და 3:0 მოგება მოითხოვეს მეტოქის გამოუცხადებლობის გამო. სულაც არ არის უსაფუძვლო მსაჯთა კომიტეტის თავკაცის, ანატოლი მილჩენკოს მიერ სტკ-ზე დასმული კითხვა — რატომ არავინ გააფრთხილა გაგრელები, რომ მატჩი ცენტრალურ სტადიონზე კი არა, საბაზო მოედანზე ტარდებოდა. „გაგრის“ წარმომადგენელმაც ეს იკითხა, მაგრამ არსებობს დებულება, რომელიც იმას ითვალისწინებს, რომ სტუმარი გუნდი სამატჩოდ უნდა გამოცხადდეს არაუგვიანეს საათნახევრით ადრე, სხვა შემთხვევაში დაგვიანება ეთვლება წაგებად... მოდით, გავიხსენოთ „იბერია“ — „დილას“ ამასწინანდელი არშემდგარი მატჩის პერიპეტიები. ჩუმათელეთთან ჩამოწოლილმა მეწყერმა შეუშალა ხელი ქვემოქართლელებს, სამტრედიაში დროულად ვერ ჩავიდნენ. მოგვიანებით სტკ-მ მატჩის გადათამაშება ბრძანა. რატომ? იმიტომ, რომ მეწყერი და მსგავსი უბედურებები ფორსმაჟორია დებულებისთვის, ავტობუსის გაფუჭება კი არაფერს ნიშნავს. თითქოს სწორიცაა, ასე ხომ შეიძლება ბევრ გუნდს „გაუფუჭდეს“ ავტობუსი და მერე საით წავა ჩვენი ისედაც საქმეწასული ჩემპიონატი, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ „გაგრის“ მაგალითზე ხომ ყველაფერი ცხადზე ცხადია, გუნდი სათამაშოდ მიემართებოდა, დროულადაც დაადგა ტყიბულის გზას, მაგრამ მართლაც გაუფუჭდათ ავტობუსი, მატჩზე ჩასწრება სულერთი რომ ყოფილიყო გაგრელებისთვის, ზედმეტ ფულსაც არ გადაყრიდნენ, ტაქსებს არ იქირავებდნენ. უბრალოდ, ერთ წარმომადგენელს გაუშვებდნენ ტყიბულში, მდგომარეობას გააცნობდნენ მასპინძლებს და ამ გზითაც უარეს შემთხვევაში 0:3-ს მიიღებდნენ, მაგრამ „გაგრამ“ მაინც განაგრძო გზა, რადგან სათამაშოდ მიდიოდა და დამხვდურთა სულგრძელობის იმედი ჰქონდა. როგორც ჩანს, ამაოდ. „რაჭამ“ უარი განაცხადა დაგვიანებული სტუმრის მასპინძლობაზე.

ამ საკითხის გადაწყვეტაში სტკ ერთსულოვანი არ ყოფილა. ოთხი წევრი დებულებით გათვალისწინებულ 0:3-ს ითხოვდა, ოთხიც გოგი დემეტრაძის თავკაცობით გადათამაშების მომხრე იყო. თუმცა მორალურად ყველა „გაგრას“ უჭერდა მხარს, მაგრამ დებულება, წყეული დებულება...

— პირადად მე არ გაგატანთ ამ მაგიდიდან სამ ქულას. ადექით და ბრძოლაში მოიპოვეთ გამარჯვება, მორალს რა პასუხი გავცეთ, თუ ეს დებულება ყველაფერია, მაშინ რა საჭირო ვართ ჩვენ, დაჯდეს ერთი კაცი და ავტომატურად წაიკითხოს განაჩენი. ამერიკის კოდექსში ხდება ცვლილებები და რა გაგვიხდა ეს დებულება ასეთი — ცხარობდა გოგი დემეტრაძე. გადამწყვეტი სიტყვა სტკ-ს თავმჯდომარემ ითხოვა და...

— რა თქმა უნდა, [illegible] რად არ [illegible] სიღრმეში „გაგრას“ ვუჭერ მხარს, მაგრამ მაინც მგონია, [illegible] გადათამაშებით გამოუსწორებელ პრეცედენტს დავუშვებთ, დებულების დარღვევას კი ისევ 0:3 სჯობს.

და „გაგრას“ წაგება ჩაეთვალა დაგვიანებისთვის.

სტკ-მ, სანამ ბოლოსთვის შემონახულ ხობელთა საქმისთვის მოიცლიდა, წვრილად მოსალევიც მოილია. „მეგრი“ — „დილას“ მატჩში ორი ყვითელი ბარათით გაძევებული დავით კაკულია 50 ლარით დაჯარიმდა და ერთ თამაშს გამოტოვებს. ამავე მატჩში მსაჯის შეურაცხყოფისთვის „გაწითლებული“ კვეკვესკირი კი სამი თამაშით გამოაკლდება გუნდს და 150 ლარსაც შეელევა.

22 ნოემბერს „ლოკომოტივი“ — „ვიტ ჯორჯიას“ შეხვედრაში დავით ასლანაძეს მსაჯ შილაკაძის კინება არ აპატიეს და „ლოკომოტივის“ მეკარე 4 თამაშით და 200 ლარით დააჯარიმეს. ორი ყვითელი ბარათით გაძევებულ ვიტელ დოლიძეს კი ერთი მატჩით მოუწევს დასვენება.

ხობელები ორგზის წარსდგნენ გუშინდელ სტკ-ს სხდომაზე დისციპლინარების წინაშე. პირველი საკითხის გადაწყვეტას დიდი დრო არ წაუღია. ეროვნული თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩზე „ხობს“ ორმოცი წუთით დაუგვიანდა ლანჩხუთში ჩასვლა და სტკ-საც ბევრი არ უფიქრია, ისე ჩაუთვალა ხობელებს წაგება 0:3.

მეორე საკითხი კი ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო ტურის „ხობი“ — „იბერიას“ მატჩის შემდეგ მომხდარ დიდ სკანდალს შეეხებოდა. სტკ-ს ამასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ გამოუტანია. ხობში მართლაც სამარცხვინო ამბავი დატრიალდა და ჩვენც უფრო დაწვრილებით მასალას ამასთან დაკავშირებით „სარბიელის“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ჩოქსას არჩევანი: დინამო ან ჯანი

— ინტერვიუ?! ჩემთან?! დავიმსახურე?!

— კი გაიოცა, მაგრამ აგერ საუბარი „ჩოქსასთან“ (ძოძუაშვილის მეტსახელი), რომელიც ჩემპიონატში სამი და თასზე ორი გოლით შეეწია „სამგურალს“.

**— მერაბ, დიდი ხანია თამაშობ?**

— ექვსი წლის ვიყავი, როცა მამამ „კოლხიდას“ სპორტსკოლაში მიმიყვანა სავარჯიშოდ. მამუკა ჯავახაძე იყო ჩემი პირველი მწვრთნელი. თამაშის ანბანი ამ კაცმა მასწავლა. „კოლხიდადან“ საღორიაზე მდებარე საფეხბურთო სკოლაში გადამიყვანეს. ჯერ მურად ჭავჭანიძის, მერე კი ომარ ჯორბენაძის ხელში ვვარჯიშობდი. შარშანწინ სკოლის გუნდი გივი ჩოხელის სახელობის თასზე გამოდიოდა. ამ ტურნირში ხშირად გამქონდა გოლები და მალე თბილისის „ლოკომოტივში“ აღმოვჩნდი. აქ მხოლოდ სამი თვე დავყავი, მათე ჩემპიონატის პირველი წრე. მეორე წრეში ხელმძღვანელობამ ლანჩხუთში მიმავლინა. მერე „გურია“, მოგეხსენებათ, პირველი ჯგუფიდან გავარდა და მეც წამოვედი. ამ ზაფხულს მოსამზადებელი პერიოდის დროს „სამგურალის“ მაშინდელმა თავკაცმა რევაზ ბურკაძემ მიმიწვია გასინჯვაზე და საბოლოოდაც დამტოვა გუნდში.

**— თუ არ ვცდები, „ლოკომოტივში“ შენ მხოლოდ ფარმ კლუბში თამაშობდი...**

— კი, ძირითადად ფარმ კლუბში, მაგრამ ერთი თამაში მთავარ გუნდშიც მომიწია. „გურიას“ ვხვდებოდით სტუმრად. „ლოკომოტივი“ 3:0 იგებდა. მატჩის დამთავრებას სამი წუთი აკლდა, როცა გელა კვიტატიანი შევცვალე. წუთში გოლი შევაგდე, პირველი გოლი პირველ ჯგუფში. სულ ეს იყო. „ლოკომოტივში“ ჩემზე ბევრად გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობდნენ და მწვრთნელი მათ უფრო ენდობოდა.

**— ის მითხარი, „გურიაში“ მივლინება თუ წაგადგა რამეში?**

— როგორ არა, ჩემთვის აუცილებელი — სათამაშო პრაქტიკა მივიღე. ეგ იყო, მწვრთნელი შეუჩვეველ ადგილზე, მარცხენა ნახევარმცველად მაწესებდა და ამის გამო ცოტა მიჭირდა, ბოლომდე ვერ ვავლენდი შესაძლებლობებს. თუმცა, მწვრთნელის მესმოდა, იგი ხათრს ვერ უტეხდა ვეტერან დავით მახარაძეს, თავდასხმის ცენტრში მას ათამაშებდა.

**— ესე იგი, შენ მოწოდებით ცენტრფორვარდი ხარ...**

— პატარაობიდან წინ ვთამაშობ და...

**— „სამგურალზე“ ვილაპარაკოთ. გუნდი ზონის პირველ ოთხეულში ვერ მოხვდა, გაზაფხულზე მხოლოდ ჯგუფში დასარჩენად მოუწევს ბრძოლა. როგორ ფიქრობ, შეგეძლოთ უკეთესი შედეგის მიღწევა?**

— ჩემთვის ეს ცოტა რთული კითხვაა, მაგრამ გიპასუხებთ: ალბათ, არა. ჯერ ერთი, „სამგურალი“ ე.წ. „სასიკვდილო“ ზონაში მოხვდა. წარმოიდგინეთ, ხუთი დედაქალაქური გუნდი, „ბათუმი“, მოძლიერებული „სიონი“. რაღა თქმა უნდა, ძნელი იყო ამათთან კონკურენცია, მით უფრო იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც „სამგურალს“ ჰქონდა. ჩემპიონატის წინ გუნდი ბევრმა მოთამაშემ დატოვა. ვერც მოსამზადებელი პერიოდი გავიარეთ ხეირიანად. არც მაშინ და არც ჩემპიონატის მსვლელობისას არ იყო საკმარისი ფინანსები. შეიძლება ითქვას, ბიჭები შიშველ ენთუზიაზმზე ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ. ასეთ პირობებში ძნელია წარმატებაზე ფიქრი. მიუხედავად ამისა და არასახარბიელო საბოლოო შედეგისა, „სამგურალი“ უბრძოლველად არავის დანებებია, ხოლო რამდენიმე თამაშში უიღბლობას რომ არ დავეღალატებინეთ, გაცილებით მეტ ქულას დავაგროვებდით.

**— შენ თავიდან მხოლოდ შეცვლაზე თამაშობდი...**

— კი, თავიდან ასე იყო, მაგრამ მეშვიდე ტურში „თბილისთან“ სტუმრად ჩატარებული მატჩის შემდეგ, რომელშიც ორი ბურთი გავიტანე, იასონ ბზიკაძე ყველა მატჩს სრულად მათამაშებდა.

**— „სამგურალი“ ყველა მეტოქესთან, როგორც წესი, ეული თავდამსხმელით თამაშობდა...**

— მართლაც ძნელია, როცა მარტომარტო გიწევს წინ თამაში, მაგრამ, ალბათ, მწვრთნელებსაც არ ჰქონდათ არჩევანი. ისე, შუახაზელები გიორგი სუხიაშვილი, ირაკლი ხაჭაპურიძე, გელა ძაგნიძე ბევრს მეხმარებოდნენ.

**— მერაბ, გაიგე, ჩემპიონატს ახალ გუნდში გააგრძელებ...**

— ალბათ, ასე იქნება. ორ გუნდს ვუნდივარ. ვნახოთ, რა გამოვა.

**— მაინც, რომელი გუნდებია?**

— „დინამო“. 4 იანვარს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვარ დაბარებული. გასინჯვაზე მიწვევენ. მარტო ეს უკვე ჩემთვის დიდი პატივია, ხოლო თუ გუნდში მოვხვდი...

**— მეორე?**

— „ბათუმის“ მწვრთნელს ჯანი კარნევალეს ჰქონდა საუბარი „სამგურალის“ ხელმძღვანელობასთან ჩემზე და ირაკლი ხაჭაპურიძეზე. იტალიელს სურს ორივე თავის გუნდში გვიხილოს.

**— ესე იგი არჩევანის წინაშე ხარ?**

— კი, მაგრამ მე უფრო პირველი ვარიანტი მხიბლავს. „დინამოში“ თუ დამიტოვებენ, ის მირჩევნია.

**— მერაბ, ქუთაისელი ხარ და „ტორპედოში“ თამაშზე არასდროს გიფიქრია?**

— მიფიქრია რომელია, მიოცნებია კიდევაც, ოღონდ ჩემს შესაძლო გატორპედოელებაზე აქამდე სიტყვა არავის დასცდენია. ეტყობა, არ არის ჩემი ბედი.

**— დავუშვათ, „ტორპედოდანაც“ შეგეხმიანნენ, მაშინ?**

— არა, ახლა მაინც „დინამოს“ ვარჩევ.

**— ისე ლაპარაკობ, თითქოს მარტო შენი გადასაწყვეტი იყოს, სად ითამაშებ. რამდენადაც ვიცი, შენ ჯერაც „ლოკომოტივის“ საკუთრება ხარ და „სამგურალში“ განათხოვრებული იყავი...**

— გეტყვით. „ლოკომოტივთან“ არავითარი კონტრაქტი არ მაკავშირებს. ამ კლუბში იმ პირობით ვიყავი მისული, რომ როცა მოვისურვებდი, მაშინ დავტოვებდი. ამ საკითხში საბოლოოდ გასარკვევად მამამ ფეხბურთის ფედერაციის ადვოკატსაც მიმართა და ახლა ის ვიცი, რომ „ლოკომოტივი“ არჩევანის გაკეთებაში ხელს ვერ შემიშლის.

**— შენით ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი მურთაზ ხურცილავაც დაინტერესებულა...**

— კი, თბილისში გამომიძახეს. მურთაზ ხურცილავა საგაისო ნაკრებისთვის მოთამაშეებს არჩევს და მეც შევუყვანივარ ნაკრების კანდიდატთა სიაში.

*ამ ბიჭს კოჭებში ეტყობა, ფეხბურთისთვისაა დაბადებული. თუ არ გჯერათ, მისი თამაშის მნახველებს დაეკითხეთ. ჰო, სპეციალისტებს. ერთ-ერთი მათგანი იყო, ამასწინათ გაკვირვება რომ ვერ დამალა: ამ ბიჭს ამ გუნდში რა ესაქმება, უკეთესი ეკუთვნისო. მერაბ ძოძუაშვილია ეს ბიჭი. „სამგურალის“ ცენტრალური თავდამსხმელი. მოედანზე ფუტკარივით მუშა, სწრაფი, შეუპოვარი, ბურთზე დაგეშილი. ბიჭი, რომელსაც გამოცდილზე გამოცდილი მცველებიც კი უფრთხოდნენ. 19 წლისა შესრულებულა და, რაღა ბიჭიო, იტყვით. კაცია და გუნება. სულ ერთი წელია, რაც ქუთაისელი ყმაწვილი ეროვნულ ჩემპიონატში გამოჩნდა. „ლოკომოტივი“, „გურია“, „სამგურალი“. სამ გუნდში თამაში მოასწრო ერთ წელიწადში და ახლა მეოთხეში სათამაშოდ ემზადება. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ ამ ბიჭს სპეციალისტები.*



ბადრი [illegible] ფოტო

სამგურალელი მერაბ ძოძუაშვილი (მარჯვნივ) და თბილისელი ვალერი აბრამიძე

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

# კოლხეთი

«ბ» ზონა
მეორე ადგილი

საქართველოს 11 ჩემპიონატი — I ეტაპი

# ნულარ შეჭამთ კარალიოკს!

— ჩვენ ევროსაგზურისთვის არ ვიბრძოლებთ, „კოლხეთის" უმთავრესი მიზანი XI ეროვნულ ჩემპიონატში ახალგაზრდული გუნდის შეთამაშება, ღირსების შენარჩუნება გახლავთ — აცხადებდნენ ფოთის „კოლხეთის" ხელმძღვანელები სეზონის დაწყების წინ.

...მეათე ეროვნულის მეორე წრის დაწყებამდე ზღვისპირელებმა მწვრთნელი შეიცვალეს, გამოცდილი სოსო ფილია გაათავისუფლეს და გუნდი ახალგაზრდა, მწვრთნელობაში გამოუცდელ გია ტყებუჩავას ჩააბარეს, წარსულში ქუთაისის „ტორპედოს" ცნობილ მეკარეს. მაშინ ბევრი ფოთელთა მომავალს სკეპტიკურად უყურებდა, „კოლხეთი" ჩვენში „მარად პრიზიორად" კი არის მიჩნეული, მაგრამ ევროსაგზურის მოპოვება გაუჭირდებაო. გუნდმა კი ბოროტ ენებს ყური არ უგდო და ინტერტოტოს საგზურიც, ავად თუ კარგად, საბოლოოდ მეოთხე ადგილის დაკავებით მოიპოვა. იქ კი...

იქ კი, იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდასი" არ იყოს, ასევე ბალკანურმა, ოღონდ მაკედონიურმა (უსახელო) გუნდმა — „ცემენტარნიცამ" ფოთელთა ისტორიაში კიდევ ერთი შავი ფურცელი ჩაწერა. მართალია, ხაერთო ანგარიში, „ცრვენა ზვეზდასგან" განსხვავებით, კატასტროფული არ გახლდათ, მაგრამ მაკედონიელებთან შინ 0:4 უკვე მეტისმეტი იყო, ალბათ, კლუბის ხელმძღვანელებმა ამიტომაც გადაწყვიტეს, მორჩა, გეზი ახალგაზრდებზე უნდა ავიღოთო.

სეზონის დაწყებამდე „კოლხეთში" 40-მდე ფეხბურთელი ვარჯიშობდა. ამათგან უმრავლესობას კი მოწვეულნი და მეორე გუნდ, „ფაზისიდან" აყვანილები წარმოადგენდნენ. საბოლოოდ გია ტყებუჩავამ 25-27 ფეხბურთელს გამოუცხადა ნდობა, მაგრამ კოლხებმა ამასთანავე გუნდისთვის საჭირო მოთამაშეებიც გაანათხოვრეს. მიხეილ ქობულაძე და ლევან შავგულიძე თბილისის „ლოკომოტივს" დაუთმეს, ფორვარდი ელდარ გვასალია სომხურ „ერევანში" გაუშვეს, თუმც გვასალია პირველი ეტაპის მეორე წრის დასაწყისშივე დაუბრუნდა კლუბს.

ზემოხსენებული სიტყვები — ჩვენ ევროსაგზურისთვის არ ვიბრძოლებთ — ტყუილად არ შემიხსენებია მკითხველისთვის. ეს „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ თქვა და იქვე დასძინა, კარგი იქნება, თუ სამეორეტაპოდ პირველ რვა გუნდში დავიბევებთ ადგილს, მერე კი რა იქნება, შევხედავთო.

ერთი სიტყვით, განახლებული „კოლხეთი" XI ეროვნულში ჩაება, თუმცა ნათლად გამოჩნდა, რომ მომქანცველი სეზონის პირველმა ნახევარმა მაინც „ძველ გვარდიაზე" გადაიარა, ძირითადში ადგილი მოწვეული ახალგაზრდებიდან თითო-ოროლა კაცმა თუ დაიკავა. მამუკა მელაძე, თამაზ კიკლიაშვილი, დავით ხუჭუა, გიორგი დავითნიძე (ჩემპიონატის შუაში შეემატათ) ადვილად მოერგნენ ზღვისპირელთა სათამაშო ტაქტიკას, აი, დანარჩენებმა ან ვერ გაამართლეს მწვრთნელის იმედები, ანაც...

...და სეზონიც დაიწყო. ფოთელებს



გია ტყებუჩავა

1999 წლის 14 აგვისტო ნამდვილად ცუდად მოაგონდებათ. ჩემპიონატის პირველსავე ტურში ზღვისპირელები შინ, ხობელ სეხნიასთან 2:3 დამარცხდნენ. ზოგმა ეს მარცხი სენსაციად მონათლა, ზოგმა კიდევ გადაჭრით განაცხადა, მორჩა, „კოლხეთის" მზე ჩაესვენაო.

— ხობის „კოლხეთთან" საშინაო მარცხი პირველ რიგში ჩვენივე დაუდევრობის ბრალია. ბიჭებს ეგონათ, ლიგის დებიუტანტი ახალი გადმოსულია და ადვილადაც მოვუგებთო, ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში — ეს ისევ ვიცე-პრეზიდენტის სიტყვებია. ხობელებთან მარცხს „გორდასთან" 2:0 გამარჯვება მოჰყვა, მაგრამ მერე ისევ სირცხვილი და თავის მოჭრა. გორში, პრინციპულ მეტოქესთან, „კოლხეთი" 0:3 განადგურება...

ყოველივეც აქედან დაიწყო, „კოლხეთის" პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი თენგიზ ქოიავა და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა შოკში იყვნენ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ ამოვიყვანოთ კლუბი უფსკრულიდანო.

ეს მართლაც უფსკრული იყო, „კოლხეთის" თავზე შავი ღრუბელი შეიყარა, სეზონის წინ დასახული გეგმა (მართალია, პირველი ეტაპის დასრულებამდე კიდევ საკმაო დრო იყო) იფუშებოდა. არსებობდა საშიშროება, რომ სუსტ „ბ" ზონაში ოთხეულშიც ვერ მოხვედრილიყო. ამიტომაც 11 სექტემბრის მატჩის წინ (სამტრედიის „იბერიასთან") ხელმძღვანელებმა მწვრთნელ გია ტყებუჩავას და ფეხბურთელებს კატეგორიულად დაუყენეს საკითხი, საქმეს პროფესიულად თუ არ მიუდგებით, ყველას გაგათავისუფლებთო. ჯოხი კი მწვრთნელზე უფრო გადატყდა. ყველა რესურსი და რეზერვი გამოიყენეთ, დასახული მიზანი, ოთხეულში მოხვედრა უნდა შესრულდეს, თორემ... ხელმძღვანელთა სიტყვებში მუქარა ნათლად იგრძნობოდა. ალბათ ამიტომაც იყო, ზღვისპირელთა გუნდიდან ინფორმაციამ რომ გამოჟონა, მორჩა, ტყებუჩავას დღეები დათვლილია, „კოლხეთში" ახალ მწვრთნელად დანიშვნის დიდი შანსები გამოცდილ და ფოთელთა სამზარეულოში უკეთ ჩახედულ სოსო ფილიას აქვსო.

კლუბის ხელმძღვანელთა მუქარამაც „კოლხეთზე" დოპინგივით იმოქმედა. ზღვისპირელებმა ზედიზედ სამი თამაში, „იბერიასთან", „მერანთან" (სტუმრად) და თსუ-სთან, მინიმალური ანგარიშით მოიგეს და ცხრილში სატურნირო მდგომარეობაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს, მაგრამ პირველი ეტაპის პირველი წრის გასრულებას ერთი ტური აკლდა, აქ კი „კოლხეთი" მარადიულ მეტოქეს, წლეულს ჩემპიონობაზე დაგეშილ ქუთაისის „ტორპედოს" სტუმრად ეთამაშებოდა.

ფოთელთა ქუთაისში თამაშს კი თამაში არ ეთქმოდა. აბა, რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ პრინციპულ მეტოქესთან საწყის 37 წუთში გუნდი უკვე 0:4-ს აგებდა, მეორე ნახევარში სტუმრებმა მშრალ ანგარიშს თავი დააღწიეს. ეს ზაველ ლალანიძემ შეძლო.

— კიდევ ერთხელ საქმისადმი არაპროფესიული მიდგომა, „ტორპედოსთან" წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა. ქუთაისში ჩასვლამდე, სამტრედიის მისადგომებთან ავტობუსი გაგვიფუჭდა, იმის მაგივრად, რომ ფეხბურთელებს თამაშზე ეფიქრათ, ადგნენ და მიმდებარე ტერიტორიაზე რაც კი კარალიოკი იყო, თითქმის სულ შეჭამეს, მოდი და ამის მერე თქვი რამე. მოედანზე რომ გავიდნენ, ვერც კი მოძრაობდნენ, ისე იყვნენ დამძიმებულები — კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ამ იუმორნარევ ნათქვამში, ბევრ სიმწარესაც ამოიკითხავდით.

პირველი ეტაპის წრეებს შორის შესვენება არ ყოფილა. ჰოდა, როგორც მკვდრეთით აღმდგარი, სწორედ ისე შეუდგა „კოლხეთი" საქმეს. ხობში სრულფასოვანი რევანში — 3:0, სტუმრად „გორდასთან" 1:0 მოგება, სადაც კოლხებს სამი წელი არ ემარჯვათ, ასევე სრულფასოვანი რევანში გორის „დილასთან" შინ — 3:0 და... ისევ მარცხი, სამტრედიაში „იბერიასთან" 0:1. მაგრამ ფაქტი იყო, ფოთის „კოლხეთს" „ბ" ზონაში განაღდებულ მეორე ადგილს უკვე ველარავინ წაართმევდა, ახლა მთავარი ქულების დაგროვება იყო, ისინიც ეცადნენ. საბოლოოდ კი ფოთელებმა 14 შეხვედრაში 25 ქულა დააგროვეს, „ელიტაში" კი განახევრებული 13 ქულით და მესამე ადგილით შევიდნენ.

ბოლოს ფოთელთა საგაზაფხულო გეგმებზეც ვთქვათ. „კოლხეთი", ისევე როგორც ჩვენი გუნდების უმრავლესობა ახლა არდადეგებზეა. თუ კლუბის ხელმძღვანელობას ვერწმუნებით, გია ტყებუჩავამ ფეხბურთელები დეკემბრის მეორე ნახევარში დაიბარა და სამზადისსაც მაშინ შეუდგებიან. გუნდი ჯერ ადგილზე გაივლის მზადებას, მერე შარშანდელივით, ალბათ, ბაკურიანს და ბულგარულ ნესებრსაც მიაკითხავს. რაც შეეხება გუნდში მოსალოდნელ ცვლილებებს, ფოთელები აუცილებლად აპირებენ გაძლიერებას, ამასთანავე იმათაც შეელევიან, რომელნიც გუნდს აღარ, თუ ველარ გამოადგებიან. ვის დაბრუნებას აპირებენ ისინი, ამასაც მოგახსენებთ. „ლოკომოტივში" განათხოვრებულნი — ქობულაძე და შავგულიძე ალბათ დაგვიბრუნდებიან, ამასობაში გელა ფანჩულიძეც ტრავმას მოიშუშებს და ფორმაში ჩადგება, კიდევ ორ-სამ ძლიერ ფეხბურთელსაც დავიმატებთო — აცხადებენ კოლხები.

ერთი სიტყვით, ესაა. „კოლხეთი", მიუხედავად წერილის დასაწყისში ნათქვამი სიტყვებისა, უეჭველად საპრიზოსთვის იბრძოლებს, ხოლო რა და როგორ იქნება, ამას ჩემპიონატის ბოლოს, მაისში შევიტყობთ. მანამდე კი ფოთელებს ერთს ვურჩევთ — ნულარ შეჭამთ კარალიოკს თამაშის წინ.

**გიორგი ვაშაკიძე**

ბადრი კეთილაძის ფოტო



„კოლხეთის" ერთ-ერთი ლიდერი ჯონი შალამბერიძე

## პირველი ეტაპის შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ხობი | 2:3 შ | ხუჭუა, ბულუხია |
| 2 | გორდა | 2:0 შ | ტრაპაიძე, დ. გოგოლაძე |
| 3 | დილა | 0:3 ს | |
| 4 | იბერია | 1:0 შ | ტორჩინავა |
| 5 | მერანი | 2:1 ს | ლალანიძე ტრაპაიძე |
| 6 | თსუ | 1:0 შ | დ. გოგოლაძე |
| 7 | ტორპედო | 1:4 ს | ლალანიძე |
| 8 | ხობი | 3:0 ს | შალამბერიძე 2, ტორჩინავა |
| 9 | გორდა | 1:0 ს | ლალანიძე |
| 10 | დილა | 3:0 შ | ე. გვასალია, შალამბერიძე, ლალანიძე |
| 11 | იბერია | 0:1 ს | |
| 12 | მერანი | 1:0 შ | ხუჭუა |
| 13 | თსუ | 2:3 ს | შალამბერიძე, ბულუხია |
| 14 | ტორპედო | 0:0 შ | |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ვალერი ტორჩინავა | 14 | 2 | 0 | 0 |
| გოჩა ტრაპაიძე | 14 | 2 | 1 | 0 |
| ზაველ ლალანიძე | 14 | 4 | 1 | 0 |
| დავით ხუჭუა | 13 | 2 | 1 | 0 |
| მამუკა გვასალია | 13 | -15 | 0 | 0 |
| მამუკა მელაძე | 11 | 0 | 0 | 0 |
| ამირან კედელაშვილი | 11 | 0 | 1 | 0 |
| კახაბერ გოროზია | 11 | 0 | 2 | 0 |
| გოგიტა ქუნთელია | 10 | 0 | 1 | 1 |
| თამაზ კიკლიაშვილი | 10 | 0 | 0 | 0 |
| ჯონი შალამბერიძე | 10 | 4 | 1 | 0 |
| მამუკა ბულუხია | 9 | 2 | 1 | 0 |
| გიორგი დავითნიძე | 8 | 0 | 3 | 0 |
| დავით გოგოლაძე | 6 | 2 | 1 | 0 |
| ელდარ გვასალია | 6 | 1 | 1 | 0 |
| გია გიორგაძე | 6 | 0 | 0 | 0 |
| ლევან ანჯაფარიძე | 6 | 0 | 1 | 0 |
| ელგუჯა პაპავა | 6 | 0 | 2 | 0 |
| მამუკა ჯღარკავა | 3 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი კრასოვსკი | 1 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ინიაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |
| ზაზა ბურკვაძე | 1 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ ქვაჩახია | 1 | 0 | 0 | 0 |



თ - თამაში; გ - გოლი; ყ - გაფრთხილება; წ - გაძევება

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 3 | 0 | 33:5 | 28 | 36 | 7 | 5 | 2 | 0 | 18:4 | 14 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:1 | 14 | 19 |
| 2 | კოლხეთი | 14 | 8 | 1 | 5 | 19:15 | 4 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 9 |
| 3 | დილა | 14 | 6 | 2 | 6 | 19:24 | -5 | 20 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | -6 | 7 |
| 4 | იბერია | 14 | 5 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 13 | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 5 |
| 5 | გორდა | 14 | 5 | 1 | 8 | 17:18 | -1 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:5 | 8 | 13 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:13 | -9 | 3 |
| 6 | თსუ | 14 | 4 | 4 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:9 | -5 | 6 |
| 7 | მერანი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:15 | -1 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:6 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ხობი | 14 | 2 | 4 | 8 | 15:24 | -9 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:11 | -2 | 5 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |

## მეორე ეტაპი

I-VIII ადგილები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 18 |
| 2 | დინამო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 17 |
| 3 | კოლხეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 4 | ბათუმი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 13 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 12 |
| 6 | სიონი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 11 |
| 7 | დილა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 10 |
| 8 | იბერია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 9 |

# ფონტენი სამშობლოს ეხმარება

ჟიუსტ ფონტენმა 1958 წელს შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე 13 გოლი გაიტანა. ეს რეკორდი დღემდე დაუმხობელია და ფეხბურთელსაც უპირველესად ამის გამო იცნობენ.

ვეტერანი ფრანგი ბომბარდირი მაროკოშია დაბადებული. ეს აფრიკული ქვეყანა მისი მეორე სამშობლოა. მოგეხსენებათ, მაროკო 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად იბრძვის. საორგანიზაციო კომიტეტმა ფონტენს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისას დახმარება სთხოვა. მაროკოელები თავიანთ სურვილს ასეთნაირად ხსნიან: „მაროკომ საფრანგეთს უდიდესი სპორტსმენები, ძირითადად მორაგბეები და ფეხბურთელები მისცა“ — ეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სიტყვებია.

მოლაპარაკებები ფონტენსა და კომიტეტს შორის დიდხანს არ გაგრძელებულა — ფონტენი უმალ დათანხმდა. მან თქვა: „მაროკოსთან საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს. იქ ვარ დაბადებული. ბავშვობის და სიჭაბუკის უბედნიერესი წლებიც მაროკოში გავატარე. ამიტომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მზად ვარ, მაროკოს კანდიდატურას პროპაგანდა გავუწიო“. ფონტენი აქაურ ფეხბურთთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული. 80-იან წლებში ის მაროკოს ეროვნულ ნაკრებს წვრთნიდა.

მაროკომ აქამდე ორჯერ გამოთქვა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი. 1994 და 98 წლებში მას არ გაუმართლა. ახლა აფრიკელები საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 560 მილიონი დოლარის დაბანდებას აპირებენ.

შევახსენებთ, აფრიკის საფეხბურთო კავშირმა ფიფას, მაროკოს და სამხრეთ აფრიკის კანდიდატურები წარუდგინა. სამხრეთელებს მეტი გამოცდილების და უკეთ მოწყობილი მეურნეობის გამო მაროკოსთან შედარებით უპირატესობა ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსანი პირები კორუფციაში ამხილეს, მაროკოელები თვლიან, რომ შანსი მოემატათ.

გიორგი დარჯანია

## ინგლისი

### პირველი დივიზიონი

**ბლექბერნი 3:1 ბოლტონი**

1:0 უორდი (56), 1:1 ელიოტი (57), 2:1 მაკატირი (59), 3:1 ბლეიკი (80)

**ქრიუ 2:0 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ტაიტი (48), 2:0 სორველი (84)

**კრ. პალასი 2:2 იფსვიჩი**

1:0 სვენსონი (5), 1:1 ჰოლანდი (11), 1:2 იონსონი (34), 2:2 მოუბრეი (61ს.კ.)

**სიტი 1:2 სტოკპორტი**

1:0 ვიკენსი (49), 1:1 ბეილი (65), 1:2 დინინგი (86პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 22 | 13 | 4 | 5 | 39:22 | 43 |
| სიტი | 22 | 13 | 3 | 6 | 32:19 | 42 |
| ჩარლტონი | 21 | 12 | 4 | 5 | 38:24 | 40 |
| იფსვიჩი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:25 | 39 |
| ბარნსლი | 21 | 11 | 3 | 7 | 39:33 | 36 |
| სტოკპორტი | 22 | 9 | 7 | 6 | 27:30 | 34 |
| ფულემი | 21 | 8 | 9 | 4 | 24:18 | 33 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:23 | 32 |
| ქუინზ პარკი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:28 | 32 |
| ბოლტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 32:26 | 31 |
| ბლექბერნი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 |
| ვულვზი | 20 | 7 | 8 | 5 | 23:19 | 29 |
| ტრანმერი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:32 | 29 |
| ნორვიჩი | 21 | 7 | 7 | 7 | 19:19 | 28 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 5 | 10 | 6 | 21:23 | 25 |
| კრ. პალასი | 22 | 6 | 7 | 9 | 30:36 | 25 |
| გრიმსბი | 21 | 7 | 4 | 10 | 22:34 | 25 |
| ქრიუ | 21 | 6 | 5 | 10 | 25:30 | 23 |
| პორტვეილი | 22 | 5 | 7 | 10 | 26:31 | 22 |
| ნოტინგემი | 21 | 5 | 6 | 10 | 23:27 | 21 |
| პორტსმუთი | 22 | 5 | 6 | 11 | 25:36 | 21 |
| შეფილდ იუნ. | 22 | 5 | 6 | 11 | 25:38 | 21 |
| უოლსოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 19:34 | 19 |
| სუინდონი | 22 | 3 | 8 | 11 | 16:34 | 17 |

## რუმინეთი

XX ტური

**ბაკეუ 1:1 ნაციონალი**

0:1 რ. ნიკულესკუ (21), 1:1 პეტკუ (82)

**გლორია 1:0 ექსტენსივი**

1:0 მისტი (50)

**არჯეში 3:1 როკარი**

1:0 გალმენჩეა (22), 2:0 მარა (32), 3:0 ნეაგა (62), 3:1 დანჩიუ (74)

**ჩაჰლეული 0:3 რაპიდი**

0:1 ბოლოპანი (20), 0:2 სტანჩიუ (84), 0:3 რადუ (88)

**უნივერსიტატია 3:0 ფარული**

1:0 კ. ნიკულესკუ (13), 2:0 კრისტესკუ (29), 3:0 ვიგარიუ (84)

**სტიაუა 2:2 ბრაშოვი**

1:0 ჩიოკოიუ (24), 2:0 როსუ (29), 2:1, 2:2 ივანი (56, 89პ)

**ასტრა 5:0 ონეშტი**

1:0 ბასტონი (4), 2:0 მასატი (47ს.კ.), 3:0, 4:0 ჩიორეა (84, 87პ), 5:0 სავუ (90)

**ოცელული 3:2 პეტროლული**

1:0 მალესი (36პ), 1:1 ორლანდო (62), 2:1 ჩერნატი (67), 3:1 ნიტა (83), 3:2 პარვუ (89)

**დინამო 2:1 რეშიცა**

1:0 ნიკოლაე (56), 2:0 მიჰალკე (68), 2:1 ლუპესკუ (83)

რუმინეთში ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. „რეშიცასთან“ 2:1 მოგების შემდეგ ლიდერობას კვლავ ბუქარესტის „დინამო“ ინარჩუნებს. მეორე დედაქალაქურმა კლუბმა — „რაპიდმა“ სტუმრად 3:0 მოუგო „ჩაჰლეულს“. „რაპიდი“ ლიდერს 11 ქულით ჩამორჩება.

„სტიაუა“ დაბალადგილოსან „ბრაშოვს“ პირველი ტაიმის შემდეგ 2:0 უგებდა. გოლები თავდამსხმელმა კრისტიან ჩიოკოიუმ და ნახევარმცველმა ლორენტიუ როსუმ შეაგდეს. შესვენების შემდეგ მარტინ ივანმა ერთი ბურთი გაქვითა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში მანვე პენალტი გამოიყენა და შეხვედრა 2:2 დასრულდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 17 | 2 | 1 | 58:15 | 53 |
| რაპიდი | 20 | 13 | 3 | 4 | 35:20 | 42 |
| არჯეში | 19 | 12 | 3 | 4 | 27:15 | 39 |
| ჩაჰლეული | 20 | 11 | 4 | 5 | 27:25 | 37 |
| გლორია | 20 | 10 | 2 | 8 | 28:24 | 32 |
| ასტრა | 20 | 9 | 3 | 8 | 31:24 | 30 |
| ბაკეუ | 20 | 8 | 5 | 7 | 21:24 | 29 |
| სტიაუა | 18 | 9 | 2 | 7 | 36:33 | 29 |
| უნივერსიტატია | 20 | 8 | 4 | 8 | 26:20 | 28 |
| პეტროლული | 20 | 7 | 4 | 9 | 24:31 | 25 |
| ოცელული | 20 | 7 | 3 | 10 | 31:33 | 24 |
| ნაციონალი | 20 | 6 | 4 | 10 | 27:26 | 22 |
| ფარული | 20 | 6 | 4 | 10 | 24:34 | 22 |
| ბრაშოვი | 20 | 6 | 3 | 11 | 29:30 | 21 |
| როკარი | 19 | 7 | 0 | 12 | 24:31 | 21 |
| ონეშტი | 20 | 6 | 3 | 11 | 24:44 | 21 |
| რეშიცა | 20 | 4 | 5 | 11 | 24:45 | 17 |
| ექსტენსივი | 20 | 4 | 2 | 14 | 15:37 | 14 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მუტუ (დინამო) | 18 |
| ვლადოიუ (დინამო) | 12 |
| ჩიორე (ასტრა) | 11 |
| პეტკუ (ბაკეუ) | 9 |
| როშუ (სტიაუა) | 9 |
| მიჰალკე (დინამო) | 9 |
| ნიკოლესკუ (უნივერსიტატია) | 9 |
| ივანი (ბრაშოვი) | 9 |

### თასის გათამაშება

მერვედფინალი

არჯეში — რეშიცა 1:3; ნაციონალი — ბრაშოვი 4:2; რაპიდი — გლორია 1:0; ოცელული — ასტრა 2:1; ბერკა — პეტროლული 0:2; სტიაუა — უნივერსიტატია 0:1; ბაკეუ — ჩაჰლეული 1:0; დინამო — როკარი 3:1

მეოთხედფინალი

რაპიდი — ბაკეუ 2:1 დ.დ.; უნივერსიტატეა — პეტროლული 1:0; რეშიცა — ოცელული 1:2; ნაციონალი — დინამო 2:3

## უნგრეთი

XVI ტური

**კიშპეშტი 0:3 დიორი**

0:1 ჩისარი (34), 0:2, 0:3 ეროსი (55, 83)

**ფერენცვაროში 4:0 სეგედი**

1:0, 2:0 ჰორვატი (63, 78), 3:0 ბარანიოში (89), 4:0 მ. ტოტი (90)

**დებრეცენი 4:1 ვაცი**

1:0 ბაგოლი (28), 2:0 ვადიჩკა (34), 2:1 ვიიტეკოვცკი (37), 3:1 ბოდნარი (48), 4:1 კადარი (54ს.კ.)

**ნიირშეგი 1:1 დუნაფერი**

1:0 აჩი (42), 1:1 კომოდი (74)

**დიოშდიორი 0:2 მტკ**

0:1 ილეში (10), 0:2 მადარი (58)

**ტატაბანია 0:0 გაზსერი**

**უიპეშტი 1:1 ზალაეგერსეგი**

1:0 ნ. ტოტი (26პ), 1:1 შტრასერი (68)

**შიოფოკი 2:4 ჰალადაში**

0:1 ბალოგი (18), 1:1 კოვაჩი (20), 2:1 შოოში (29), 2:2 როშცა (52), 2:3 ბალოგი (66), 2:4 ბალაშა (90)

**ნადიკანიჟა 1:2 ვაშაში**

0:1 სილი (55), 1:1 კერეკეში (69), 1:2 ტიბერი (86)

ჩემპიონატის ლიდერმა „დუნაფერმა“ სტუმრად 1:1 ითამაშა „ნიირშეგთან“. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. 42-ე წუთზე მათმა მცველმა გუსტავ აჩმა გაიტანა. დუნაფერელმა ლასლო კომოდიმ 74-ე წუთზე შორეული დარტყმით წონასწორობა აღადგინა.

აქამდე მეორე ადგილზე მყოფმა ბუდაპეშტის მტკ-მ ასევე სტუმრად „დიოშდიორს“ 2:0 მოუგო. გოლები ნაკრების წევრმა ბელა ილეშმა და კსაბა მადარმა შეაგდეს. ამ გამარჯვების შემდეგ მტკ „დუნაფერს“ ქულებით დაეწია. ეს უკანასკნელი ლიდერობას ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით ინარჩუნებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუნაფერი | 16 | 9 | 6 | 1 | 38:15 | 33 |
| მტკ | 16 | 9 | 6 | 1 | 29:12 | 33 |
| ვაშაში | 15 | 10 | 1 | 4 | 27:12 | 31 |
| დებრეცენი | 16 | 7 | 5 | 4 | 23:17 | 26 |
| გაზსერი | 15 | 6 | 7 | 2 | 21:18 | 25 |
| ტატაბანია | 15 | 6 | 6 | 3 | 18:17 | 24 |
| ზალაეგერსეგი | 15 | 6 | 5 | 4 | 19:10 | 23 |
| დიორი | 16 | 5 | 6 | 5 | 24:18 | 21 |
| უიპეშტი | 14 | 5 | 6 | 3 | 20:18 | 21 |
| ფერენცვაროში | 15 | 4 | 5 | 6 | 22:15 | 19 |
| ჰალადაში | 15 | 5 | 2 | 8 | 17:23 | 17 |
| ნიირშეგი | 16 | 4 | 5 | 7 | 15:26 | 17 |
| კიშპეშტი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:17 | 15 |
| დიოშდიორი | 15 | 3 | 6 | 6 | 15:20 | 15 |
| ნადიკანიჟა | 16 | 3 | 6 | 7 | 14:21 | 15 |
| სეგედი | 16 | 3 | 4 | 9 | 12:37 | 13 |
| შიოფოკი* | 15 | 4 | 2 | 9 | 12:23 | 11 |
| ვაცი | 16 | 1 | 5 | 10 | 15:35 | 8 |

*შიოფოკს* დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოკოლი (დუნაფერი) | 10 |
| ჰორვატი (ფერენცვაროში) | 9 |
| ილეში (მტკ) | 7 |
| კენეშეი (მტკ) | 7 |
| ფრუნზა (დიოშდიორი) | 7 |

## მერკოსურის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**პალმეირასი (ბრაზილია) 3:0 სან ლორენსო (არგენტინა) (0:1)**

1:0 ჟუნიორ ბაიანო (3), 2:0, 3:0 არსე (74, 90პ)

მერკოსურის თასის პირველი ფინალისტის ვინაობა გაირკვა. „მანჩესტერისგან“ ძლეულმა „პალმეირასმა“ ჯავრი „სან ლორენსოზე“ იყარა. მცველმა ჟუნიორ ბაიანომ უკვე მატჩის მესამე წუთზე შეაგდო და ორი შეხვედრის ჯამში ანგარიში გაათანაბრა. ბრაზილიელებმა საქმე დამატებით დრომდე არ მიიყვანეს. 74-ე წუთზე პარაგვაელმა მცველმა ფრანსისკო არსემ საჯარიმო დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. თამაშის მიწურულს, 90-ე წუთზე, მანვე პენალტი ზუსტად დაარტყა. მატჩის მსვლელობისას ერთი ბურთის გაქვითვა არგენტინელებსაც შეეძლოთ. „სან ლორენსოს“ კოლუმბიელმა ფეხბურთელმა ივან კორდობამ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა, მეკარე მარკოსმა საკუთარი კარი ხელუხლებლად შეინახა.

ფინალის მეორე საგზურს ერთმანეთს ბრაზილიური „ფლამენგო“ და არგენტინული „ინდეპენდიენტე“ ეცილებიან.

მერკოსურის თასი სამხრეთ ამერიკაში ყველაზე ნაკლებ პრესტიჟულად ითვლება და ის ტელევიზიისთვის არის მოგონილი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხე ვალდანო

# ექიმე თავი შენი...
## რეალს ვალდანოს დაბრუნება სურს

პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში განცდილი სამარცხვინო მარცხისა და ცხრილში მე-17 პოზიციის დაკავების შემდეგ, ესპანეთის სამეფო კლუბის — მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობა სერიოზულად დაფიქრდა კადრების სტრუქტურულ ცვლილებებზე. როგორც ყოველთვის, ჯერ მთავარი დამნაშავის, მწვრთნელის პოსტს შეუდგა წყალი. არადა, ახალი თავკაცი ვისენტე დელ ბოსკე სულ ახლახან დაინიშნა „რეალის“ მთავარ მწვრთნელად. მან ანალოგიური მიზეზის გამო თანამდებობიდან გათავისუფლებული უელსელი ჯონ ტოშაკი შეცვალა.

გავრცელდა ხმები, თითქოს სამეფო კლუბს არგენტინელი ფეხბურთის სპეციალისტის, 43 წლის ხორხე ვალდანოს მადრიდში დაბრუნება განუზრახავს. რატომ დაბრუნება? ვალდანო 18 თვის განმავლობაში ავარჯიშებდა „რეალს“, 1994 წლიდან 1996 წლამდე. მაშინაც პოსტზე მან ვისენტე დელ ბოსკე შეცვალა, თუმცა წარუმატებლობის გამო, როგორც მოგახსენეთ, 18 თვეში გაათავისუფლეს.

თავად ვალდანო „რეალში“ დაბრუნების თაობაზე აცხადებს: „ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერი ვიცი. ვნახოთ, კლუბი რას შემომთავაზებს. მოვლენები ისე ვითარდება, არაფერია გამორიცხული. ასე რომ, ყველაფერი უნდა გაირკვეს“.

ვალდანოს დაბრუნებას „რეალის“ გულშემატკივარები მიესალმნენ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ ეს ის სპეციალისტია, რომელიც გუნდს ჩვეულ, შემტევ და მომხიბვლელ ფეხბურთს ათამაშებს.

ესპანურმა პრესამ გაავრცელა ცნობა, თითქოს „რეალს“ ვალდანოსთან კონტრაქტის გაფორმება სეზონის ბოლომდე სურს. ხოლო ამის შემდეგ მას გენერალური მენეჯერის პოსტს შესთავაზებს. „მადრიდის „რეალი“ ყოველთვის ჩემი განუყრელი ნაწილი იყო. ამ გუნდისთვის ყველაფერს გავიღებ“ — განაცხადა არგენტინელმა ფეხბურთის სპეციალისტმა.

# სამხრეთაფრიკელებს წელქვევით ურტყამენ

დრო სწრაფად გარბის. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა ორი დღის წინ ჩატარდა. რამდენიმე თვეც და 2006 წლის მასპინძელ ქვეყანასაც აირჩევენ. ეს კი ნიშნავს, რომ პრეტენდენტთა შორის ბრძოლა მწვავდება. ისინი ხუთნი არიან: ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა. როგორც წესი, ამ ქვეყნების წარმომადგენლები საკუთარ მიღწევებზე და შესაძლებლობებზე უნდა საუბრობდნენ, მაგრამ ფსონი ძალიან დიდია, ამიტომ პრეტენდენტები წელქვევით დარტყმებსაც მიმართავენ.

ხმები აგორდა, სამხრეთ აფრიკაში დანაშაულობათა რიცხვმა კატასტროფულად იმატა და იქ ჩასვლა მეტად საშიში გახდაო. საპასუხოდ სამხრეთელთა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დენი ჯორდანი მოწინააღმდეგეებს ციფრებით მანიპულირებაში სდებს ბრალს. ის ამბობს: „ადრე, აპარტეიდის დროს, მონაცემთა გაყალბება ხდებოდა. მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი შავკანიანი ნაწილი, პოლიციას არ ენდობოდა. ამიტომ დანაშაულთა დიდი ნაწილი განუცხადებელი რჩებოდა. სცოდავდა პოლიციაც. არსებული რეჟიმის კიდევ უფრო დისკრედიტირების თავიდან ასაცილებლად, სამართალდამცავები რიცხვებს ხელოვნურად ამცირებდნენ. იმდროინდელ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, თითქოს იდეალურ საზოგადოებაში ვცხოვრობდით. ახლა სხვა დროა. ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს და პოლიციაც კეთილსინდისიერად მუშაობს. ოპონენტები კი აპარტეიდისდროინდელ ყალბ და დღევანდელ სწორ მონაცემებს აფრიალებენ და გაიძახიან, შეხედეთ, დამნაშავეობის როგორი ტალღა აგორდაო. სინამდვილეში განსაკუთრებული არაფერია. კრიმინალები ხდება, მაგრამ გადამეტებულად არა. აი, წარმოიდგინეთ, ძვირფასეულობაასხმულმა ადამიანმა გვიან ღამით უკაცრიელ ქუჩებში სეირნობა რომ მოინდომოს, მას, ცხადია, გაძარცვავენ. მაგრამ მსოფლიოს სხვა ქალაქებშიც იგივე არ მოხდება?“

ჯორდანს კრის მაკერდუჯმაც აუბა მხარი. ეს კაცი ტოკიოში სამხრეთ აფრიკას წარმოადგენდა და ქვეყნის კრიკეტის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტია. მან თქვა: „როდესაც ჩვენთან 2003 წლის კრიკეტის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება გადაწყდა, კრიმინოგენულ სიტუაციაზე არავის არაფერი უთქვამს. ახლა კი ერთი ამბავი ატეხეს, თანაც უსინდისოდ ტყუიან“.

ამას წინათ ზეპ ბლატერმა სამხრეთაფრიკელებთან შეხვედრაზე დიპლომატიურად განაცხადა, მე თქვენს კანდიდატურას ვუჭერ მხარს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა დამოუკიდებლად არ შემიძლიაო.

ფიფას 24-კაციანი აღმასრულებელი კომიტეტი გაისად ივლისში აირჩევს მასპინძელ ქვეყანას. გამარჯვებისთვის რომელიმე კანდიდატმა 13 ხმა უნდა მიიღოს. თუ ხმების ამ რაოდენობას ვერავინ მიიღებს, ორი საუკეთესო მეორე ტურში დაუპირისპირდება ერთმანეთს.

გიორგი დარჯანია

## ფეხბურთის რუკასთან



**ბელგიის** ხელისუფლება გადამყიდველების პრობლემას შეუწუხებია. საქმე ევრო-2000-ის მატჩებზე დასასწრები ბილეთებით სპეკულაციას ეხება. როგორც ჩანს, შავი ბაზარი ძალიან გააქტიურდა. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ამის გამო საგანგებო განცხადება გააკეთა. მან ხელის მოთბობის მსურველებს ბელგიური კანონები შეახსენა, სადაც სპეკულანტებს ექვსი თვიდან სამ წლამდე პატიმრობა ემუქრებათ. გათვალისწინებულია ჯარიმებიც, რომელთა თანხაც ათასიდან, ასი ათას დოლარამდე მერყეობს. ცხადია, შავ ბაზარზე გამოტანილი ბილეთების კონფისკაციაც მოხდება. ბელგიის პარლამენტის წევრმა ჟაკ დევოლდერმა თქვა, რომ წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე პოლიციას ყველაზე მეტად სწორედ უბილეთო გულშემატკივრები აწუხებდნენ. მან უბილეთოების მკაცრად გაკონტროლება მოითხოვა. თუმცა სპეკულაციასთან ბრძოლა სულ უფრო და უფრო ძნელდება. ამ პროფესიის წარმომადგენლებმა თანამედროვე ტექნიკის მიღწევები კარგად აითვისეს. ისინი ბილეთებს ინტერნეტის საშუალებით ყიდიან.

**ინგლისის დედაქალაქში სამშაბათს „სოტბის" მორიგი აუქციონი ჩატარდა. ეს ამბავი ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ მასზე სპორტული ჯილდოები იყო წარდგენილი. აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის დროინდელი ბილეთები, პლაკატები და მატჩების პროგრამები. ასევე გაიყიდა ჟიულ რიმეს თასის ბრინჯაოს ასლი, რომელიც ურუგვაელებს 1950 წელს მოპოვებულ მსოფლიოს ჩემპიონატს აგონებდა. მათ ეს რელიქვია არც ისე ძვირად, 7473 დოლარად დათმეს. თავად ორიგინალი, რომელიც ბრაზილიას 1970 წელს სამუდამოდ გადაეცა, მოგეხსენებათ, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ უკვალოდ გაქრა. მძარცველებმა თასი სავარაუდოდ გადაადნეს და ოქროს ზოდად გაასაღეს. აუქციონზე ყველაზე ძვირადღირებული ნივთი ურუგვაელი შუბერტ გამბეტას ოქროს მედალი აღმოჩნდა. გამბეტას ეს ჯილდო 1950 წელს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონს, გადასცეს. მედლის საბოლოო ფასი — 24290 დოლარი, საწყისს ორჯერ აღემატება და ის ანონიმურმა მყიდველმა დაისაკუთრა. 5231 დოლარად შეფასდა ინგლისის ეროვნული ნაკრების №6 მაისურა. იგი 1969 წელს ბობი მურს ეცვა. საინტერესოა, რომ ორ მაისურას ახალი მფლობელი არ გამოუჩნდა. ისინი ბობი ჩარლტონს და პელეს ეკუთვნოდათ. სულ აუქციონზე გაყიდული ნივთების ფასმა ნახევარ მილიონ დოლარს გადააჭარბა.**

**ბელგიის** დედაქალაქში 12 დეკემბერს ევრო-2000-ის ფინალური ეტაპის წილისყრა ჩატარდება. ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, კალათებიდან ბურთებს ის ათი ფეხბურთელი ამოიღებს, რომლებიც სხვადასხვა დროს ევროპის ჩემპიონები გამხდარან. ბრიუსელის საგამოფენო ცენტრში (სადაც ეს ღონისძიება გაიმართება) მიწვეულნი არიან: ვიქტორ პონედელნიკი (სსრკ, 1960), ლუის სუარესი (ესპანეთი, 1964), ჯაჩინტო ფაკეტი (იტალია, 1968), ფრანც ბეკენბაუერი (გფრ, 1972), ანტონინ პანენკა (ჩეხოსლოვაკია, 1976), ბერნდ შუსტერი (გფრ, 1980), მიშელ პლატინი (საფრანგეთი, 1984), ფრანკ რაიკარდი (ჰოლანდია, 1988), ჯონ იენსენი (დანია, 1992), თომას ჰელმერი (გერმანია, 1996)

**ინგლისის პრემიერლიგაში „ლიდსი" ყველაზე ახალგაზრდულ გუნდად ითვლება. ამიტომ მისი ფეხბურთელების ყმაწვილური სულსწრაფობა და თავდაჯერება გასაგებია. კლუბის მენეჯერს, დევიდ ოლირის ამას წინათ „ლიდსის" გაჩემპიონების შესახებ ჰკითხეს. დარბაისელმა ირლანდიელმა პასუხად მხრები აიჩეჩა. გუნდის კაპიტანმა, სამხრეთაფრიკელმა რადებემ ასეთი კომენტარი გააკეთა: „ჩემპიონობის მოპოვების ურეალურესი შანსი გვაქვს. რატომაც არა?" 17 ჩატარებულ მატჩში „ლიდსს" 38 ქულა აქვს და „მანჩესტერს" ორით უსწრებს. იორკშირული კლუბი, რომელიც 70-იან წლებში ბრწყინავდა, ქვეყნის ჩემპიონი ბოლოს 1992 წელს გახდა. მიმდინარე სეზონში გუნდმა თავისი 68 წლის წინანდელი რეკორდი დაამხო, მან ზედიზედ ათ შეხვედრაში გაიმარჯვა. ლუკას რადებე ამბობს: „ჩვენ არ გვყავს ისეთი ფინანსური შესაძლებლობების მქონე გუნდი, როგორიც „მანჩესტერი", „არსენალი" ანდა „ჩელსია". ჩვენ ასევე არ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც 20 და 30 მილიონად შეგვიძენია. სამაგიეროდ, თითოეული ჩვენგანი ენთუზიაზმით არის სავსე. ბიჭები ძალიან ბევრს ვმუშაობთ და ერთმანეთსაც ვეხმარებით. ასეთ გარემოში ყოფნა უდიდესი სიამოვნებაა. 30 წლის ვარ, მაგრამ თავს პატარა ბიჭად ვგრძნობ. მწამს, აუცილებლად მივაღწევთ იმას, რასაც ვიმსახურებთ".**

# შემდეგ რონალდოს ჯერზე

რონალდომ პარიზის ერთ-ერთ კლინიკაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა. მილანში დაბრუნებულმა ვარსკვლავმა კლუბის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია მოაწყო. როგორც ცნობილია, ბრაზილიელის სრულ გამოჯანმრთელებას ოთხი-ხუთი თვე დასჭირდება. ამის მიუხედავად, რონალდოს უგუნებობა არ ეტყობოდა. მან თქვა: „კმაყოფილი ვარ, რომ ოპერაციით ყველა პრობლემა მოგვარდა. მარწმუნებენ, მუხლი აღარ შეგაწუხებსო. ვარჯიშს უკვე შევუდექი და სულ მალე ისევ ძველი რონალდო ვიქნები. ექიმებმა სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამა მომიმზადეს. ვფიქრობ, ამ სეზონში კვლავ შევძლებ თამაშს". ჟურნალისტებმა ფეხბურთელს 21 ნოემბრის გახსენებაც სთხოვეს. „ლეჩეს" წინააღმდეგ სათამაშოდ სრულ მზადყოფნაში გავედი. არა, ჩემს შესაძლებლობებს სრულად ვერ გამოვავლენდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ყველაფერი გამომივიდოდა. „სან სიროზე" მინდორი სველი და დამძიმებული იყო. ფეხი გადამიბრუნდა და მუხლის ტრავმამ თავი შემახსენა. გრუნტი რომ საუკეთესო მდგომარეობაში ყოფილიყო, იქნებ ეს არ მომხდარიყო".

გულაჩუყებულმა რონალდომ ჟურნალისტებს ისიც უთხრა, ყოველდღიურად უამრავ გამამხნევებელ წერილს ვღებულობო. კლინიკაში ყოფნისას მას ალესანდრო დელ პიეროც შეხმიანებია.

ფეხბურთს დროებით ჩამოცილებულ ვარსკვლავს დასასვენებლად არ სცალია. საშობაოდ რონალდო ოჯახურ ულელში გაყოფს თავს. ახლა ის ბრაზილიაში მიიჩქარის, სადაც გულისწორი მილენ დომინგესი ელის.

ბრაზილიის ნაკრები კი 28 მარტს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას ურუგვაის წინააღმდეგ რონალდოს გარეშე გამართავს.

# ყურადღებას მეცხრე იპყრობს

## ინგლისს ისევე უნდა გერმანიის მოგება, როგორც შოტლანდიას ინგლისის




**როდესაც** ტოკიოს „ეროვნულ ფორუმში" მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრამ დაგეგმილ 90 წუთს გადააჭარბა და „დამატებით დროს" შეუყვა, აზიურმა საზოგადოებრიობამ ღიმილი ვერ შეიკავა — მეცხრე ჯგუფში განაწილებულ ინგლისის ნაკრებს მეტოქედ გერმანია ერგო.

„გუნდში სასწრაფოდ უნდა დავაბრუნო ჯეფ ჰერსტი" — შესძახა ინგლისელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა.

„ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ ყველასთვის საინტერესოა. ამ გუნდების დაპირისპირება ჩვეულებრივი არასდროს ყოფილა. ეს შეჯიბრების მთავარი მოვლენა იქნება" — ბრძანა სერ ბობი ჩარლტონმა, რომელმაც ახლაც, ისევე, როგორც 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, „უემბლიზე", ფრანც ბეკენბაუერს ხელი ჩამოართვა.

ნუ დაგვავიწყდება ერთი რამ: კვირას, 12 დეკემბერს, ბრიუსელში ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრაა, სადაც ილბალმა — თუ განსაკუთრებული ხუმრობის ხასიათზე დადგა — შესაძლოა ინგლისი და გერმანია კვლავ ერთ ჯგუფში მოახვედროს. მაგრამ მეხსიერების გამოსაღვიძებლად ტოკიოც საკმარისი გამოდგა.

1966, „უემბლი", ჯეფ ჰერსტის ჰეთ თრიქი...

1990, კრის უოდლი პენალტს აცილებს. მას ლოთარ მათეუსი ამხნევებს...

1996, პენალტს აცილებს გარეთ საუთგეიტი...

„ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ განსაკუთრებული ხასიათის თამაში გახლავთ" — ამბობს გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ერიხ რიბეკი — „თქვენ შეგიძლიათ შეხვედრა ორშაბათს, დილის 9 საათზე დანიშნოთ და ნახავთ, რომ ბილეთის შეძენის მსურველი სტადიონის ტევადობაზე რამდენჯერმე მეტი იქნება. იცით, ჩვენი ერთ ჯგუფში მოხვედრა თითქოს კომპიუტერში იყო დაპროგრამებული. კენჭისყრის წინა საღამოს მე და კევინი ლუდს შევექცეოდით და სწორედ ამაზე ვსაუბრობდით".

კიგანი ამასთან დაკავშირებით ხუმრობს: „გმადლობთ, ერიხ იმ საღამოს დიდძალი ინფორმაცია რომ მომაწოდეთ".

„ინგლისი და გერმანია დიდებული ქვეყნებია. ისინი მხოლოდ მზეზე მისაფიცხებლად არ გამოდგებიან. კიდევ კარგი ამჯერად პენალტებს არ დავარტყამთ" — კარგ ხასიათზე გახლდათ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარე ჯეფ ტომპსონიც.

დამთავრდა თუ არა კენჭისყრა, ინგლისელებმა იმ სარბიელის შერჩევაზე დაიწყეს ფიქრი, რომელზეც გერმანიას უნდა უმასპინძლონ.

„მე ნიუკასლში, „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" თამაში მესიამოვნებოდა და ვგონებ, ამ სტადიონზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ" — უთქვამს კიგანს მეორე დღეს — „მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდისა" და ლივერპულის „ენფილდ როუდის" საწინააღმდეგოც არ უნდა მქონდეს. ისინი ხომ ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს".

შეხვედრის პროვინციაში ჩატარება „უემბლის" რეკონსტრუქციითაა განპირობებული. რაც შეეხება „სენტ ჯეიმსიზ პარკს", მისი მინუსი შედარებით მცირე ტევადობა გახლავთ.

მაგრამ კიგანი ნიუკასლელთათვის კულტია. ის იქ მწვრთნელიც ყოფილა და მოთამაშეც, ამიტომაც თვლის, რომ 5 ან 10 ათასი მაყურებლით მეტი თუ ნაკლები ბევრს არაფერს ნიშნავს.

„ესპანელები ამას წლობით აკეთებდნენ. ისინი ნაკრებს სევილიაში ათამაშებდნენ, არადა სევილიის სტადიონი სულაც არ გახლავთ მათ ქვეყანაში უდიდესი. მე თუ მკითხავთ, ინგლის-გერმანიისათვის საკმარისი ტევადობის სარბიელი სულაც არ არსებობს. ასეთი „უემბლიც" კი არ გახლავთ. ამიტომ, ჩვენთვის ყველაზე სასურველ ადგილს უნდა მივაშუროთ" — ამბობს ინგლისელთა მწვრთნელი.

გაზეთი „დეილი მეილი" წერს, რომ ნიუკასლის პლუსი ინგლისის ნაკრების კაპიტნის ალან შირერის იქაურობაც გახლავთ, მაგრამ მაინც არ გამორიცხავს, რომ ასეთი გულახდილობითთსთვის კიგანი შეიძლება სერიოზულ უსიამოვნებებს გადააწყდეს.

„მირორი": „1966 წლის მერე, შედეგები ჩვენს სასარგებლოდ არ მეტყველებს. მთელი უბედურება კი ის გახლავთ, რომ ჩვენ გერმანელების დამარცხება ისევე გვწყურია, როგორც შოტლანდიელებს ჩვენი".

„სანი": „ეს რა კენჭისყრა გამოვიდა, ინგლისი კიდევ გერმანიას შეხვდა. ძალიან გთხოვთ, ომი აღარ გავიხსენოთ. ვის სჭირდება ომის გახსენება, როდესაც საფეხბურთო მოედანზე ისინი ცხრაჯერ გვყავს დამარცხებული. თუკი ამ წლის დასაწყისში გერმანიას შოტლანდიამ მოუგო, ჩვენ რატომ ვერ უნდა ვაჯობოთ?"

ისევ კიგანს დავუბრუნდეთ. ის ამბობს: „გერმანიაში ცხოვრების სამი საუკეთესო წელიწადი მაქვს გატარებული. ინგლისელებს და გერმანელებს ძალიან ბევრი გვაქვს საერთო. ვიცი, ბევრი იტყვის, რომ ეს მართალი არ არის, რადან წლების მანძილზე მრავალი პრობლემა გვქონია, მაგრამ მე იმ ხალხმა ჩინებულად მიმიღო.

იქ ჩემი ქალიშვილი დაიბადა. ხშირად შევხვედრივარ ფრანც ბეკენბაუერსა და გერდ მიულერს, მყავს უამრავი მეგობარი, მაგრამ ორჯერ, 90 წუთის განმავლობაში მტრებად უნდა ვიქცეთ. ინგლისისა და გერმანიის შეხვედრები ყოველთვის განსაკუთრებულია. 1966 წელს 15 წლისა გახლდით და გონებაში საგანგებოდ ჯეფ ჰერსტის მესამე გოლი ჩამებეჭდა".

შემდეგ კიგანმა კოლეგის, რიბეკის დაცვას მიჰყო ხელი: „ის ბოლოხანს სერიოზულად აკრიტიკეს. რომ გაიგო, რას ნიშნავს თურქეთთან დამარცხება, გერმანელი უნდა იყო. მახსოვს, რიბეკის გუნდმა ამერიკასთანაც წააგო, მაგრამ კრიზისი ღირსეულად დაძლია.

მართალი გითხრათ, მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზე უემოციოდ ჩამოვედი, რადგან გონებაში ევრო 2000 მიტრიალებს, მაგრამ ახლა სხვაა. იქნებ უცნაურადაც ჟღერდეს, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, კენჭისყრის შედეგებში არაფერს შევცვლიდი. ჩვენი და გერმანელების შესრულებით ცუდი თამაში ვერ წარმომიდგენია".

ბობი ჩარლტონმა დასძინა, რომ ინგლისს არაფრისა უნდა ეშინოდეს საკუთარი თავის გარდა:

„ყველაფერი თავდაჯერების ამბავია. გერმანელები არაფრით გვჯობნიან. მართალია ისინი მუდამ კარგად გახლავან ორგანიზებული, მაგრამ კრიზისის პერიოდში საშინელი ჩავარდნებიც სჩვევიათ".

მართალია, ინგლისი გერმანიის წინააღმდეგ საგანგებო ყურადღებას იპყრობს, მაგრამ მეცხრე შესარჩევ ჯგუფში სხვანიც, კერძოდ ფინელები, ბერძნები და ალბანელებიც გახლავან.

ფინეთის ეროვნული გუნდის თავკაცი ანტი მიურინენი: „ჩვენ სულ უკეთ და უკეთ ვთამაშობთ. სემი ჰიიპია „ლივერპულში" ჩინებულად გამოდის, მიკაელ ფორსელი კი „ჩელსიშია".

კენჭისყრის დღეს საგანგებო ხასიათზე დამდგარი კიგანი ყველას ეხუმრებოდა. საბერძნეთის დელეგაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს მან ბერძნულ რესტორანში წასვლა და ერთმანეთისთვის თეფშების სროლა შესთავაზა.

მეცხრე ჯგუფის აუტსაიდერად ალბანეთი ითვლება. გუნდის ყოფილი მწვრთნელი, ასტრიტ ჰაფიზი ამბობს:

„მოდით, რეალობის გრძნობას ნუ დავკარგავთ, მაგრამ ვგონებ პერსპექტივა მაინც გვაქვს. ჩვენ კვლავ საუკეთესო გუნდებთან ჭიდილში მოგვიწევს საკუთარი უნარის დამტკიცება. მიღწევად საშინაო შეხვედრებში იმაზე მეტი ქულის დაგროვებას ჩავთვლი, ბოლო შესარჩევ ციკლში რომ დავაგროვეთ. მართალია, პირველი შთაბეჭდილების თანახმად ჩვენს გუნდს ძალიან ძნელი თამაშები ელის, მაგრამ, ხომ იცით, ყველაფერი ხდება".

ჰაფიზის თანამდებობიდან მოხსნის მიზეზი ალბანეთს გარეთ გაუგებარი დარჩა. ამ სპეციალისტის ხელში ხომ გუნდმა ისტორიაში სარეკორდო შედეგს მიაღწია — ევრო 2000-ის შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილზე არ გავიდა. ალბანელებმა საქართველოს აჯობეს.

**მიხეილ სურგულაძე**

# სიდნეი 2000

## ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დარჩა 281 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელდარ კურტანიძე, ან მოვკვდები ან გავიმარჯვებო

*ელდარ კურტანიძეს, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანს, მსოფლიოს ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს, ქართველ გულშემატკივართან წარდგენა არ სჭირდება. იგი უკვე სიდნეის ოლიმპიური ლიცენზიის მფლობელიცაა. თუმცა მისთვის წლევანდელი სეზონი უიღბლო გამოდგა. ყოველივე ამის ფონზე, ვფიქრობთ, მასთან ინტერვიუ უინტერესო არ უნდა იყოს:*



**— ელდარ, მოდით კიდევ ერთხელ გაიხსენეთ, როგორ მოხვედით ჭიდაობაში?**

— ბავშვობაში საკმაოდ კარგი ფიზიკური მონაცემები მქონდა. ამასთან ჩემში ჭიდაობის ნიჭიც აღმოაჩინეს. ამიტომ ერთ მშვენიერ დღეს, მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მეზობლის ბიჭებთან ერთად საჭიდაო ხალიჩაზე ამოვყავი თავი. ისე, მშობლებს ჩემი პროფესორობა უნდოდათ.

**— თქვენ მრავალ საერთაშორისო ტურნირზე გიასპარეზიათ და წარმატება-წარუმატებლობაც ბევრი გქონიათ. იქნებ გაიხსენოთ ყველაზე სასიხარულო და გულდასაწყვეტი ეპიზოდები თქვენი სპორტული კარიერიდან.**

— თავიდან, როცა საერთაშორისო ასპარეზზე ვიწყებდი გასვლას, იქ წარმატების მოპოვება საკმაოდ მუქ ფერებში მესახებოდა, თუმცა სტარტზევე რამდენიმე „ა" კატეგორიის ტურნირი მოვიგე. ყველა გამარჯვება ჩემთვის უდიდესი სიხარულის მომტანი იყო, მაგრამ განსაკუთრებით 1992 წელი ჩამრჩა მეხსიერებაში. მაშინ ბუდაპეშტში, დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით პირველად, ევროპის ჩემპიონი გავხდი ახალგაზრდებში. ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდი კი 1997 წელს მქონდა კრასნოიარსკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, სადაც მეტოქის შეუფასებლობის გამო დავმარცხდი.

**— თქვენ წლეულს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონობას გეგმავდით, მაგრამ ორივეგან ხელი მოგეცარათ. როგორ ფიქრობთ, რა დაგაკლდათ წარმატების მისაღწევად?**

— ევროპის ჩემპიონატზე ვერაფერს ვიტყვი, რადგან იქ ნამდვილად არ ვყოფილვარ საჩემპიონო ფორმაში. აი, მსოფლიოზე კი სპორტულმა იღბალმა ზურგი შემაქცია და ამაზე ნამდვილად მწყდება გული. შეიძლება ითქვას, რომ კარიერის განმავლობაში საუკეთესო ფორმაში ვიყავი და ვგრძნობდი, ჩემპიონება შემეძლო. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ... პირველად ჩემს კარიერაში მხრის მყესები დამიშავდა, უიღბლობით ისე გავმწარდი, რომ ცრემლიც კი მომადგა. ვინც სპორტსმენია, ის გამიგებს, თუ რას ნიშნავს, როცა მეტოქეზე ერთი თავით მაღლა დგახარ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ამარცხებ.

**— მაშინ თქვენ ანკარაში მედალი ვერა, მაგრამ ოლიმპიური ლიცენზია კი მოიპოვეთ. მაგრამ საინტერესოა, რითი ახსნიდით თქვენს ბოლოდროინდელ არასტაბილურ ასპარეზობას?**

— თურქეთში ნაჩვენებ შედეგს, შედეგს ვერ ვუწოდებ. შედეგი მაშინ იქნებოდა, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გავმხდარიყავი. ისე, ყველაფერთან ერთად ჩემს ბოლოდროინდელ შედეგებში დამნაშავე ჩემი ბიუჯეტში ღრმად განსწავლულობაც შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ჩვენი ხელფასების ნაწილი ბიუჯეტზეც არის დამოკიდებული. მე სულ არ უნდა მაინტერესებდეს ქაღალდებში ქექვა და იქ ტვინის ჭყლეტა. ჩემი მთავარი საფიქრალი ვარჯიში უნდა იყოს, მაგრამ რას იზამ...

## მანამდე კი მას ბიუჯეტში ღრმადგანსწავლულობა უშლის ხელს

რაც შეეხება არასტაბილურობას, შემიძლია შეგეკამათოთ. ოლიმპიადებს შორის ჩავარდნა ყველა სპორტსმენს შეიძლება ჰქონდეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სპორტსმენის კარიერაში. სულ უმაღლეს პიკზე ვერ იქნები, რადგან შეიძლება გადაიწვე. მანქანა რომ სულ 120-ით ატარო, ხომ გამოვა მწყობრიდან. იგივე ხდება სპორტსმენის კარიერაშიც. აკი უთხრა კიდეც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შალვა ნათელაშვილს, წარმატებას წარუმატებლობა მოსდევს და უნდა შეეგუოო.

**— ერთ ხანს გერმანიაში ვარჯიშობდით, მაგრამ თქვენც და მწვრთნელებსაც მიაჩნიათ, რომ იქ ყოფნა არ მოგიხდათ. არადა, პირიქით უნდა ყოფილიყო. რითი ახსნიდით ყოველივე ამას?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ გერმანიაში წასვლა ჩემთვის ადვილი არ ყოფილა. იქ გამგზავრება ჩემმა უკიდურესად დუხჭირმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. გერმანიაში რასაც ერთ სეზონში მაძლევდნენ, აქ შეიძლება კარიერის მანძილზეც ვერ მიიღო. იკითხავთ, მაშინ რატომღა დავბრუნდი? ისევ ჩემი ქვეყნის სიყვარულის გამო. გერმანიაში საკმაოდ გადატვირთული სავარჯიშო გრაფიკი მქონდა და შეიძლებოდა როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად გამოვფიტულიყავი. დავუჯერე მწვრთნელებს, სპეციალისტებს და საქართველოში დავბრუნდი. ამით ფაქტობრივად უარი ვთქვი გერმანიაში შესაძლო ფუფუნებაზე (ფინანსურს ვგულისხმობ). აქ კი რა დამხვდა? 5 თვის გაუცემელი ხელფასები და ევროპის ჩემპიონატზე III ადგილის მოპოვებისთვის განკუთვნილი, მაგრამ მიუღებელი თანხა, რომელიც სპორტის დეპარტამენტს მართებს.

ერთადერთი სინათლე საქართველოს ოლიმპიური კომიტეტიდან გამოსჭვივის. იქიდან მზრუნველობის ხელს გვიწვდიან. რომ არა სეოკ-ი და მისი ხელმძღვანელობა, ჩემი კარიერა ჩაესვენებოდა. უბრალოდ საწყენია, როცა შენზე ის არ ზრუნავს, ვინც უწინარეს ყოვლისა, უნდა ზრუნავდეს.

**— ვინ უნდა ზრუნავდეს?**

— ვინ და მწვრთნელი, ფედერაცია, იგივე სპორტის დეპარტამენტი. როდესაც სპორტსმენს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონობას თხოვ, მაშინ მას სავარჯიშოდ სათანადო პირობები უნდა შეუქმნა, ელემენტარულ დონეზე უნდა უზრუნველყო, რომ მას ვარჯიშისა და სხვადასხვა ილეთების დახვეწის გარდა სხვა საფიქრალი არ ჰქონდეს. ჩვენთან კი პირიქით ხდება. ყველას გასაკეთებელს ოლიმპიური კომიტეტი აკეთებს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპორტსაც თითქმის ის ინახავს.

ქართველ ხალხს ერთი ცუდი თვისება გვახასიათებს. როდესაც კაცს ფეხი აუცდება, ხელს კრავენ, წაქცეულს კი, მოგეხსენებათ, არ ურტყამენ. ამის ნათელი დასტურია ისიც, რომ სპორტის დეპარტამენტმა საერთოდ ხელფასები მოგვიხსნა. კი ბატონო, ღმერთმა შეარგოთ, თუ ამგვარი ხელმომჭირნეობა ვინმეს უშველის. მაგრამ ყველამ მინდა იცოდეს, რომ ელდარ კურტანიძე ისე არ დაწვრილმანდება, მაგათ 250 ლარს გამოეკიდოს. უბრალოდ გულდასაწყვეტია, როცა ამაგს არ გიფასებენ. 1992 წელს სახლიც დავკარგე, ახლობლებიც, მამა საერთოდ უგზო-უკვლოდ დამეკარგა, მაგრამ მაინც ჩემი ქვეყნის ბოლომდე ერთგული დავრჩი. ზოგიერთებივით საქმისადმი ასეთი მიდგომა არ შეიძლება. აკი წავიდნენ კიდეც კანდელაკი და გოგოლაძე, რომლებიც ოლიმპიადაზე მედლების ერთ-ერთი პრეტენდენტები იყვნენ. თუ ასე გაგრძელდა, არც კურტანიძე დარჩება და არც არავინ.

**— მიწვევები თუ გაქვთ უცხოეთიდან?**

— დიახ, მაქვს და ალბათ ოლიმპიადის შემდეგ წავალ კიდეც.

**— თქვენ ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ განაცხადეთ, რომ სიდნეიში აუცილებლად ოქროს მოიპოვებდით. ბოლოდროინდელი წარუმატებლობების ფონზე გუნება-განწყობილება ხომ არ შეგცვლიათ?**

— არავითარ შემთხვევაში. სიდნეიში ან მოვკვდები ან ოლიმპიური ჩემპიონი გავხდები. აქვე მინდა დიდი მადლობა მოვუხადო თბილისის მერს ბატონ ვანო ზოდელავას, რომელმაც ჩვენს მიმართ უდიდესი მხარდაჭერა გამოიჩინა, რაც ოლიმპიური ჩემპიონობის შემთხვევაში საცხოვრებელი ბინებით დაჯილდოებაში გამოიხატება.

**— ვინ მიგაჩნიათ სიდნეიში თქვენს მთავარ კონკურენტებად?**

— ოლიმპიური თამაშები ისეთი რამაა, სადაც ყურადღების ოდნავი მოდუნებაც კი შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. ამიტომ ვინც ჩემს წონაში იჭიდავებს, ყველა კონკურენტია. მაგრამ მთავარ მოწინააღმდეგედ ჩემივე თავი და სპორტული იღბალი მიმაჩნია.

**— იქნებ ორიოდე სიტყვა თქვენს დადებით და უარყოფით თვისებებზეც თქვათ.**

— საკუთარ თავზე ლაპარაკი მეუხერხულება. ამიტომ ამ კითხვით იქნებ სხვას მიმართოთ. თუნდაც მწვრთნელებს, გულშემატკივრებს, ჟურნალისტებს... ისე, მეც მაინტერესებს, თუ როგორ დამახასიათებენ.

**— კერპი თუ გყავთ?**

— ღმერთი, ღმერთია ჩემი კერპი და სხვა არავინ.

**ქახა ბერიძე**

## წელს 19, გაისად?

ნოემბრის ბოლოს ძალოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატით ამოიწურა წლევანდელი სიდნეის ოლიმპიადის სალიცენზიო შეჯიბრებები. დღეს წარმოგიდგენთ საქართველოს იმ სპორტსმენთა სიას, რომლებმაც 2000 წელს სიდნეიში XXVII ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის უფლება მოიპოვეს:

1 ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), 2. რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა), 3. ნანა ნებიერიძე (წყალში ხტომა), 4. ხათუნა ქრივიშვილი, 5. ხათუნა ფუტკარაძე (ორივე მშვილდოსნობა), 6. ინგა თავდიშვილი (მხატვრული ტანვარჯიში), 7. გიორგი რევაზიშვილი, 8. ნესტორ ხერგიანი (ორივე ძიუდო), 9. ელდარ კურტანიძე, 10. ემზარ ბედინეიშვილი (ორივე თავისუფალი ჭიდაობა), 11. ტარიელ მელელაშვილი, 12. ალექსანდრე ცერცვაძე, 13. გენადი ჩხაიძე (სამივე ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), 14. გიორგი ასანიძე, 15. მუხრან გოგია (ორივე ძალოსნობა), 16. ილია გიორგაძე (სპორტული ტანვარჯიში), 17. ვლადიმერ ჭანტურია (კრივი)

*შენიშვნა: 1. ნინო სალუქვაძის მიერ ნაჩვენები შედეგები საშუალებას იძლევა საქართველოს ჰყავდეს მეორე წარმომადგენელი სპორტის ამ სახეობაში.*

*2. საქართველოს ძალოსნების მიერ ამას წინათ ათენში მსოფლიოს პირველობაზე დაკავებული გუნდური ადგილით განსაზღვრულია, რომ ჩვენს ქვეყანას შეუძლია სიდნეიში სამი ძალოსნით იასპარეზოს.*

*სპორტის ორივე სახეობიდან პერსონალურ მონაწილეთა ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.*

## რას ფიქრობენ პარლამენტარები?

*სიდნეის ოლიმპიური თამაშები კარს მოგვადგა, ქართული სპორტი კი კრიზისშია, რაც შორეულ ავსტრალიაში წარმატებით გამოსვლას მეტად სათუოს ხდის. ამიტომაც გადავწყვიტეთ გაგვეგო, თუ რას ფიქრობს საქართველოს პარლამენტართა ნაწილი, რომელიც უშუალოდ იყო ან არის დაკავშირებული სპორტთან.*

*მათ ვთხოვეთ ეპასუხათ ორ კითხვაზე:*

**1. ქართული სპორტი და ოლიმპიური მოძრაობა კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?**

**2. 2000 წელს სიდნეიში გაიმართება XXVII ოლიმპიური თამაშები, რომელშიც სპორტის 10-12 სახეობაში საქართველოდან, წინასწარი მონაცემებით, 30-32 ათლეტი გამოვა. როგორია თქვენი პროგნოზი მათ სავარაუდო შედეგებზე?**

ლევან თედიაშვილი: 1. საწყენია, რომ ქართული სპორტი ასეთ მდგომარეობამდე მივიდა. მას უეჭველად შველა სჭირდება. მხოლოდ მისასამძიმრებელი სიტყვები კი არა, საქმეა მთავარი. მჯერა, რომ სულ მალე ქართული სპორტი და ოლიმპიზმი აღორძინდება.

2. პროგნოზისაგან თავს შევიკავებ, რადგან გულთმისანი ნამდვილად არა ვარ. თუმცა, ვფიქრობ, ისე არ დავძაბუნებულვართ, რომ ერთი ოქრო ვერ ჩამოვიტანოთ.

ზეზვა ღუღუნიშვილი: 1. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ სპორტი ყველამ პრიორიტეტად მივიჩნიოთ და მას ის მივაგოთ, რაც ეკუთვნის. ამას გარდა საჭიროა მძლავრი ეკონომიკური პირობების შექმნა და რაც მთავარია, ახალი ოლიმპიური იდეის წარმოშობა, რომელსაც ნამდვილად შეეძლება ქართული ოლიმპიზმის აღორძინება. ასეთ იდეად ბაკურიანში ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება მიმაჩნია.

2. სწორი და სათანადო მომზადების შემთხვევაში სიდნეიში ალბათ კარგ შედეგებს ვაჩვენებთ. მე კარგად ვიცნობ სეოკ-ის პრეზიდენტ ბატონ ჯანო ბაგრატიონს და მჯერა, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე კარგად წარმოჩინდება.

გივი შულაროვი: 1. ყველამ უნდა გავიცნობიეროთ, რომ სპორტი მარტო შეჯიბრება არ არის. იგი არის პოლიტიკის ნაწილი და ჩვენი ელჩი უცხოეთში. ამიტომ მთავრობისა და სხვა მაღალი ინსტანციების წარმომადგენლებმა საფუძვლიანად უნდა განიხილონ საქართველოში ოლიმპიური მოძრაობისა და საერთოდ სპორტის მხარდასაჭერი საკითხები. დღესდღეობით სპორტი პოლიტიკასთან ერთად უდიდესი კომერციული სფეროცაა. ამიტომაც სხვა სახელმწიფოებში იგი ქვეყნის ხელმძღვანელობის გარდა ბიზნესმენთა მფარველობითაც ვითარდება. ყველამ კარგად იცის, რომ მასში სწორად დაბანდებული ფული მომავალში გაორმაგდება და ამონაგები გაცილებით მეტი იქნება. ამ მხრივ ჩვენთან კატასტროფული მდგომარეობაა. ვფიქრობ, სპორტის უცხოური განვითარების მოდელის ჩვენთან სწორად გადმონერგვით ეს სფერო ოლიმპიურ მოძრაობასთან ერთად ბევრს მოიგებს.

2. ამბობენ, ოლიმპიურ თამაშებში მთავარია მონაწილეობა და არა შედეგიო, მაგრამ ჩვენ ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, არ გვაკმაყოფილებს. სიდნეიში რომ რაიმე შედეგს მივაღწიოთ, ამისთვის უდიდესი შრომა და მომზადებაა საჭირო. ახლადარჩეულ პარლამენტის წევრთათვის, დარწმუნებული ვარ, სპორტი მეორეხარისხოვანი და სულერთი არ არის. ჩემი აზრით, თანხები უნდა გამოიყოს იმ სპორტის სახეობებზე, სადაც რეალურად გვაქვს მედლის მოპოვების შანსი.

რაც შეეხება პროგნოზებს, გეტყვით, რომ საერთოდ არ მიყვარს წინასწარ რაიმე შედეგებზე საუბარი, მაგრამ იმდენად დიდია წარმატებით გამოსვლის სურვილი, რომ გავბედავ და ვიტყვი — სიდნეიში ალბათ სამივე ხარისხის თითო მედალს მოვიპოვებთ, რაც დღევანდელ პირობებში ცუდი შედეგი არ უნდა იყოს.

**ქახა ბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

### ნანა ნებიერიძე
(წყალში ხტომა)



ნანა ნებიერიძე დაიბადა 1975 წლის 21 ივლისს თბილისში. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1986 წელს. არის საქართველოს 15-გზის ჩემპიონი, 1989 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, საბჭოთა კავშირისა (1990) და ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებში (1991), იმავე წელს ესპანეთში გაიმარჯვა გრან-პრის გათამაშებაზე. 1993 წლიდან 1996 წლამდე ოჯახური პირობების გამო აღარ ვარჯიშობდა. 1998 წელს იასპარეზა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე „გაზაფხულის მერცხლები“ და მოიპოვა ოლიმპიური ლიცენზია. ჰყავს ქალიშვილი.

***სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს***

***1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?***

***2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.***

***3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?***

*1. მშობლების ინიციატივა იყო, რომ წყალში მხტომელი გამოვსულიყავი.*

*2. ზუსტად 10 წლის წინათ შემემთხვა ერთი კურიოზი, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. ჩინეთში საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას ხუმრობით ამ ქვეყნის ვეება ეროვნულ ქვევრში ჩამსვეს, საიდანაც დიდი გაჭირვებით ოლიმპიურმა ჩემპიონმა საუტინმა ამომიყვანა.*

*3. ძირითადი მიზანი ფინალში ანუ 12 საუკეთესოში მოხვედრა იქნება.*

## კონკურსი

# ოლიმპიური ვიქტორინა

### III ტური

1. 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურ თამაშებზე რა შედეგები აჩვენა გერმანელმა ჩოგბურთელმა მიხაელ შტიხმა?
2. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე რომელმა მძლეოსანმა ქალმა მოიპოვა სამი ოქროს მედალი და რა დისციპლინებში?
3. ვინ იყო ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი?
4. რომელ ოლიმპიურ თამაშებზე და რომელი გუნდების წინააღმდეგ გამართულ შეხვედრებში იასპარეზა რევაზ ძოძუაშვილმა?
5. რომელ ოლიმპიურ თამაშებზე იყო წარმოდგენილი საქართველო ყველაზე მცირერიცხოვანი სპორტსმენით და რამდენი კაცით?

### მეორე ტურის პასუხები

1. სოკ-ს ჰყავდა 7 პრეზიდენტი. მეექვსე კი იყო ლორდი კილანინი (ირლანდია)
2. მარგარეტ მერდოკი (აშშ)
3. 140 სპორტსმენი. 31 ოქრო; 23 ვერცხლი, 41 ბრინჯაო
4. 1968 წელს მეხიკოში ბიმონის მიერ ნაჩვენები შედეგია 8.90 მეტრი
5. 1 თამაშები გაიმართა შამონში 1924 წელს (საფრანგეთი); ბოლო კი ნაგანოში (იაპონია) 1998 წელს

*პასუხები გამოგზავნეთ 21 დეკემბრამდე მისამართზე: თბილისი, ალმაშენებლის № 65.*

# მიკროფონით ჰერი, ჰერი!

სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, სპეციალისტთა აზრით, ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა ჩოგბურთელთა ტურნირი იქნება. მართალია, ჯერჯერობით უცნობია გამოვლენ თუ არა მასში ანდრე აგასი და პიტ სამპრასი, მაგრამ წინასწარი ინფორმაციით, თავ-თავიანთი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ პატრიკ რაფტერი, მარკ ფილიპუსისი, ტომას ენკვისტი, ტოდ მარტინი და სედრიკ პიოლინი. ოლიმპიური თამაშების მსვლელობისას გულშემატკივრები შეხვდებიან უამრავ ცნობილ ვეტერან თუ მოქმედ ჩოგბურთელსაც, რომელთა შორისაც ეტყობა იქნებიან ჯონ მაკინროი და მიხაელ შტიხი. ამერიკელი თავისი ქვეყნის ტელეკომპანია TBC-ზე წაიყვანს საჩოგბურთო შეხვედრებს, ხოლო ბორის ბეკერის „მუდმივი აჩრდილი“ გერმანულ არხ DSF-ზე. გთავაზობთ ინტერვიუებს მაკინროისა და შტიხთან, რომელიც გამოქვეყნდა გერმანულ ჟურნალ „TENNIS+“-ში.

**— მიხაელ, ჯონს საჩოგბურთო რეპორტაჟები უკვე ოთხი წლის განმავლობაში მიჰყავს. თქვენი ჟურნალისტური გამოცდილება კი მხოლოდ შვიდი თვით შემოიფარგლება. ხომ არ გაგიჭირდებათ ამ ამოცანის შესრულება?**

— *შტიხი:* არა მგონია, რომ გამიჭირდეს. ჯერ კიდევ იანვარში, როდესაც ჰორსტ ბუნკემ (ტელეკომპანია DSF-ის მფლობელი) შემომთავაზა კომენტარი გამეკეთებინა ავსტრალიის ღია პირველობაზე მიმდინარე მატჩებისთვის, დაუყოვნებლივ დავთანხმდი. სიმართლე გითხრათ, პირველი თამაშის მსვლელობისას საგრძნობლად ვნერვიულობდი, მაგრამ მეორე, მესამე რეპორტაჟის დროს ყველაფერი უკვე წესრიგში იყო. ენკვისტ-ფილიპუსისის შეხვედრისას კი თავს უკვე სტაჟიან ტელეკომენტატორად ვგრძნობდი.

— *მაკინროი:* ჩემი სადებიუტო ტელერეპორტაჟის დროს კი ნამდვილი კურიოზები მოხდა. ჯერ იყო და TBS-ის ნაცვლად ფრანგულ CANAL+-ის ოთახში შევიჭერი და რომ არა ტრანსლაციის დირექტორის დროული შენიშვნა, გავხდებოდი პირველი ამერიკელი, რომელმაც რეპორტაჟი ფრანგულ არხზე წაიყვანა. მერე იყო ვერა და ვერ „დავამულამე“ ანდრეს (აგასი) მოწინააღმდეგის გვარის წარმოთქმა, თუმცა დღეს ეს ჩოგბურთელი საკმაოდ კარგ შედეგებს აჩვენებს.

**— ვის გულისხმობთ?**

— *მაკინროი:* ევგენი კაფელნიკოვს.

**— მიხაელ, არა მგონია, რომ თქვენში ამ მოთამაშის გვარის გაგონება დადებითი ემოციების მოზღვავებას იწვევდეს.**

— *შტიხი:* არა. რატომ... ევგენისთან უამრავი შეხვედრის ჩატარება მომიხდა და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ სულ რაღაც 3-4 თამაშის მოგება მოვახერხე, ჩვენი მატჩები ყოველთვის დაძაბულად მიმდინარეობდა. მე უფრო ბადესთან თამაშს ვამჯობინებდი, ევგენი კი უკანა ხაზიდან იბრძოდა კარგად. ისე, რუსმა ჩოგბურთელებმა ნამდვილად სისხლი გამიშრეს. ჩემს ცხრაწლიან კარიერაში წამიგია ვოლკოვთან, ჩესნოკოვთან და სამჯერ (თანაც ზედიზედ) ჩერკასოვთან. ალბათ საფინთან რომ მეთამაშა, იმასთანაც უეჭველად წავაგებდი.



ჯონ მაკინროი



მიხაელ შტიხი

**— ჯონ, რას უნდა ველოდოთ სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან?**

— *მაკინროი:* თუ თქვენ მთლიანად ოლიმპიადის მსვლელობას გულისხმობთ, გეტყვით, რომ სიდნეიში, ჩემი აზრით, უფრო მაღალი დონის შეჯიბრება იქნება, ვიდრე ატლანტაში. ავსტრალიაში ორი თვის წინათ მომიწია წასვლა და თავად დავრწმუნდი, თუ რა მუშაობა მიდის. საკმაოდ მაღალი დონის ოლიმპიური პარკი შენდება. სამწუხაროდ, ჩოგბურთისა და ბეისბოლის სარბიელები საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან. ეს ერთი ორად გამირთულებს ამერიკის ბეისბოლისტთა ნაკრების მონაწილეობით გასამართი შეხვედრებისთვის თვალყურის დევნებას.

რაც შეეხება საჩოგბურთო თემას, იქ წინასწარ რაიმეს თქმა შეუძლებელია. თუ შეჯიბრებაში გამოვლენ აგასი და სამპრასი, მაშინ უპირველესი ფავორიტები სწორედ ისინი იქნებიან, მათი არყოფნის შემთხვევაში კი ფულს რაფტერსა და ფილიპუსისზე დავდებდი, რომელიც დღემდე რატომღაც ჯერ კიდევ პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება.

**— მიხაელ, თქვენ რას იტყოდით?**

— *შტიხი:* სამწუხაროდ, ძალზე მცირე ინფორმაცია გამაჩნია ოლიმპიადის მზადების პერიოდთან დაკავშირებით. ერთადერთი ის ვიცი, რომ მასპინძელი ქვეყანა ყველანაირ ძალ-ღონეს იხმარს, რათა შეჯიბრება მის წინამორბედზე უარესად არ ჩატარდეს.

რაც შეეხება ჩოგბურთს, ჯონის მიერ ჩამოთვლილ პრეტენდენტთა გარდა გამოვარჩევდი რუზეცკისა და კრაიჩეკს. ტურნირი სავარაუდოდ ბალახისსაფარიან კორტებზე გაიმართება, აქ კი ამ უკანასკნელთა მძლავრი მოწოდება სერიოზული განაცხადი იქნება საბოლოო წარმატებისთვის.

**— ჯონ, თქვენ და მიხაელი შედიხართ იმ მოთამაშეთა სიაში, რომელთაც გაიმარჯვეს უიმბლდონზე როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში. ხომ არ გაიხსენებდით ამ ტურნირზე თქვენს მიერ ჩატარებულ ყველაზე ღირსშესანიშნავ მატჩებს?**

— *მაკინროი:* მიჭირს რომელიმეს გამოყოფა. თუმცა, ალბათ, ჩემსა და ბიორნ ბორგს შორის გამართული ფინალური შეხვედრაა აღსანიშნავი. თუ როგორ წავაგე ის მატჩი, დღემდე მიკვირს, წყვილთა თანრიგში კი რეიტინგის სათავეში დავაყენებდი 1992 წლის ფინალურ მატჩს. მაშინ „ვუდების“ ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად უამრავი რთული ბურთი ჩავაგდე და პრაქტიკულად მარტომ მოვიგე ის მატჩი, თუმცა პარტნიორსაც არა უშავდა (იცინის).

**— მიხაელ თქვენ რაღას იტყოდით?**

— *შტიხი:* წყვილთა შორის, რაღა თქმა უნდა, 1992 წლის ფინალს გავიხსენებ. იმ მატჩში ჯონი მართლაც რომ შეუდარებელი იყო. მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ გადამწყვეტი ბურთი ჩემი ეისით დასრულდა. ერთეულთა შორის კი ალბათ ბორის ბეკერის წინააღმდეგ ჩატარებული ორი მატჩია აღსანიშნავი. 1991 წლის ფინალი და 1993 წლის მეოთხედფინალი (ამ შეხვედრაში შტიხმა დაამყარა უიმბლდონის ყველა დროის ანტირეკორდი: ხუთ სეტში დააგროვა 26 ორმაგი შეცდომა).

**თარგმნა ზურაბ თალაქვაძემ**

## ქართველები ოლიმპიურ თამაშებზე




**1960 წ. XVII ოლიმპიადა, რომი (16 მონაწილე. 2 ოქროს, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი)**

1. რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა) — I
2. ავთანდილ ქორიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — I
3. გიორგი სხირტლაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — II
4. გურამ მინაშვილი (კალათბურთი) — II
5. ვლადიმერ უგრეხელიძე (კალათბურთი) — II
6. გივი ჩიქვანაია (წყალბურთი) — II
7. ლერი გოგოლაძე (წყალბურთი) — II
8. ვლადიმერ რუბაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — III
9. გივი კარტოზია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — III
10. გურამ კოსტავა (ფარიკაობა) — III
11. ალექსანდრა შჩერბინა (მძლეოსნობა) — IV
12. ბორის ნიკიტინი (ცურვა) — VIII
13. ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა) — XI
14. ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა) — მეოთხედფინალში V ადგილი
15. რევაზ ქვაჩაკიძე (მძლეოსნობა) — ფინალში ვერ მოხვდა
16. იური დიაჩკოვი (მძლეოსნობა) — შეჯიბრება არ დაუმთავრებია

## სიდნეი 2000



REUTERS სიდნეიდან



სიდნეის ოპერის თეატრი და ხიდი ამ ქალაქის მთავარი ღირსშესანიშნაობათაგანია, მაგრამ ახლა იქ ჩასული სტუმრები არანაკლები ინტერესით ათვალიერებენ მომავალ ოლიმპიურ ბაზებსაც. ამ ფოტოებზე სიდნეის ოლიმპიური სტადიონის დამთვალიერებელ ამერიკის თეთრი სახლის ანტიდოპინგური ოფისის უფროსს ბარი მაკკაფრის ხედავთ. მეორე სურათზე მას მხარს უმშვენებენ ოლიმპიელი დონა დი ვერონა (მარჯვნივ და ავსტრალიის მთავრობის რწმუნებული ბრიუ გოვარდი.

**ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურმა**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ხუთშაბათს, 25 ნოემბერს «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს**

### უეფას თასი. მერვედფინალი. II მატჩები

9 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 512 | ლევერკუზენი (გერმანია) — უდინეზე (იტალია) | (1,1-5,0) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 513 | ატლეტიკო (ესპანეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია) | (1,1-5,0) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 514 | მონაკო (საფრანგეთი) — აეკ (საბერძნეთი) | (1,05-7,5) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 515 | გალათასარაი (თურქეთი) — ბოლონია (იტალია) | (1,5-2,0) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 516 | კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ლანსი (საფრანგეთი) | (1,05-7,5) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 517 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — დეპორტივო (ესპანეთი) | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 518 | შტურმი (ავსტრია) — პარმა (იტალია) | (4,0-1,15) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 519 | ლიდსი (ინგლისი) — სპარტაკი (რუსეთი) | (1,35-2,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 520 | მალიორკა (ესპანეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | (1,1-5,0) | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 521 | ნიუკასლი (ინგლისი) — რომა (იტალია) | (2,5-1,35) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 522 | ბენფიკა (პორტუგალია) — სელტა (ესპანეთი) | (50,0-—) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 523 | ნანტი (საფრანგეთი) — არსენალი (ინგლისი) | (15,0-1,01) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 524 | სტიაუა (რუმინეთი) — სლავია (ჩეხეთი) | (5,0-1,1) | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### კალათბურთი. NBA

9 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 818 | სან ანტონიო — ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 819 | ფინიქსი — ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 820 | პორტლენდი — მინესოტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |

### კალათბურთი. ევროლიგა

9 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ულქერი (თურქეთი) — მაკაბი (ისრაელი) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 827 | ჟალგირისი (ლიტვა) — ალბა (გერმანია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 828 | კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ციბონა (ხორვატია) | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 829 | თოფაში (თურქეთი) — ოლიმპია (სლოვენია) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 830 | რეალი (ესპანეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 831 | ვარეზე (იტალია) — ვილერბანი (საფრანგეთი) | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 832 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,05 | 12,0 | 7,5 |

### ჰოკეი. NHL

9 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 845 | ბოსტონი — ედმონტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 846 | აილენდერსი — მონრეალი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 847 | ფილადელფია — ტორონტო | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| 848 | პიტსბურგი — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| 849 | ჩიკაგო — ნიუ ჯერსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 14 | 9 | 4 | 1 | 29:10 | 31 | 6 | 1 | 0 | 21:4 | 3 | 3 | 1 | 8:6 |
| კოტბუსი | 14 | 9 | 1 | 4 | 31:16 | 28 | 6 | 0 | 1 | 17:7 | 3 | 1 | 3 | 14:9 |
| ნიურნბერგი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:25 | 24 | 6 | 1 | 0 | 17:9 | 1 | 2 | 4 | 7:16 |
| ბერლინი | 14 | 5 | 7 | 2 | 22:16 | 22 | 3 | 3 | 1 | 10:7 | 2 | 4 | 1 | 12:9 |
| ალემანია | 14 | 6 | 4 | 4 | 25:26 | 22 | 4 | 2 | 1 | 16:9 | 2 | 2 | 3 | 9:17 |
| ქემნიცი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:17 | 21 | 4 | 2 | 1 | 16:7 | 2 | 1 | 4 | 6:10 |
| მაინცი | 14 | 5 | 6 | 3 | 18:17 | 21 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 2 | 3 | 2 | 10:12 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 2 | 6 | 23:21 | 20 | 3 | 0 | 4 | 17:15 | 3 | 2 | 2 | 6:6 |
| ჰანოვერი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:20 | 18 | 2 | 3 | 2 | 12:10 | 3 | 0 | 4 | 9:10 |
| ფიურტი | 14 | 4 | 6 | 4 | 10:14 | 18 | 2 | 5 | 0 | 4:1 | 2 | 1 | 4 | 6:13 |
| გლადბახი | 14 | 4 | 4 | 6 | 19:21 | 16 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 1 | 3 | 3 | 7:12 |
| ვალდჰოფი | 14 | 4 | 4 | 6 | 17:22 | 16 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 0 | 2 | 5 | 3:14 |
| კიკერსი | 14 | 4 | 4 | 6 | 21:27 | 16 | 4 | 2 | 1 | 13:9 | 0 | 2 | 5 | 8:18 |
| ზტ. პაული | 14 | 3 | 6 | 5 | 15:19 | 15 | 1 | 5 | 1 | 6:6 | 2 | 1 | 4 | 9:13 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | 14 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 3 | 4 | 4:9 |
| ფორტუნა | 14 | 3 | 5 | 6 | 11:19 | 14 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 0 | 2 | 5 | 3:14 |
| კარლსრუე | 14 | 2 | 6 | 6 | 20:24 | 12 | 1 | 3 | 3 | 7:8 | 1 | 3 | 3 | 13:16 |
| ოფენბახი | 14 | 2 | 5 | 7 | 10:19 | 11 | 2 | 1 | 4 | 6:10 | 0 | 4 | 3 | 4:9 |

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰადერსფილდი | 22 | 13 | 4 | 5 | 39:22 | 43 | 9 | 2 | 0 | 29:9 | 4 | 2 | 5 | 10:13 |
| სიტი | 22 | 13 | 3 | 6 | 32:19 | 42 | 8 | 0 | 3 | 22:9 | 5 | 3 | 3 | 10:10 |
| ჩარლტონი | 21 | 12 | 4 | 5 | 38:24 | 40 | 7 | 2 | 2 | 19:10 | 5 | 2 | 3 | 19:14 |
| იფსვიჩი | 22 | 11 | 6 | 5 | 37:25 | 39 | 8 | 1 | 2 | 22:11 | 3 | 5 | 3 | 15:14 |
| ბარნსლი | 21 | 11 | 3 | 7 | 39:33 | 36 | 8 | 1 | 2 | 25:10 | 3 | 2 | 5 | 14:23 |
| სტოკპორტი | 22 | 9 | 7 | 6 | 27:30 | 34 | 6 | 5 | 0 | 19:12 | 3 | 2 | 6 | 8:18 |
| ფულემი | 21 | 8 | 9 | 4 | 24:18 | 33 | 5 | 4 | 2 | 11:7 | 3 | 5 | 2 | 13:11 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 8 | 5 | 32:23 | 32 | 6 | 3 | 1 | 21:9 | 2 | 5 | 4 | 11:14 |
| ქუინზ პარკი | 22 | 8 | 8 | 6 | 32:28 | 32 | 5 | 6 | 0 | 19:12 | 3 | 2 | 6 | 13:16 |
| ბოლტონი | 22 | 8 | 7 | 7 | 32:26 | 31 | 6 | 3 | 2 | 21:14 | 2 | 4 | 5 | 11:12 |
| ბლექბერნი | 21 | 7 | 9 | 5 | 26:20 | 30 | 5 | 4 | 2 | 16:9 | 2 | 5 | 3 | 10:11 |
| ვულვზი | 20 | 7 | 8 | 5 | 23:19 | 29 | 4 | 4 | 2 | 15:9 | 3 | 4 | 3 | 8:10 |
| ტრანმერი | 22 | 8 | 5 | 9 | 31:32 | 29 | 6 | 3 | 2 | 19:12 | 2 | 2 | 7 | 12:20 |
| ნორვიჩი | 21 | 7 | 7 | 7 | 19:19 | 28 | 6 | 1 | 3 | 11:8 | 1 | 6 | 4 | 8:11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 5 | 10 | 6 | 21:23 | 25 | 3 | 7 | 2 | 14:12 | 2 | 3 | 4 | 7:11 |
| კრ. პალასი | 22 | 6 | 7 | 9 | 30:36 | 25 | 5 | 4 | 2 | 20:10 | 1 | 3 | 7 | 10:26 |
| გრიმსბი | 21 | 7 | 4 | 10 | 22:34 | 25 | 6 | 2 | 2 | 13:11 | 1 | 2 | 8 | 9:23 |
| ქრიუ | 21 | 6 | 5 | 10 | 25:30 | 23 | 4 | 3 | 3 | 9:8 | 2 | 2 | 7 | 13:21 |
| პორტველი | 22 | 5 | 7 | 10 | 26:31 | 22 | 4 | 2 | 5 | 11:12 | 1 | 5 | 5 | 15:19 |
| ნოტინგემი | 21 | 5 | 6 | 10 | 23:27 | 21 | 4 | 4 | 2 | 16:10 | 1 | 2 | 8 | 7:17 |
| პორტსმუთი | 22 | 5 | 6 | 11 | 25:36 | 21 | 4 | 4 | 3 | 16:11 | 1 | 2 | 8 | 9:25 |
| შეფილდ იუნ. | 22 | 5 | 6 | 11 | 25:38 | 21 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 1 | 3 | 7 | 10:25 |
| უოლსოლი | 22 | 4 | 7 | 11 | 19:34 | 19 | 2 | 4 | 5 | 9:14 | 2 | 3 | 6 | 10:20 |
| სუინდონი | 22 | 3 | 8 | 11 | 16:34 | 17 | 2 | 5 | 4 | 11:18 | 1 | 3 | 7 | 5:16 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 14 | 9 | 2 | 3 | 28:14 | 29 | 6 | 1 | 0 | 21:7 | 3 | 1 | 3 | 7:7 |
| ბრეშა | 14 | 7 | 7 | 0 | 21:8 | 28 | 4 | 3 | 0 | 14:4 | 3 | 4 | 0 | 7:4 |
| ატალანტა | 14 | 8 | 2 | 4 | 21:14 | 26 | 6 | 0 | 1 | 13:5 | 2 | 2 | 3 | 8:9 |
| ნაპოლი | 14 | 6 | 5 | 3 | 18:15 | 23 | 5 | 2 | 0 | 13:5 | 1 | 3 | 3 | 5:10 |
| ალძანო | 14 | 6 | 4 | 4 | 17:16 | 22 | 5 | 1 | 1 | 12:7 | 1 | 3 | 3 | 5:9 |
| ტრევიზო | 14 | 6 | 3 | 5 | 22:16 | 21 | 6 | 0 | 1 | 17:6 | 0 | 3 | 4 | 5:10 |
| სამპდორია | 14 | 5 | 6 | 3 | 14:11 | 21 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 2 | 2 | 3 | 6:7 |
| ჩეზენა | 14 | 4 | 7 | 3 | 17:13 | 19 | 3 | 4 | 0 | 8:3 | 1 | 3 | 3 | 9:10 |
| რავენა | 14 | 4 | 7 | 3 | 15:12 | 19 | 3 | 3 | 1 | 8:4 | 1 | 4 | 2 | 7:8 |
| მონცა | 14 | 4 | 7 | 3 | 12:12 | 19 | 3 | 4 | 0 | 6:3 | 1 | 3 | 3 | 6:9 |
| კიევო | 14 | 5 | 3 | 6 | 16:17 | 18 | 4 | 2 | 1 | 9:5 | 1 | 1 | 5 | 7:12 |
| პესკარა | 14 | 3 | 7 | 4 | 19:20 | 16 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 1 | 5 | 1 | 8:9 |
| კოზენცა | 14 | 3 | 7 | 4 | 10:12 | 16 | 3 | 3 | 2 | 6:5 | 0 | 4 | 2 | 4:7 |
| სალერნიტანა | 14 | 3 | 6 | 5 | 16:20 | 15 | 2 | 4 | 0 | 9:5 | 1 | 2 | 5 | 7:15 |
| ტერნანა | 13 | 3 | 6 | 4 | 13:18 | 15 | 2 | 4 | 0 | 8:6 | 1 | 2 | 4 | 5:12 |
| ემპოლი | 14 | 4 | 3 | 7 | 8:20 | 15 | 4 | 2 | 1 | 7:6 | 0 | 1 | 6 | 1:14 |
| ჯენოა | 14 | 3 | 4 | 7 | 15:16 | 13 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 0 | 1 | 6 | 3:10 |
| სავოია | 14 | 2 | 6 | 6 | 12:21 | 12 | 2 | 4 | 1 | 7:6 | 0 | 2 | 5 | 5:15 |
| პისტოიეზე | 13 | 4 | 3 | 6 | 12:17 | 11 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 0 | 2 | 4 | 3:10 |
| ფერმანა | 14 | 1 | 3 | 10 | 10:24 | 6 | 1 | 2 | 4 | 5:8 | 0 | 1 | 6 | 5:16 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 17 | 11 | 4 | 2 | 29:13 | 37 | 6 | 1 | 1 | 17:6 | 5 | 3 | 1 | 12:7 |
| ლევანტე | 17 | 10 | 4 | 3 | 34:24 | 34 | 8 | 1 | 0 | 22:6 | 2 | 3 | 3 | 12:18 |
| ესტრემადურა | 17 | 9 | 4 | 4 | 19:15 | 31 | 7 | 2 | 0 | 14:4 | 2 | 2 | 4 | 5:11 |
| ლას პალმასი | 17 | 8 | 3 | 6 | 26:19 | 27 | 5 | 1 | 2 | 15:6 | 3 | 2 | 4 | 11:13 |
| ტენერიფე | 17 | 8 | 3 | 6 | 25:20 | 27 | 6 | 2 | 1 | 17:7 | 2 | 1 | 5 | 8:13 |
| სპორტინგი | 17 | 8 | 2 | 7 | 25:21 | 26 | 5 | 0 | 4 | 14:10 | 3 | 2 | 3 | 11:11 |
| ბადახოსი | 17 | 5 | 10 | 2 | 15:12 | 25 | 3 | 5 | 1 | 10:8 | 2 | 5 | 1 | 5:4 |
| ხეტაფე | 17 | 7 | 4 | 6 | 18:17 | 25 | 4 | 2 | 3 | 12:10 | 3 | 2 | 3 | 6:7 |
| ეიბარი | 17 | 6 | 6 | 5 | 27:24 | 24 | 4 | 4 | 1 | 15:8 | 2 | 2 | 4 | 12:16 |
| მერიდა | 17 | 6 | 6 | 5 | 20:17 | 24 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 3 | 2 | 4 | 9:11 |
| ალბასეტე | 17 | 6 | 6 | 5 | 19:22 | 24 | 2 | 5 | 2 | 10:11 | 4 | 1 | 3 | 9:11 |
| ვილიარეალი | 17 | 6 | 5 | 6 | 24:19 | 23 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 3 | 2 | 3 | 12:8 |
| ლეიდა | 17 | 6 | 4 | 7 | 27:23 | 22 | 3 | 2 | 3 | 13:9 | 3 | 2 | 4 | 14:14 |
| ელჩე | 17 | 5 | 7 | 5 | 19:21 | 22 | 3 | 5 | 1 | 12:10 | 2 | 2 | 4 | 7:11 |
| უელვა | 17 | 6 | 3 | 8 | 16:23 | 21 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 2 | 1 | 5 | 6:14 |
| კომპოსტელა | 17 | 5 | 5 | 7 | 25:27 | 20 | 3 | 2 | 3 | 12:9 | 2 | 3 | 4 | 13:18 |
| ოსასუნა | 17 | 6 | 1 | 10 | 15:20 | 19 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 2 | 0 | 7 | 5:14 |
| ლოგრონიესი | 17 | 4 | 6 | 7 | 24:26 | 18 | 4 | 3 | 1 | 18:11 | 0 | 3 | 6 | 6:15 |
| კორდობა | 17 | 4 | 6 | 7 | 17:22 | 18 | 3 | 0 | 5 | 10:13 | 1 | 6 | 2 | 7:9 |
| ლეგანესი | 17 | 4 | 6 | 7 | 16:27 | 18 | 3 | 3 | 2 | 8:6 | 1 | 3 | 5 | 8:21 |
| ატლეტიკო B | 17 | 4 | 3 | 10 | 19:28 | 15 | 2 | 1 | 5 | 12:15 | 2 | 2 | 5 | 7:13 |
| ტოლედო | 17 | 2 | 4 | 11 | 9:28 | 10 | 1 | 2 | 5 | 3:10 | 1 | 2 | 6 | 6:18 |

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს წინასწარ შერჩეული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის ნათამაშრ სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". [illegible] მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. C ჯგუფი

### რეალი 3:1 რუსენბორგი

1:0 რაული (17), 1:1 კარეუ (47), 2:1 სავიო (85), 3:1 რობერტო კარლოსი (90)
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, იერო, კარანკა, კარემბუ, სავიო, ივან ელგუერა, რედონდო, გუტი (ზეედორფი 64), რაული, მორიენტესი (ჟულიო სეზარი 88)
რუსენბორგი: იამტფალი, ბასმა, იონსენი, ჰოფტფუნი, ბერგდოლმო, სტრანდი (ააროი 89), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, მინიაკობსენი (ვისნესი 50)
მსაჯი: მ. პირო (ბელგია)

პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში შინ „სარაგოსასთან" განცდილი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ, მადრიდის „რეალი" კვლავ წარსდგა მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე" საკუთარი გულშემატკივრის თვალწინ. ამჟამად სამეფო კლუბი ნორვეგიულ „რუსენბორგს" მასპინძლობდა. ვისენტე დელ ბოსკეს შეგირდებმა ამჯერად შეძლეს შელახული რეპუტაციისა და ღირსების დაცვა, მათ ნორვეგიული კლუბი 3:1 დაამარცხეს.

მადრიდული კლუბი „ოქროს ბიჭუნამ" — რაულმა შეხვედრის მე-17 წუთზე დააწინაურა — ბრაზილიელი სავიოს მიერ დარტყმული ბურთი „რუსენბორგის" მეკარე იორნ იამტფალმა ვერ შეიმაგრა ხელში, რაულსაც ეს უნდოდა და ანგარიში გახსნა. თუმცა იმავე იამტფალმა ტაიმის მიწურულს იყოჩაღა, როდესაც „რეალის" რიგებში კვლავ დაბრუნებულ კაპიტანს — ფერნანდო იეროს აულო თერთმეტმეტრიანი, რომელიც მადრიდელთა ფორვარდ ფერნანდო მორიენტესის წაქცევისთვის დაინიშნა. ეს უკანასკნელი საჯარიმოში აკრძალული ხერხით ერიკ ჰოფტუნმა შეაჩერა.

მეორე ტაიმი სულ ორი წუთის დაწყებული იყო, როდესაც რუსენბორგელმა იონ კარეუმ სუსტი წერტილი მოუნახა „რეალის" არც თუ მთლად მწყობრ დაცვას და ანგარიში გაათანაბრა.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა და შეხვედრას ისეთი პირი უჩანდა, რომ „რეალი" თამაშს ვერ იგებდა, თუმცა მადრიდულ კლუბს ამჯერად ბრაზილიელმა სავიომ უშველა, რომელმაც 85-ე წუთზე გოლი გაიტანა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ დროში რობერტო კარლოსმა მიაყოლა კიდევ ერთი და საბოლოო შედეგი 3:1 დააფიქსირა.

„პირველ ტაიმში ბურთს ჩვენ ვაკონტროლებდით და მომენტებიც ბლომად გვქონდა, მაგრამ მეორეში საქმეები ცუდად წაგვივიდა. მოხარული ვარ, რომ თამაში მოვიგეთ, თუმც ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ჯგუფში ამჟამად პირველი პოზიცია დავიკავეთ და მარტამდე მთელი კონცენტრაცია საშინაო ჩემპიონატზე შეგვიძლია გადავიტანოთ" — განაცხადა „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ.

### ბაიერნი 2:1 დინამო

1:0 იანკერი (6), 1:1 რებროვი (50), 2:1 პაულო სერჟიო (80)
ბაიერნი: კანი, კუფური, მათეუსი, ლინკე, ბაბელი, ფინკი, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო (ვისინგერი 90), იანკერი, სანტა კრუზი (ციკლერი 75)
დინამო: შოვკოვსკი, კარდაში, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ხაცკევიჩი (გერასიმენკო 49), კალაძე, ბელკევიჩი, იაშკინი (ვენგლინსკი 46), გუსინი, რებროვი
მსაჯი: ჰ. დალასი (შოტლანდია)

კიევის „დინამო" მეორე შეხვედრაში მეორედ დამარცხდა და ცხრილში ბოლო ადგილი დაიკავა. ამჯერად ლობანოვსკის შეგირდები მიუნხენში ადგილობრივ „ბაიერნთან" დამარცხდნენ ანგარიშით 1:2.

მე-6 წუთზე გერმანელები დაწინაურდნენ — კარსტენ იანკერმა კიეველთა გოლკიპერის ალექსანდრ შოვკოვსკის შეცდომით ისარგებლა და გოლი გაიტანა. უკრაინელებმა ანგარიში 50-ე წუთზე გაათანაბრეს, „ბაიერნის" მეკარე ოლივერ კანთან პირისპირ დარჩენილმა სერგეი რებროვმა მას შანსი არ დაუტოვა, თუმცა მე-80 წუთზე გერმანელებმა კვლავ გამოიჩინეს ხასიათის სიმტკიცე და მატჩის მოგება შეძლეს. ბურთი ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, პაულო სერჟიომ გაიტანა.

მატჩის შედეგით „ბაიერნის" მთელი შემადგენლობა კმაყოფილი ჩანდა. მისმა თავკაცმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა: „მართალია, რამდენიმე შეცდომა დავუშვით, მაგრამ შეხვედრა მაინც მოვიგეთ. მოხარული ვარ, რომ გუნდში ზოგიერთი წამყვანი ფეხბურთელი დაბრუნდა. ვგრძნობ, „ბაიერნი" თამაშს ნელ-ნელა მოუმატებს და ლამაზი ფეხბურთის ჩვენებას შეძლებს."

ჩავარდნები „ბაიერნის" დაცვას ნამდვილად ჰქონდა. ერთი ორჯერ რებროვს მიეცა ხელსაყრელი მომენტი, თუმც ვერ გამოიყენა.

კიევის „დინამო" წაგების შემდეგ არცთუ შესაშურ ვითარებაში ჩავარდა. მას ნული ქულა აქვს, ხოლო „ბაიერნმა" მოგებით სამი ქულა მიითვალა და ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრდა, თუმც ჯერჯერობით მხოლოდ მეორე ტური დასრულდა და რაიმეზე წინასწარ საუბარი ნაადრევია.

ყველაფერი გაისად გაირკვევა, მანამდე კი ლიგაში შესვენება გამოცხადდა.

*29 თებერვალი: რეალი — ბაიერნი, დინამო — რუსენბორგი*

REUTERS მოწოდებით



ბაიერნი — დინამო 2:1. ბაიერნელი პაულო სერჟიო და კიეველი ვასილი კარდაში

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 29.II | 3:1 | 14.III | 5:2 | 6 |
| 2 | ბაიერნი | 8.III | | 14.III | 2:1 | 3:2 | 4 |
| 3 | რუსენბორგი | 22.III | 1:1 | | 8.III | 2:4 | 1 |
| 4 | დინამო | 1:2 | 22.III | 29.II | | 2:4 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. D ჯგუფი

### ლაციო 0:0 ჩელსი

ლაციო: მარკეჯანი, ფავალი, ნესტა, ფერნანდო კოუტუ, გოტარდი, ვერონი, ნედვედი, ლომბარდო (ბოკშიჩი 69), სიმეონე, ს. ინძაგი (სალასი 45), მანჩინი (სერჟიო კონსეისაო 79)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, დესაი, ფერერი, ბაბაიარო, დეშამპი (დი მატეო 74), პოიეტი, უაიზი, ძოლა, ფლო
მსაჯი: ჰ. კრუგი (გერმანია)

შეხვედრა, რომელიც სამშაბათს რომში იქაურ „ლაციოსა" და ლონდონის „ჩელსის" შორის გაიმართა, ფრედ 0:0 დასრულდა. ეს ნამდვილად არ გამოდგა ისეთი სანახაობა, როგორსაც მაყურებელი „სტადიო ოლიმპიკოს" მწვანე მინდორზე მოთამაშეთაგან ელოდა. იყო ბრძოლა, ძირითადად მოედნის ცენტრში, საჯარიმოებამდე არმისული სადღაც უკვალოდ რომ იკარგებოდა. ცალ-ცალკე ყველა ფეხბურთელი თითქოს რაღაცის შექმნას ცდილობდა, მაგრამ ეს იყო და ეს. საბოლოოდ სტადიონზე შეკრებილი და ტელევიზორთან მჯდარი მაყურებელი გაწბილდა. ანგარიშიც ლოგიკური ასახვაა თამაშისა. „ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ თანამემამულე გუნდს დებიუტშივე საბრძოლო შემადგენლობა დაუპირისპირა. მისგან განსხვავებით, „ლაციოს" შვედმა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა ძირითადი მოთამაშეების — ფავალის, ნესტასა და ვერონის გარდა, შეიძლება ითქვას, მეორე შემადგენლობის ფეხბურთელები ათამაშა. მან სერჟიო კონსეისაო, სალასი და ბოკშიჩი მხოლოდ შეცვლაზე შეიყვანა, ხოლო მიხაილოვიჩი, პანკარო და ალმეიდა სხვადასხვა მიზეზის გამო საერთოდ ვერ ვიხილეთ. მეტნაკლებად სახიფათო მომენტები ლაციოელთაგან ვერონმა და სიმონე ინძაგიმ შექმნეს: ერთმა კუთხური ჩააწოდა, ხოლო მეორე მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა მახვილი კუთხიდან ვერ ივარგა. ჩელსელთაგან კი ჯანფრანკო ძოლას შეეძლო გოლის გატანა, ერთი-ორჯერ ნორვეგიელმა ტორე ანდრე ფლომაც დაარტყა, მაგრამ საკმაოდ უნიათოდ. ეს იყო და ეს. მატჩში ღირშესანიშნავი თუ მოხდა, მინდორს მიღმა. შეხვედრის კომისართან შელაპარაკების გამო მოედანი, უფრო სწორად, სამწვრთნელო სკამი დაატოვებინეს და გასახდელის გზას გაუყენეს „ჩელსის" თავკაცი ჯანლუკა ვიალი, რომელიც ამის შემდეგ მატჩს ტელეეკრანიდან ადევნებდა თვალყურს. გუნდებმა კი ქულები და D ჯგუფში პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს.

REUTERS მოწოდებით


ლაციო — ჩელსი 0:0. რომაელი ატილიო ლომბარდო (№16) და ლონდონელი სელესტინ ბაბაიარო ბურთისთვის იბრძვიან

### ფეიენოორდი 3:0 მარსელი

1:0 ხულიო კრუზი (72), 2:0 ბოსველტი (83), 3:0 ხულიო კრუზი (90)
ფეიენოორდი: დუდეკი, გუიანი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი, პაუვე, კალუ, ხულიო კრუზი, ვან ფოსენი (დე ვისერი 37)
მარსელი: პორატო, პერესი, ბერიზო, გალასი, ფიშერი, პირესი (მარტინი 68), ბრანდო, ლუქსენი, დალმა, მორისი (ბაკაიოკო 80), დიუგარი
გაძევება: ვან ვონდერენი (7), ფიშერი (62), პერესი (79)
მსაჯი: ვ. მელო პერეირა (პორტუგალია)

ჯგუფის მეორე შეხვედრა, რომელიც ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში გაიმართა ადგილობრივ „ფეიენოორდსა" და მარსელის „ოლიმპიკს" შორის, მასპინძელთა გამარჯვებით 3:0 დასრულდა. როტერდამელებს თავიდანვე მცველი ვან ვონდერენი გაუძევეს — მან „მარსელის" ფორვარდი ფლორიან მორისი მაშინ წააქცია, როდესაც ეს უკანასკნელი გოლის გატანას ცდილობდა. 62-ე წუთზე კი მსაჯმა გუნდები ისევ გაათანაბრა. ფრანგთა მცველის, ჰენრიკ ფიშერის მეორე ყვითელი ავტომატურად წითლად იქცა. სულ ათ წუთში „ფეიენოორდის" ფორვარდმა ხულიო კრუზმა ანგარიში გახსნა. მის ლამაზ მოჭრილ დარტყმას „მარსელის" მეკარე სტეფან პორატო ვერ გაუმკლავდა. 79-ე წუთზე არბიტრმა უკვე ფრანგები შერისხა და მინდვრიდან პერესი გააძევა. „ფეიენოორდმა" ეს შანსი ჩინებულად გამოიყენა: 83-ე და 90-ე წუთებზე ბოსველტმა და იმავე კრუზმა მეტოქეს კიდევ ორი გოლი გაუტანეს. ჰოლანდიელთა თავკაცი ლეო ბეენჰაკერი, ცხადია, კმაყოფილი გახლდათ, ხოლო „მარსელის" მთავარმა მწვრთნელმა შემდეგი განაცხადა: „ეტყობა, მოთამაშეთა მენტალიტეტი ჩემპიონთა ლიგაში საასპარეზოდ საკმარისი არ არის".

*29 თებერვალი: ლაციო — ფეიენოორდი, მარსელი — ჩელსი*

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჩელსი | | 22.III | 3:1 | 8.III | 3:1 | 4 |
| 2 | ლაციო | 0:0 | | 29.II | 14.III | 2:0 | 4 |
| 3 | ფეიენოორდი | 14.III | 8.III | | 3:0 | 4:3 | 3 |
| 4 | მარსელი | 29.II | 0:2 | 22.III | | 0:5 | 0 |



ანგოლელები რა ანიკო კანტორისა და მისი უნგრელი თანაგუნდელების გამჩერებლები იყვნენ

# მსოფლიო ევროპად იქცა

7 დეკემბერი
მერვედფინალი

დანია 30:23 ბრაზილია
პოლონეთი 21:28 საფრანგეთი
რუსეთი 19:22 გერმანია
მაკედონია 28:27 კორეა
ავსტრია 28:27 ბელარუსი
უნგრეთი 38:18 ანგოლა
ჰოლანდია 16:26 რუმინეთი
ნორვეგია 24:19 უკრაინა

ხელბურთელ ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სამშაბათს გაიმართა მერვედფინალური მატჩები და რვა საუკეთესო ნაკრებიც გამოვლინდა, რომლებიც სუყველა ევროპელები არიან მერვედფინალებმა უსიურპრიზებოდ ჩაიარა, თუმცა არც მთლად უამისობა იყო. მაგალითად, 1988-1992 წლების ოლიმპიადების ჩეპიონი და 1996 წლის ვიცეჩეპიონი კორეა ოქროს მედლებისთვის ბრძოლას გამოეთხოვა, ისევე როგორც ჯგუფში ნორვეგიის მძლეველი ჰოლანდია. თუმცა, სჯობს თანმიმდევრულად მივყვეთ.

მსოფლიოს ჩემპიონებს, დანიელ ხელბურთელებს ოქროს მედლებისკენ სავალ გზაზე საკმაოდ იოლი მოწინაალმდეგე გადაელობათ. ბრაზილია რიგის მაქნისიც იყო, ჯგუფშივე გამოჩნდა, საიდანაც სამხრეთამერიკელები მხოლოდ ჩინეთთან შედარებით ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით გაძვრნენ. მათ ვერაფერი გააწყვეს სკანდინაველთა წინააღმდეგ და მატჩის შედეგიც სავსებით ლოგიკურია. დანიამ თავიდანვე შეძლო გვარიანად დაწინაურება და მთელი შეხვედრის მანძილზე აღარ დაუთმია ინიციატივა. ისინი თამაშის დასასრულისასღა მოეშვნენ ოდნავ და მეტოქეს ცოტათი წამოწევის საშუალება მისცეს.

საფრანგეთი პირველად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში და საეჭვოა ამის იქით წავიდეს, რადგან მეტოქედ დანია ჰყავს. თავიდან პოლონეთი დაწინაურდა (4:2), მაგრამ ფრანგებმა ათწუთიანი მონაკვეთი 8:1 მოიგეს და ამის მერე პოლონელებისთვის ანგარიშის გათანაბრების საშუალება აღარ მიუციათ. ტაიმი მათ სასარგებლოდ დამთავრდა 14:9. თამაში შესვენების შემდეგაც საფრანგეთის უპირატესობით გაგრძელდა. საფინალო სირენამდე ოციოდ წუთით ადრე კი პოლონელები ვა-ბანკზე წავიდნენ და დაცვაში 2-4 სისტემაზე გადავიდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რადგან საფრანგეთის ხაზის მოთამაშეები თითქმის უშეცდომოდ უტევდნენ მათ კარს.

მერვედფინალებში ყველაზე დაძაბული მაკედონია-კორეა და ავსტრია-ბელარუსი იყო. ორივე მატჩის ბედი უკანასკნელ წუთებზე გადაწყდა და ორივე ერთნაირი ანგარიშით დამთავრდა. თუ ავსტრიელთაგან ყოფილი საბჭოელების დამარცხებას თითქმის ყველა ელოდა, სამაგიეროდ, ცენტრალურევროპელებს ასე თუ გაუჭირდებოდათ, არავის ეგონა. აი, ექსიუგოსლავების წარმატება საშუალოზე გაცილებით ძლიერ კორეასთან ნამდვილ სენსაციად შეიძლება ჩავთვალოთ.

ყველაზე იოლი გამარჯვება უნგრელებმა მოიპოვეს. ისინი ანგოლელებზე ათი თავით მაღლა დგანან და ეს ამ შეხვედრაშიც დაამტკიცეს. ევროპელებმა აფრიკელებისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს და მთელი ოცი ბურთის სხვაობით დაამარცხეს ისინი.

მთლად უნგრელებივით ვერა, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებლად მოუგეს თავთავიანთ მეტოქეებს რუმინეთმა და ნორვეგიამ. აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიისგან ჯგუფში ნორვეგიის ძლევის შემდეგ ტიტების ქვეყნის ხელბურთელებისგან ასეთ სუსტ თამაშს არავინ ელოდა. შედარებით გაუჭირდა გერმანიას, თუმცა საბოლოოდ მაინც აჯობა რუსეთს.

დღეს ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან. შეგახსენებთ, რომ ამ ჩემპიონატის ხუთი საუკეთესო გუნდი სიდნეის ოლიმპიადის საგზურებს მიიღებს. ასე რომ, მეოთხედფინალში დამარცხებულებისთვის ტურნირი ჯერ მაინც არ დამთავრდება, ისინი მეხუთე ადგილისთვის განაგრძობენ ბრძოლას.

**ბაბი ბურული**

დღეს მეოთხედფინალში
ითამაშებენ

ნორვეგია - უნგრეთი
რუმინეთი - მაკედონია
გერმანია - ავსტრია
დანია - საფრანგეთი

# ვითარება ფულის! კატასტრო

## საუკუნის ბოლოს ქართული ხელბურთი შეიძლება მოგონებად გვექცეს

ქართველ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებს იანვარში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის. მეტოქეები არცთუ ხელწამოსაკრავნი გვყავნან — შვეიცარია, ბელარუსი და ისრაელი. კალენდარიც შედგენილია და ისიც ცნობილია, რომ 6 იანვარს პირველივე, უპრინციპულეს მატჩში მთავარ კონკურენტ შვეიცარიას ვხვდებით. ამ დროს კი საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ხაზინაში ფული წამლად არ იშოვება. თავი რომ დავანებოთ ორ გასვლით თამაშზე წასასვლელ გზის ფულს, თბილისში ოთხი მატჩია ჩასატარებელი (ბელარუსები ორივე მატჩს თბილისში ჩაატარებენ). მეტოქეთა მიღება, მსაჯებისა და დელეგატის ჩამოყვანა (ამათი მგზავრობის ხარჯებიც ჩვენმა ასოციაციამ უნდა აანაზღაუროს), დაბინავება, კვება, თამაშის მერე გასამართი სავალდებულო ბანკეტი. აქეთ სპორტის სასახლის იჯარა... ზამთარია და ამ თანხებს სპორტის სასახლის გათბობის ხარჯიც ემატება. ოთხი თამაშის ჩასატარებლად დაახლოებით 130-150 ათას ლარამდეა საჭირო. ასოციაციას კი, როგორც გითხარით, ფული არა აქვს. უფრო მეტიც — მას ჯერ ის ვალებიც არ გაუსტუმრებია, ნაკრების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში სათამაშოდ რომ აიღო. 6 იანვრამდე რა დიდი დროა დარჩენილი, ნაკრები კი სრულყოფილად ვერ ემზადება. გუნდის ძირითადი ბაზა სტუ-ს დარბაზია, ის კი არ თბება და მზადებაც ამიტომ ფერხდება. ნაკრების თავკაცებს არც ერთი ინსტანცია არ დარჩათ შეუწუხებელი, მაგრამ ამაოდ. შეხვდნენ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანს, სეოკ-ის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს, ასოციაციის პრეზიდენტ თენგიზ გაზდელიანს, მაგრამ ყველასგან ერთნაირი პასუხი მიიღეს — ფული არ გვაქვს, ვერ დაგეხმარებითო. არადა, ევროპის ხელბურთის ფედერაციაში დასტური ამ თამაშების მასპინძლობაზე გაგზავნილია. სტუმრებს სათანადოდ რომ ვერ ვუმასპინძლოთ, ევროპელები საერთაშორისო ფედერაციაში გვიჩივლებენ და მაშინ ფინანსურადაც დავისჯებით და სამწლიანი დისკვალიფიკაციითაც. ეს კი არაფრით იქნება იმ თანხაზე ნაკლები, რაც მასპინძლობას სჭირდება.

იქნებ ვინმემ იკითხოს, თუ ფული არ ჰქონდათ, რას თანხმდებოდნენ ევროპის ფედერაციასო. ჩვენი ასოციაციის პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელიც სექტემბერში გაიმართა, ასოციაციის პრეზიდენტს თენგიზ გაზდელიანს უთქვამს, ფულს ვერ ვიშოვითო. მაგრამ მაშინ, დანიელებთან საევროპო პლეი ოფში მარცხის მიუხედავად, საქართველოში რაღაც ხელბურთის ბუმისმაგვარი შეიმჩნეოდა (პლეი ოფში გასვლაც ხომ წარმატება იყო), კაცი კი იმედით ცოცხლობს. ამიტომ უმრავლესობა იმედოვნებდა, ფულს ვიშოვით, შანსს ბოლომდე გამოვიყენებთ და ეგებ... ამას ისიც დაემატა, რომ ბელარუსებმა ორივე მატჩის თბილისში გამართვა შემოგვთავაზეს. ამით ჩვენი შანსი იზრდებოდა. თანხმობაც ამიტომ გაიგზავნა, თორემ დღეს ასოციაციაში ბევრი ნანობს ამ ნაბიჯს. ნანობენ იმასაც, რომ თავიდანვე არ დათანხმდნენ შვეიცარიას და ისრაელს, რომელთაც სურდათ, ორივე მატჩი მათთან ჩატარებულიყო. ჩვენი ნაკრების მასპინძლობას თვითონ კისრულობდნენ მგზავრობის ხარჯების ჩათვლით.

საქართველოს ხელბურთის ასოციაციაში აღარ სჯერათ, რომ საჭირო ფულს იშოვიან. ამიტომ მდგომარეობიდან გამოსავალს ისევ იმაში ხედავენ, რომ შვეიცარია-ისრაელს ორჯერვე სტუმრად ეთამაშონ, ბელარუსს კი მაინც არ სურს შინ თამაში. ასე ხარჯები ნახევრდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენმა ასოციაციამ კბილი მოუსინჯა ევროპელ უფროსებს და გუშინწინ სატელეფონო საუბარში ამაზე ჩამოუგდო სიტყვა — გაზი შეგვიწყდა, დენი თითქმის არ გვაქვს, სპორტის სასახლეს ვერ გავათბობთ, სტუმრებს ხეირიანად ვერ ვუმასპინძლებთ და ნება დაგვრთეთ, სტუმრად ვითამაშოთო. თუ შვეიცარია-ისრაელს ვერა, მაშ, ბელარუსს როგორღა უმასპინძლებთო, უკითხავთ გაოცებულ ევროპელ ჩინოსნებს. ბელარუსს ყველაზე გვიან, 21-ში ვმასპინძლობთ, იქამდე ყველაფერს მოვასწრებთო, უპასუხნიათ ქართველებს. შედეგი დღეს საღამოს გაირკვევა, როცა საბოლოო პასუხის მისაღებად თბილისიდან კიდევ ერთხელ შეეხმიანებიან ევროპას, მაგრამ ამით პრობლემათა ჯაჭვი მაინც არ წყდება. საქმე ისაა, რომ გუნდს დანიელებთან სექტემბერში წაგების მერე ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია და მოთამაშეები საქართველოს ჩემპიონატის ტურების ამარა დარჩნენ. უფულობის გამო ჩაიშალა დაგეგმილი ტურნეები იტალიაში, გერმანიაში... ასოციაციაში გუშინაც დარეკა ჩვენმა სახელოვანმა ხელბურთელმა ალექსანდრე ანპილოგოვმა, რომელიც გერმანიაში საქმიანობს და ნაკრებისთვის ოთხი თამაშიც გაუხერხებია, ოღონდ თქვენ ჩამოდითო, მაგრამ ამხანაგურ თამაშზე კი არა, ოფიციალურზეც ვერ მიდიან.



ზაზა დოლიძე

ერთი სიტყვით, ქართულ ხელბურთში მდგომარეობა სავალალოა. მის წინ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ნაცვლად ღრმა უფსკრული უფრო მოჩანს. გუშინ ხელბურთის ასოციაციაში ნაკრების კრება გაიმართა, სადაც სწორედ ამ პრობლემებზე ისაუბრეს. ითქვა, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად რაღაც გზებს ეძებენ.

კრების დამთავრების მერე ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს და ხელბურთელებს გავესაუბრეთ.

*ზაზა დოლიძე* — მდგომარეობა ჩვენს ნაკრებში თითქმის კატასტროფულია. სახელმწიფოს არა აქვს ფული, რომელიც საჭიროა ამ ტურნირში გამოსასვლელად. ჩვენ თითქმის ყველა ინსტანცია მოვიარეთ, მაგრამ უშედეგოდ. გვინდა, კახი ასათიანს ვთხოვოთ, მთავრობაში მწვავედ დააყენოს [illegible] ჩვენს გასაჭირზე, რათა მან დაგვაფინანსოს. მჯერა, ეს ასეც მოხდება და ჩვენ თბილისში ვითამაშებთ. საბოლოო წარმატების მისაღწევად ეს აუცილებელია. დღეს მსოფლიოში გვაფასებენ და ავტორიტეტი არ უნდა დავკარგოთ.

*ვახტანგ მეიფარიანი* — მირჩევნია, მიმოსვლით ვითამაშოთ, მაგრამ მოკვეთას ისევ სტუმრად თამაში სჯობს. მდგომარეობა მართლაც სავალალოა. თუ მომზადებას მოვახერხებთ, ჯგუფიდან გასვლა ნამდვილად შეგვიძლია. გადამწყვეტი მატჩი 6 იანვარს შვეიცარიასთან თბილისში თამაში იქნება. ამ გუნდისთვის ადრეც მოგვიგია და ვიცნობთ. მის დამარცხებას ახლაც შევძლებთ.

*ალექსანდრე ბოყოჩაძე* — თუ იმ დონეზე მოგვამზადებენ, როგორც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის, ამ ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსია. თუ ეს გვინდა, მაშინ თბილისშიც უნდა ვითამაშოთ. შეუძლებელია, ყველა თამაში მოვიგოთ სტუმრად. შინ კი აუცილებლად უნდა ვიმარჯვოთ.

**ირაკლი თავაძე**



ნაკრების მეკარე როლანდ ერაძე და მისი თანაგუნდელები ღვთის იმედზეღა არიან



კაცებში უძლიერესი სომხეთის ნაკრები

ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან

# საქართველო ბათუმში ჩაიჭრა
## აი, რა იცის უფულობამ!



ბათუმში დასრულებული მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებულთა სადაურობა გუშინ გაუწყეთ — ქალებში სლოვაკები, კაცებში სომხები. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ჟუჟანა პაგაროვა, რეგინა პოკორნა, ალენა ბეკიარისოვა; სმბატ ლპუტიანი, არტაშეს მინასიანი, აშოტ ანასტასიანი, ლევონ არონიანი, არშაკ პეტროსიანი. ქართველთა შედეგი კი ვერაფრით გაგახარებთ.

ქალთა პირველმა და მესამე გუნდებმა მხოლოდ 10 ქულა მოაგროვეს და მე-10-მე-12 ადგილებზე გავიდნენ. მეორე ნაკრები კი 9 ქულით მე-17 იყო.

ქართველი კაცები ოცეულშიც ვერ მოხვდნენ, პირველი გუნდი 16,5 ქულით 29-ე იყო, მეორე ნაკრებმა შედარებით უკეთ იასპარეზა და 18,5 ქულით 21-ე ადგილზე გავიდა.



სლოვაკი ლამაზმანები ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ

ელგუჯა ფხაკაძე ბათუმიდან



# ნუგზარ ძაგნიძე მდიდარი კაცია
## მისი სიმდიდრე მისი წლებია

მას ტიტულები არ აკლია, დაფასებულიცაა და პატივცემულიც, გულგატეხილობაც არ არის მისთვის უცხო ხილი. თუმცა მინდორზე ყოველთვის ნუგზარ ძაგნიძე იყო, მორაგბე, რომელიც ბოლომდე იხარჯებოდა, ბოლომდე იბრძოდა. კაპიტანს ხელი არასდროს ჩაუქნევია, მუდამ წინ უძღოდა თანაგუნდელებს და შთაგონებული თამაშით მეტოქესაც კი ალაფრთოვანებდა. მარტო მისი საფირმო საჯარიმო დარტყმები რად ღირს. თავისი სპორტული კარიერის გაფურჩქვნის ხანაში მეტოქის ნახევრის თითქმის ნებისმიერი პოზიციიდან შეეძლო კარში დარტყმა. წლების მატებასთან ერთად ოსტატობასაც ხვეწდა და ახალდაწყებულ საქართველოს ჩემპიონატს გამოკვეთილ ლიდერად, ბრძენ მოთამაშედ მოევლინა. ქუთაისის „აიას“, რომლის კაპიტანიც ის იყო, 1990-დან 1995 წლამდე ჩემპიონის გვირგვინი ედგა თავზე. შემდეგ გული გაუტყდა და სპორტიდან წავიდა. წავიდა, როგორც თვითონ ეგონა, სამუდამოდ. მაგრამ წინასწარ ყველაფერს ვერ განჭვრეტ. ნუგზარ ძაგნიძე დაბრუნდა. 1998 წელს „აიას“ შემადგენლობაში ერთი მატჩიც ითამაშა, მერე კი ბათუმის „დათვებში“ გადავიდა და გუნდს გამარჯვებისკენ წარუძღვა.

1999 წელს შედგა მისი სრულფასოვანი დაბრუნება დიდ სპორტში. „დათვები“ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ. ამ გუნდის მორაგბეებს შორის ყველაზე ბედნიერი, ალბათ, კაპიტანი იყო. მან ყველას დაუმტკიცა, უპირველესად კი საკუთარ თავს, რომ კიდევ შეუძლია თამაში და მერე როგორ. ბათუმში 1 დეკემბერს „ყოჩებთან“ გამართულ საჩემპიონო შეხვედრაში ძველი ნუგზარ ძაგნიძე დაჰქროდა მინდორზე და თავისი გუნდის თითქმის ყოველ შეტევაში, ყოველ ქულაში წილს იდებდა.

7 დეკემბერს კი თბილისში „ლოკომოტივი 1“-ის წინააღმდეგ კაპიტანი არ თამაშობდა. ის ფეხს იტკივებდა და თანაგუნდელებს მოედნის კიდიდან ადევნებდა თვალს. ჩვენც დრო ვიხელთეთ და გამოველაპარაკეთ.

**— ძნელია, გახდე საქართველოს ჩემპიონი?**

— ამ ჩემპიონატით თუ ვიმსჯელებ, ნამდვილად ძნელი ყოფილა. ამის მიღწევას დიდი შრომა უნდა, ძალიან დიდი.

**— ვინ იყო თქვენთვის ყველაზე უხერხული მეტოქე?**

— რა თქმა უნდა, „ყოჩები“ და „ლოკომოტივი 1“. ორივე გუნდი ერთობ მობილურია და ისეთი შერკინების ხაზი ჰყავთ, რომელთანაც ძალიან ძნელია თამაში. „ლოკომოტივს“ უძლიერესი მორკინალები ჰყავს და მათთან შეხვედრაში უფრო გვიჭირდა, ვიდრე „ყოჩებთან“, ვისთანაც ყოველთვის უფრო გაშლილად და კომბინაციურად ვთამაშობდით. რკინიგზელებს კი უფრო შეკრულად, ერთგვარად ხისტად ვეპაექრებოდით. თანაც ეს გუნდი ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული იყო საქართველოს ჩემპიონატში.

**— სპორტსმენისთვის საკმაოდ ასაკოვანი ხართ. ხომ არ გიჭირთ თამაში?**

— ასაკი ნამდვილად გასათვალისწინებელია. რა თქმა უნდა, წლებს თავისი მიაქვს, აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ წლეულს ტრავმის გამო ორი ოპერაცია გავიკეთე და ხელი ამანაც შემიშალა. თუმცა ბოლო 6-7 მატჩში ჩემი თავით კმაყოფილი დავრჩი.

**— თქვენს გარდა გუნდში მრავლად არიან ასაკოვანი მოთამაშეები. ამან გუნდს პრობლემები ხომ არ შეუქმნა?**

— უთუოდ შენიშნავდით, ჩვენი მთავარი უპირატესობა გამოცდილება და კლასია. სწორედ ამას ვუპირისპირებდით ჩვენი ახალგაზრდა მეტოქეების ძალ-ღონეს და ფიზიკურ მომზადებას. ცხადია, ძველებურად ჯანიანები აღარ ვართ, თუმცა ვფიქრობ, თამაში კიდევ შეგვიძლია და ვითამაშებთ კიდეც.

**— მსაჯობაზე რას იტყვით? ამ მხრივ რომელ მატჩს გამოარჩევდით — საუკეთესოსაც და ყველაზე უარესსაც?**

— მსაჯობა უდავოდ უკეთესი უნდა ყოფილიყო. ახლა ძნელია რომელიმე შეხვედრაზე ლაპარაკი, თანაც სეზონი უკვე დამთავრდა და არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო. ვიმეორებ, სასურველია, მსაჯობა უკეთესი იყოს.

**— თვითონ ჩემპიონატის შესახებაც გვითხარით. როგორი დონის პირველობა ჩატარდა?**

— ვთვლი, რომ ლეგიონერების უცხოეთში წასვლამდე საკმაოდ მაღალი დონის ჩემპიონატი იყო. უიმათოდ კი ერთგვარად გალარიბდა. მანამდე უფრო მეტი ძლიერი გუნდი გვყავდა, თუნდაც „ზორდა“, ასკ. თანაც, როცა ლეგიონერები აქ თამაშობდნენ, უფრო დაძაბული და საინტერესო თამაშები იყო.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— ჯერჯერობით ვერ გადამიწყვეტია, წავიდე თუ დავრჩე. ცოტა დრო მჭირდება მოსაფიქრებლად.

**— ბათუმში ხომ თქვით, ვრჩებიო...**

— რა ვიცი, ვნახოთ. მგონი, ერთ სეზონს კიდევ ვითამაშებ. მომავალი გვიჩვენებს.

**— ალბათ, ისევ ჩემპიონობა გსურთ...**

— რა თქმა უნდა. წლეულს რომ ჩემპიონები არ გავმხდარიყავით, ვიტყოდი, რაგბი არასოდეს მითამაშია-მეთქი. ამ სეზონში ისეთი მოთამაშეები გვყავდა, ახალგაზრდებიც, გამოცდილებიც, ნამდვილად შევრცხვებოდით, რომ არ გაგვემარჯვა. განსაკუთრებით ჩვენ, ასაკოვანი ხალხი, ვისაც თქვენ ვეტერანებს უწოდებთ.

**— შეინარჩუნებს თუ არა გუნდი თავის შემადგენლობას? ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდეთ, თუნდაც თქვენს შორის ყველაზე ასაკოვანი ზურაბ რეხვიაშვილის წასვლას.**

— გუნდი სრულად შეინარჩუნებს შემადგენლობას. რაც შეეხება ზურაბს, მას გამოცდილება და ოსტატობა საკმარისზე მეტი აქვს, ძალაც ერჩის და კვლავაც შეუძლია, საქართველოს ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩაატაროს.

ზაზა ბენიძე

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო



ნუგზარ ძაგნიძე (ბურთით) მუდამ ყურადღებისა და მოვლენების ცენტრშია



REUTERS ვაშინგტონიდან

აილენდერსის მეკარე რობერტო ლუონგოს ვაშინგტონში დიდი ჯაფა დაადგა

# პოლ კოფი: ისევ ის ბიჭი...

7 დეკემბერი

**ვაშინგტონი — აილენდერსი 4:2**

1:0 1:2 2:0

1:0 გონჩარი 10'44 (1); 1:1 ჩერკავსკი 26'05 (10); 2:1 კონოვალჩუკი 34'59 (7), 2:2 პიუარდი 35'19 (4); 3:2 ბლეკი 42'15 (4); 4:2 ზედნიკი 59'45 (7)

**მონრეალი — კალგარი 3:3**

0:2 3:1 0:0 0:0

0:1 მორისი 0'24 (4); 0:2 სტილმანი 5'50 (12); 1:2 ზუბრუსი 21'32 (8); 1:3 ბურე 24'34 (14); 2:3 რუჩინსკი 29'32 (10); 3:3 რუჩინსკი 34'33 (11)

**ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 მედენი 22'55 (2); 2:0 მაკეი 50'05 (9); 2:1 ჰარდინა 17'14 (1)

**სენტ ლუისი — კაროლინა 2:4**

2:1 0:2 0:1

1:0 მაკინისი 5'24 (4); 1:1 კოფი 8'26 (3); 2:1 დემეტრა 13'52 (13); 2:2 ჰილი 23'38 (5); 2:3 ონეილი 39'12 (10); 2:4 ონეილი 59'56 (11)

როცა შარშან კაროლინამ ძვირადღირებული, მაგრამ აშკარად ფორმადაკარგული პოლ კოფი შეიძინა, ბევრი გაოცებული დარჩა. კოფიმ რამდენიმე თამაში რომ ჩაატარა, ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი წერდა, სახელოვანი მცველი დიდებული კარიერის მიწურულს სასაცილოდ გამოიყურებაო და სინანულს გამოთქვამდა ამის გამო.

80-იანი წლების ედმონტონის ერთ-ერთ ლიდერს, რომელსაც ოთხჯერ 100 ქულაზე მეტი მიუთვლია, ასაკი მართლაც ერთობ დაეტყო — აშკარად დაკარგა სისხარტე და შეცდომებსაც ისე უმატა, ყველას თავი მოაბეზრა. საბოლოოდ კოფი ძირითადს მიღმა დარჩა და ვინ იცის, რა უფერულ ნოტაზე დაასრულებდა კარიერას, მაგრამ... წლეულს განგებამ მას ბოლო შანსი მისცა... დრაფტის პირველ რაუნდში არჩეულმა დავიდ ტანაბემ კარგი დებიუტი მოიწყო ლიგაში, მაგრამ ბოლო მატჩებში დაღლა დაეტყო, რითაც კოფის თავის გამოჩენის შანსი მიეცა. და მოხდა სასწაული — ბევრისთვის მოულოდნელად ვეტერანი კვლავ ძველებურად ათამაშდა.

„არ მინდა, ვინმემ გადაჭარბებად ჩამითვალოს, მაგრამ კოფი ისე გამოიყურება, თითქოს ისევ 25 წლისაა" — აღტაცებას ვერ მალავს გუნდის მწვრთნელი პოლ მორისი და მართალიც არის. სპეციალისტები კოფის გამოცოცხლებასა და კიდევ ერთი მცველის, შონ ჰილის ათამაშებას უკავშირებენ იმას, რომ „ქარიშხლების" შეტევები გამწვავდა და ისინი ყველა გუნდისთვის მრისხანე მეტოქეებად იქცნენ. განსაკუთრებით მომძლავრდა კაროლინას რიცხვმრავლობის ბრიგადები (კოფი სწორედ მათი თამაშის გასაუმჯობესებლად მიიწვიეს), რომლებიც ადრე ლიგაში უსუსტესად ითვლებოდა. ახლა მათთან ნებისმიერ მეტოქეს სიფხიზლე მართებს, რადგან უხეშობისთვის კაროლინა მათ უმოწყალოდ სჯის. ეს სენტ ლუისმაც გამოსცადა თავის თავზე. სტუმრებმა 5 შესაძლებლიდან 3 გამოიყენეს და, ცხადია, ამაში ლომის წილი ზემოხსენებულ მცველებს ეკუთვნით. კოფიმ მორიგი გოლით ბოლო 7 მატჩში 8(3+5) ქულა დააგროვა, ხოლო ჰილი (1+2) ჯეფ ონეილს დუბლის გაკეთებაში დაეხმარა, შედეგად კი კაროლინამ, ბოლო 8 წლის განმავლობაში პირველად, „ბლუზმენებს" სენტ ლუისში სძლია.

წამყვანი მეგოლის გარეშეც არ გასჭირვებია ვაშინგტონს უგერგილოდ მოასპარეზე აილენდერსის დამარცხება, მით უმეტეს, რომ მისმა ვეტერანმა ადამ ოუთსმა კარგი ტემპი აიღო. „კეპიტალსის" პლეიმეიკერმა მორიგი 3 პასი მიითვალა და ბოლო 7 მატჩში 9-ჯერ გაუწია პარტნიორს ასისტენტობა.

კალგარიმ კარგად იგრძნო, რას ნიშნავს მონრეალელთათვის ტრავმირებული ჰოკეისტების დაბრუნება. გუნდის 8(!) მოთამაშიდან ორი გამოეწერა საავადმყოფოდან. მათგან ერთ-ერთმა, მცველმა პატრის ბრისბუამ თავისი მოვალეობა ჩინებულად შეასრულა და შეტევასაც (2 პასი) დაეხმარა.

ბოლოს კვლავ იარომირ იაგრზე მოგახსენებთ. ნოემბრის ყოჩს დეკემბერში აშკარად თვალი ეცა, ამჯერადაც ვერ გამოიყენა მომენტები და ორი „მშრალი" მატჩის შემდეგ ერთი პასილა შერჩა ხელთ. ცხადია, მისმა პიტსბურგმაც წააგო.

## კვირის მოთამაშე

### პიერ ტარჯონი (სენტ ლუისი)



„ის შეუდარებელია და ძალიან სახიფათო. მისი გაჩერება შეუძლებელია. მართალია, მთელი სეზონი კარგად ასპარეზობს, მაგრამ ბოლო ორ თამაშში განსაკუთრებულად გამოიყურებოდა" — სენტ ლუისის მწვრთნელის, ჯოელ კენევილის ეს სიტყვები „ბლუზმენთა" ლიდერ, პლეიმეიკერ პიერ ტარჯონის მისამართითაა ნათქვამი. ზურგის ტკივილის გამო ტარჯონმა ოთხი მატჩი გამოტოვა და დაბრუნებული გაორმაგებული ენერგიით ათამაშდა. მან ისინიც კი დაადუმა, ვინც ფორვარდს გულგრილობასა და ნაკლებ ენთუზიაზმს სწამებდა. ნეშვილთან თამაშში პარტნიორების დახმარებით ტარჯონმა ჰეთ თრიქი მიითვალა, გოლისა და 2 პასის ხარჯზე კი გუნდს სან ხოსესთანაც მოაგებინა. საბოლოოდ 3 თამაშში 7 (4+3) ქულით გასულს კვირას ყველაზე შედეგიანი გახლდათ და დამსახურებული აღიარებაც მოიპოვა. ტარჯონის კარიერაში ეს მესამე ტიტულია (ბოლოს ეს 1997 წელს მოხდა).

საუკეთესო ექვსეული. 29 ნოემბერი — 5 დეკემბერი

*ბობ ესენცა* (ფინიქსი, 1); *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, 1) — *პოლ კოფი* (კაროლინა, 1); *ალექსეი კოვალიოვი* (პიტსბურგი, 1) — *პიერ ტარჯონი* (სენტ ლუისი, 2) — *ბრენდან შენაჰანი* (დეტროიტი, 1)

# პოლ კარიამ ამერიკა გაინაღდა

ჰოკეის ქომაგთა ტრადიციული გამოკითხვა, რომელიც წლევანდელი „ყველა ვარსკვლავის" მატჩის მონაწილეებს ადგენს, პოლ კარიას სულაც არ აღელვებს — მას უკვე განაღდებული აქვს ადგილი ჩრდილოეთ ამერიკის ნაკრებში. ჰოკეისტი, რომელიც დღესდღეობით ბომბარდირთა დავაში მხოლოდ მე-11 ადგილზეა, 68 238 ხმით მნიშვნელოვნად უსწრებს უახლოეს მდევარს, ტორონტოს მეკარე კერტის ჯოზეფს (49 100). კიდევ უფრო მყარად ლიდერობს კარია თავისი ამპლუის მოთამაშეთა, გარემარბთა შორის. მეორე ადგილისთვის კი დეტროიტელი ბრენდან შენაჰანი (40 945) და ფილადელფიელი ჯონ ლეკლერი (37 367) იბრძვიან. როგორც ხედავთ, მათ შორის სხვაობა არც ისე დიდია.

საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება ზემოხსენებული ჯოზეფი მეკარეთა შორის. მეორე პოზიციაზე მყოფი დეტროიტელი კრის ოსგუდი (28 098) მას, ალბათ, ვეღარ დაეწევა.

ცენტრფორვადთაგან კი სასტარტო ექვსეულში მოხვედრის შანსი დეტროიტელ სტივ აიზერმანს აქვს. 47 711 ხმის მომგროვებელ „წითელფრთიანთა" კაპიტანს ფილადელფიელი ერიკ ლინდროსი (31 395) საგრძნობლად ჩამორჩა.

რაც შეეხებათ მცველებს, მათ მედგარი ბრძოლა გაუჩაღებიათ. ორ ადგილზე ერთბაშად სამი ჰოკეისტი აცხადებს პრეტენზიას. სენტლუისელ კრის პრონგერს (46 806) ლოსანჯელესელი რობ ბლეიკი (46 307) და ბოსტონელი რეი ბურკი (46 293) უდგანან კვალში. დაგვეთანხმებით, წარმატების შანსი ყველა მათგანს აქვს. სხვათა შორის, თუ ბურკი ერთ კონკურენტს მაინც ჩამოიტოვებს, პირველ ექვსეულში მე-13-ედ მოხვდება, ხოლო „ALL STAR GAME"-ში მე-19-ედ.

გამოკითხვის საბოლოო შედეგებს საახალწლოდ შეგატყობთ.



საქართველოს ჩემპიონატი

## 10 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### მამუკა ტურაშვილი

ვითა



ვაჟა ლომთათიძის ფოტო

*პირველი და მერვე ტურის მსგავსად, ამჯერადაც საუკეთესო მოთამაშედ „ვითას" კაპიტანი მამუკა ტურაშვილი დაასახელეს. იგი მსროლელის ფუნქციებს ასრულებდა, თან ვიცე-ჩემპიონის, რუსთავის „აზოტის" კაპიტან რამაზ გოგობერიშვილს მეურვეობდა. „ტურამ" რუსთაველთა ლიდერს გასაქანი არ მისცა, საიმედოდ ამოკეტა, 15 ქულის მომგროვებელ მეტოქეზე 13-ით მეტი გააკეთა, 8 შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი საჯარიმო ააცილა, 5 ცდიდან 3 სამქულიანი გამოიყენა. ყველაზე მეტიც ირბინა, მსაჯებთან კამათშიც იაქტიურა, ტექნიკური შენიშვნაც დაიმსახურა და ბოლო წლებში ტრადიციულ, უხერხულ მეტოქედ მიჩნეული „აზოტის" დამარცხებაშიც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა. არადა, რამდენად საოცარიც არ უნდა იყოს, იგი შეუძლოდ გახლდათ.*

**— მამუკა, რამ გაიძულათ, ავადმყოფს გეთამაშათ?**

— მოკლე სკამის გამო გავედი მოედანზე. პრინციპული შეხვედრა იყო და ასე უნდა მოვქცეულიყავი.

**— მოედანზე თავს როგორ გრძნობდით?**

— ძალიან იშვიათად, რომ შეცვლა მოვითხოვო. „აზოტთან" თავს სუსტად ვგრძნობდი, დასვენება მჭირდებოდა და ერთხელ გამომცვალეს კიდეც.

**— „აზოტმა" თუ ჯაფარიძე მოისაკლისა, სამაგიეროდ, ეროვნული ნაკრების მეორე წევრი — რეზო ჩხეიძე აიყვანა. „ვითა" კი წლეულს ერთბაშად 5 წამყვანი კალათბურთელის გარეშე დარჩა. ასეთ შემთხვევაში „ვითა" — „აზოტის" მატჩის შედეგი რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ?**

— რადგან „მაკაბისთან" და „გორთან" დაუგეგმავი ქულები დავკარგეთ, მეტოქეზე უფრო მობილიზებულნი გავედით მოედანზე და ამიტომაც გავიმარჯვეთ, თორემ ფაქტია, რომ „აზოტს" ბევრად უკეთესი შემადგენლობა ჰყავს.

**— „ვითას" მიერ დიდებულად ჩატარებული პირველი ტაიმისა და შედარებით უფერული მეორე ნახევრის შესახებ რას გვეტყვით?**

— პირველ ტაიმში თამაში წაგვივიდა და შეცვლაზე შემოსული ირაკლი შანიძე და გიორგი გაგნიძეც კარგად გაისარჯნენ. ნაწილობრივ 14-ქულიანი უპირატესობის ბრალიც იყო, რომ შესვენების შემდეგ ცოტა მოვდუნდით. მეტოქეს კი დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და გააქტიურდა. ერთხანს გაგვიჭირდა კიდეც, მაგრამ მსაჯების შეცდომების მიუხედავად მაინც გავიმარჯვეთ.

**— არადა, მსაჯებს რომელიმე გუნდის მიმართ მიკერძოებაში ვერ დაადანაშაულებთ.**

— ამაში მეც გეთანხმებით. მიკერძოება გამორიცხულია, მაგრამ არბიტრების მიერ დაშვებული შეცდომები მაინც აშკარაა და ისეთ პრინციპულ შეხვედრაში, როგორიც „ვითა" — „აზოტია", კალათბურთელებზე არასწორად მიღებული უმნიშვნელო გადაწყვეტილებაც კი მოქმედებს.

**— კონკრეტულად რა შეცდომებს გულისხმობთ?**

— კალათბურთელის ერთ შეცდომას სხვადასხვა მომენტში სხვადასხვანაირად აფიქსირებდნენ, ეს კი სპორტსმენს თრგუნავს. ან, როგორ შეიძლება, მსაჯმა თითქმის ყოველ შეპასუხებაზე ტექნიკური ჯარიმები არიგოს.

**— არც სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის?**

— ყვირილი, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მაქვს მხედველობაში.

**— თქვენ რისთვის მოგცათ ტექნიკური შენიშვნა?**

— როგორც კაპიტანმა, ვუთხარი, ახალკაცზე ჯარიმა იყო და უნდა დაგესტვინა-მეთქი. არბიტრმა კი ტექნიკურით „დამასაჩუქრა".

**— მთლიანობაში რას გვეტყვით, მატჩი როგორი გამოვიდა, დაძაბული თუ სანახაობრივად საინტერესო?**

— ასეთ თამაშებში ნერვებია წინა პლანზე და კლასი უკან რჩება.

**— გოგობერიშვილიც ხომ მსაჯი არ იყო, გამუდმებით რომ ეკამათებოდით?**

— პრეტენზია ყველას აქვს, კამათი კი მოედანს არ სცილდება. მე და გოგობერიშვილი მეგობრები ვართ, რამდენიმე წუთის შემდეგ გასახდელში უკვე ერთმანეთს ვეხუმრებოდით.

**— მსაჯებს რომ ტექნიკური ჯარიმები არ მოეშველებინათ, ხომ შეიძლებოდა, მოედანზე არსებული დაძაბული ატმოსფერო უფრო გამწვავებულიყო?**

— ისიც ხომ შეიძლება, დაუმსახურებელმა ტექნიკურმა ჯარიმამ კალათბურთელი მეტად გაალიზიანოს.

**— თქვენი აზრით, რატომ დატოვა მოედანი მეორე ტაიმის დამთავრებამდე 55 წამით ადრე ზაზა მაჩალაძემ?**

— ისიც ადამიანია და ნერვებმა უმტყუნა.

**— რომ არ დაბრუნებულიყო?**

— ბერეკაშვილს სრული უფლება ჰქონდა, მატჩი მარტოს დაესრულებინა.

**— თქვენ რომ მსაჯი ყოფილიყავით, როგორ მოიქცეოდით?**

— მე არასოდეს ვიმსაჯებ. არავითარ შემთხვევაში.

**— მწვრთნელობაზე რაღას იტყვით?**

— უკვე 22 წელია, კალათბურთში ვარ და მის გარეშე, ვატყობ, ცხოვრება გამიჭირდება. ჩემნაირი ემოციური კაცისთვის არც მწვრთნელობა უნდა იყოს იოლი საქმე, რადგან ძალიან მომთხოვნი ვარ, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვათა მიმართ.

**— „აზოტთან" შეხვედრაში თქვენი თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

— ფიზიკურ გამძლეობას არ ვუჩივი, მაგრამ, ალბათ, ავადმყოფობის ბრალი იყო, რომ ადრე დავიღალე.

**— „ვითამ" ზონური დაცვით შეძლო ფინალში „აზოტის" დამარცხება, ამჯერად კი პრესინგი გამოიყენეთ...**

— მაშინ „აზოტს" ჯაფარიძე ჰყავდა და ზონურ დაცვასაც ამიტომ მივმართავდით. ამჯერად პრესინგი უფრო გამართლებულად მივიჩნიეთ.

**— რადგან ექსვითელი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე „ბასკოშია", პირველი წრის დასკვნით ტურში „ბასკო" — „ვითას" შეხვედრა ფორმალობად ხომ არ იქცევა?**

— მე მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია: მართალია, ჯერაც დაუმარცხებელ ლიდერს ვხვდებით, მაგრამ ბათუმში წასაგებად ნამდვილად არ მივდივართ.

**როლანდ ლაგუჩიძე**

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 8 დეკემბერი

**A ჯგუფი**

შოლე 76:79 ცსკა
ბარსელონა 90:67 ცრვენა ზვეზდა
პაოკ 66:72 ბენეტონი

**B ჯგუფი**

ჟალგირისი 89:70 ალბა
რეალი 63:66 პანათინაიკოსი

**C ჯგუფი**

ოლიმპიაკოსი 79:68 პივოვარნა

**D ჯგუფი**

ფორტიტუდო 72:73 ბუდუჩნოსტი
პო ორტეზი 71:76 ეფესი

## საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 7-8 დეკემბერი

**A ჯგუფი**

შარლერუა (ბელგია) — აეკ (საბერძნეთი) 80:62, ჰონკა (ფინეთი) — ავტოდორი (რუსეთი) 81:76, ჩერნო მორე (ბულგარეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 55:83

*სატურნირო მდგომარეობა: აეკ 17 ქულა, შარლერუა 14, ჰაპოელი 14, ჩერნო მორე 13, ჰონკა 12, ავტოდორი 11*

**B ჯგუფი**

აქილეასი (კვიპროსი) — არსენალი (რუსეთი) 84:74, დელტა (ესტონეთი) — ზადარი (ხორვატია) 61:86, სავინსკი (სლოვენია) — პამესა (ესპანეთი) 81:74

*სატურნირო მდგომარეობა: პამესა 17 ქულა, ზადარი 16, აქილეასი 13, არსენალი 13, სავინსკი 12, დელტა 10*

**C ჯგუფი**

ალბაკომპი (უნგრეთი) — შალონ-საონი (საფრანგეთი) 73:76, აპოელი (კვიპროსი) — ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) 37:68, რიკო (ჰოლანდია) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი) 66:57

*სატურნირო მდგომარეობა: ლიეტუვოს რიტასი 16 ქულა, შალონ-საონი 15, ალბაკომპი 14, მაკაბი 14, რიკო 13, აპოელი 9*

**D ჯგუფი**

რაბოტნიჩკი (მაკედონია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 57:70, ილიაბუმი (პორტუგალია) — ტაუ (ესპანეთი) 68:99, ბოსნა (ბოსნია) — პეკაესი (პოლონეთი) 66:78

*სატურნირო მდგომარეობა: პარი სენ ჟერმენი 17 ქულა, პეკაესი 16, ტაუ 16, ბოსნა 13, ილიაბუმი 10, რაბოტნიჩკი 9*

**E ჯგუფი**

სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ტელეკომი (გერმანია) 69:76, სენტ პიოლტენი (ავსტრია) — ირაკლისი (საბერძნეთი) 75:90, პორტუ (პორტუგალია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 69:66

*სატურნირო მდგომარეობა: ირაკლისი 17, პარტიზანი 14, სლოვაკოფარმა 14, პორტუ 14, ტელეკომი 13, სენტ პიოლტენი 9*

**F ჯგუფი**

მატავი (უნგრეთი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 57:61, ნორჩიოპინგი (შვედეთი) — კინდერი (იტალია) 77:102, ვენტსპილსი (ლატვია) — ცეპტერი (პოლონეთი) 70:63

*სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 18 ქულა, ცეპტერი 15, ნორჩიოპინგი 13, ვენტსპილსი 13, ფენერბაჰჩე 12, მატავი 10*

**G ჯგუფი**

ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — დარუშაფაკა (თურქეთი) 75:73, ოკაპი (ბელგია) — ადეკო (იტალია) 68:74, პლანია (შვედეთი) — სპლიტი (ხორვატია) 89:63

*სატურნირო მდგომარეობა: დარუშაფაკა 16 ქულა, პლანია 14, სპლიტი 14, ადეკო 13, ოკაპი 12, ლონდონ თაუერზი 12*

**H ჯგუფი**

კრკა (სლოვენია) — საკალაი (ლიტვა) 95:62, ტატამი (გერმანია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 73:70, ტოპო (ფინეთი) — რადნიჩკი (იუგოსლავია) 73:72

*სატურნირო მდგომარეობა: კრკა 15, ტატამი 15, საკალაი 15, რადნიჩკი 13, ტოპო 12, მლეკარნა 11*

*X ტური გაიმართება 14-15 დეკემბერს*



AFP

ალბაკომპი — შალონ-საონი 73:76. სტეფან ოსტროვსკი (№9) მასპინძელ ჩედვიკ მაკლედონს გაურბის

რეგულარული ჩემპიონატი

# ნუ შეაკვდებით დანკანს!

7 დეკემბერი

**ლეიკერსი 91:80 ვაშინგტონი**

ლეიკერსი: ონილი (30 ქულა, 16 მოხსნა, 7 დაფარება), ბრაიანტი (21)
ვაშინგტონი: რიჩმონდი (23), სტრიკლენდი (21 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)

**პორტლენდი 76:86 მაიამი**

პორტლენდი: ენტონი (19)
მაიამი: მურნინგი (17 ქულა, 6 დაფარება)

**ფინიქსი 110:107 ორლანდო**

ფინიქსი: კიდი (29 ქულა, 11 პასი), დეი (19)
ორლანდო: არმსტრონგი (16)

**დალასი 95:104 ვანკუვერი**

დალასი: ნოვიცკი (31), სებალოსი (23 ქულა, 12 მოხსნა)
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (26 ქულა, 15 მოხსნა), დიკერსონი (21)

**მილუოკი 112:116 დეტროიტი**

მილუოკი: რობინსონი (30), ალენი (21), კასელი (17 ქულა, 12 პასი)
დეტროიტი: ჰილი (31 ქულა, 12 პასი), სტეკჰაუზი (26)

**ინდიანა 83:77 სან ანტონიო**

ინდიანა: მილერი (23), სმიტსი (18)
სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 12 მოხსნა)

**ტორონტო 101:98 კლივლენდი**

ტორონტო: კარტერი (32)
კლივლენდი: ნაითი (20 ქულა, 11 პასი)




REUTERS

ინდიანა — სან ანტონიო. ინდიანელი რიკ სმიტსი (№45) წინ აღუდგა დევიდ რობინსონის ნახევარკაუჭს

7 დეკემბერი მაინცდამაინც კარგი დღე ვერ გამოდგა დასავლელი გრანდებისათვის, კერძოდ, „სან ანტონიოსთვის“ და „პორტლენდისათვის“. დასავლეთის კონფერენციის ორივე დივიზიონების ლიდერებმა აღმოსავლელ მძლავრებთან ჩააფლავეს შეხვედრები და მორიგ მარცხს გამოჰკრეს ხელი.

ჩემპიონი „სან ანტონიო სფურზი“ ინდიანაპოლისში იქაურ „ინდიანა პეისერზს“ სტუმრობდა. ლარი ბერდის ბიჭებმა ოქროსმედალოსნების წინააღმდეგ სხვა გუნდების მიერ ნაცადი ხერხით ბრძოლას მიმართეს და ამან მშვენივრად გაამართლა. ლარი ბერდმა შეგირდები დაარიგა, დანკანს ნუ შეაკვდებით, დანარჩენები საიმედოდ ამოკეტეთ და მას მერე მიხედეთო. ინდიანელმა „მარდებმაც“ ზედმიწევნით შეასრულეს მწვრთნელის ნათქვამი და შედეგიც მოიმკეს. ეს საკმაოდ სწორი მიდგომაა, რადგან დანკანი რაც არ უნდა ჩაკეტო, იგი დაახლოებით ოც ქულას მაინც გააზერხებს და როდესაც მეტოქე გუნდის მთელი ყურადღება მისკენაა მიპყრობილი, ტიმის თანაგუნდელები ხალვათად გრძნობენ თავს, ბურთებსაც ბლომად ჰყრიან. ამ შემთხვევაში კარგად გამოჩნდა, რომ „სან ანტონიოს“ დანკანის და რობინსონის გარდა ბურთის ხეირიანი ჩამგდები არავინ ჰყავს. კარგად შებერებულ რობინსონს კი ლიგაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კაცი, ჰოლანდიელი რიკ სმიტსი დაუდგა. მის კლანჭებში მოქცეულმა რობინსონმა 12 სროლიდან მხოლოდ სამი ჩააგდო და სულ ექვს ქულას დასჯერდა. მართალია, „სფურზის“ ბებერმა ცენტრმა ფარზე იყოჩაღა და 27 ბურთი მოხსნა, მაგრამ, ცხადია, მარტო მოხსნებით ფონს ვერ გახვალ, თუ ფარზე მოპოვებულ ბურთს კალათში არ მიუჩენ ადგილს. ამას კი მასპინძლები უკეთ ახერხებდნენ იმ დღეს.

ასე რომ, იმთავითვე გამოიკვეთა „პეისერზის“ მცირე უპირატესობაა, მაგრამ მთლიანობაში თამაში მაინც თანაბარი იყო. მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე „ინდიანა“ 72:64 იგებდა, როცა დანკანი აფეთქდა და თავის გუნდს ერთი მონაკვეთი 11:4 მოაგებინა. მისი „სან ანტონიო“ მეორე ნახევარში პირველად გავიდა წინ, მაგრამ სტუმრებმა დარჩენილ დროში ერთ ქულაზე მეტი ვერ გააზერხეს. მასპინძელთაგან კი რეჯი მილერმა გაიბრწყინა, რომელმაც ბოლო მეოთხედში 12 ქულას მოუყარა თავი. სწორედ მისმა თავგამოდებამ გადაწყვიტა მატჩის ბედი.

მარცხი იწვნია მეორე ბობოლამ, „პორტლენდმა“, რომელსაც ამ შეხვედრამდე მოგება-წაგებების ბალანსი ყველაზე უკეთესი ჰქონდა მთელს ლიგაში, ახლა კი ორ გუნდს ჩამორჩება. მასაც აღმოსავლელმა გრანდმა აგემა დამარცხების სიმწარე, თან პორტლენდურ იატაკზე, 20 317 გულშემატკივრის თვალწინ. მართალია, მასპინძლებს მუხლნატკენი გამთამაშებელი დეიმონ სტუდემაიერი აკლდათ, მაგრამ მის გარეშეც უფრო სოლიდური შემადგენლობა ჰყავს „ბლეიზერს“, ვიდრე „მაიამის“. თან ამ უკანასკნელსაც არ ჰყავდა ერთ-ერთი ლიდერი, ასევე გამთამაშებელი ტიმ ჰარდევეი. თუ მოედნის ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება, რომ იმ შეხვედრაში ფავორიტად „პორტლენდი“ მიიჩნეოდა, მაგრამ მან ვერ შეძლო ისე თამაში, როგორც შეეფერებოდა, უფრო ზუსტად, ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვის გუნდმა არ მისცა ამის საშუალება. აშკარად ჩააგდო შეხვედრა ახალწვეულთა ტრიომ — პიპენმა, სმიტმა და შრემპფმა. მათ ანგარიშზე მხოლოდ 17 ქულაა და ისიც პიპენსა და სმიტს შორის გადანაწილდა. შრემპფმა კი მოედანზე გატარებულ 27 წუთში ქულა რაა, ისიც ვერ მოუტანა თავის გუნდს, რომელიც ამაოდ აწყდებოდა „მაიამის“ დაცვის კედელს. უკვე პირველ ნახევარში ჩამორჩა „პორტლენდი“ მეტოქეს რამდენიმე ქულით და ველარც შეძლო დაწევა. სტუმრები კი დიდი თავგამოდების გარეშე აკეთებდნენ თავის საქმეს, დამსახურებულადაც იმარჯვეს და კიდევ უფრო განიმტკიცეს პირველობა როგორც ატლანტიკის დივიზიონში, ასევე მთელ აღმოსავლეთ კონფერენციაში. მათმა მწვრთნელმა, ღვაწლმოსილმა პატ რაილიმ, ბიჭები შეაქო და არც ძლეული მეტოქე დაივიწყა — „პორტლენდი“ დიდი გუნდია და როცა მის წინააღმდეგ თამაშობ, მთელი შენი ცოდნა და ჯიგარი უნდა ჩადო თამაშში, თორემ აუცილებლად დაისჯებიო.

კიდევ ერთ დასავლურ გრანდს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ უწევდა აღმოსავლელთან დაჯახება, მაგრამ „პორტლენდისა“ და „სან ანტონიოსგან“ განსხვავებით ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი, რადგან „ვაშინგტონი“, მიუხედავად მძლავრი შემადგენლობისა, ახლა ერთი მაჩანჩალა გუნდია და არც პრეტენზიები აქვს ისეთი, „ლეიკერსს“ სტუმრად რაიმე შეჰკადროს. მასპინძელთაგან საუკეთესო, რაღა თქმა უნდა, გიგანტი შაკილ ონილი იყო, რომელიც ახლა ბრწყინვალე ფორმაშია და ჯერჯერობით ამ სეზონის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე გახლავთ. ონილის მხარდამხარ გაინავარდა კობი ბრაიანტმა, რომელსაც ტრავმა ახლახან მოუშუშდა, თუმც ამას 21 წლის სუპერვარსკვლავისთვის ხელი არ შეუშლია, 21 ქულა ჩაეგდო დედაქალაქელებისთვის.

დასავლეთისგან განსხვავებით, აღმოსავლეთი სულაც არაა სუპერკლუბებით გადატვირთული. აქ უამრავი საშუალო გუნდია, და პლეი ოფის რვა საგზურისთვის ალბათ სულ მცირე, 12 გუნდი განაცხადებს პრეტენზიას. მათ შორის არიან „დეტროიტიც“ და „მილუოკიც“. ამიტომ ამ გუნდებმა მილუოკიში დიდი ბრძოლა გამართეს. თვალს იტაცებდა ორი ფრთის — დეტროიტელი გრანტ ჰილისა და მილუოკელი გლენ რობინსონის შერკინება. საბოლოოდ ორივემ უწია 30 ქულას. ჰილმა ეს ბოლო ხუთ თამაშში მეოთხედ შეძლო, მატჩის ბედი კი მაინც სხვამ გადაწყვიტა. სტუმართა მსროლელმა ჯერი სტეკჰაუზმა ბოლო წუთში, როცა ანგარიში 112:112 იყო, ჯერ ორი ჯარიმა ჩააგდო, მერე ტრიალშიც მოათავსა ბურთი კალათში და მასპინძლებს მოგების იმედი გადაუწურა.

მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში ფინალში გააღწია, „ნიუ იორკის“ ადგილი მაინც საშუალო გუნდების მარაქაშია. „ნიქსს“, რომელსაც არა ჰყავს ბოლო ათი წლის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე პატრიკ იუინგი, უძნელდება გამარჯვებების დიდი რაოდენობით მოგროვება. ვიცე-ჩემპიონს თვით „გოლდენ სტეიტთანაც“ გაუჭირდა, რომელსაც აგერ უკვე ათი თამაშია, არ გაუმარჯვია. თავდაპირველად ყველაფერი კარგად წარიმართა „ნიქსისთვის“. მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, „გოლდენ სტეიტიდან“ მწვრთნელის ფი ჯეი კარლესიმოს ცემისთვის გამოგდებულმა ლატრელ სპრიუელმა, თავის ყოფილ გუნდს პირველ ნახევარში 21 ქულა ჩაუგდო და თავისიანები 11 ქულით დააწინაურა, მაგრამ მეორე ნახევარში სპრიუელს მიზანი აერია და მის გუნდსაც გაუჭირდა, თუმც საბოლოოდ მაინც იმარჯვა.

ირაკლი ფირაშვილი


REUTERS სიდნეიდან

# გოლფის ბუმი

სპორტში, გამორჩევით კი ისეთში, სისწრაფე და ღონე რომ მთავარი საქმე არ არის, მოყვარულსა და პროფესიონალს შორის ზღვარი, ძნელი საძებარია. სიდნეის გოლფ კლუბის ერთ-ერთ კუთხეში მზის ამოსვლას ეგებება მოყვარული მეგოლფე პემიშ ტრილევენი. წინა კვირაში, მან და კიდევ ერთმა მოყვარულმა ყვანჯოსანმა პროფესიონალთა იმგვარი ტურნირი მოიგეს, რომ მთელი ავსტრალია აალაპარაკეს. საერთოდ კი, ამ ქვეყანაში გოლფის ნამდვილი ბუმია. გოლფ კლუბთა წევრების რაოდენობა ნახევარი მილიონია. უკლუბოდ კი კიდევ რვაასი ათასი ადამიანი დააგორებს პატარა ბურთს მწვანე მინდორზე. მინდორი კი ავსტრალიაში იმდენია...



REUTERS კანბერადან

# ავსტრალიის გადამრბენი


REUTERS კანბერადან

რა ხალხია ეს ავსტრალიელები! არ არის მეორე სპორტის ამგვარად მოყვარული ხალხი დედამიწის ზურგზე. გაგიგონიათ ულტრა მარათონი? 14,500 კილომეტრი მწვანე კონტინენტის გარშემო, რაც ჯამში სამასორმოცდასამ კლასიკურ მარათონს უდრის. ამგვარი სიგრძის დისტანცია და ექვსი შტატი და ორი ტერიტორია გაირბინა ექვსთვენახევარში პეტ ფარმერმა. ამ უკანასკნელმა თანამემამულე რონ გრანტის 16 წლის წინანდელი რეკორდი დაამხო, რა თქმა უნდა, სიგრძის ამბავში. და რა გასაკვირია, რომ პეტმა კანბერაში, პარლამენტის წინ მოწყობილი საფინიშო ადგილი ამაყმა და ბედნიერმა გადაკვეთა. მარშრუტი კი ავსტრალიის რუკაზეა, რომელსაც გმირი მარათონელი და მისი ქალიშვილი ერთად გააყოლებენ თითს.

# წაგებისათვის გვემულნი

იორდანიის სპორტის მინისტრი საიდ შუქუმი ამანის საფეხბურთო კლუბის, „ალ ვიდატის“ დაშავებულ ფეხბურთელთა, ანას ქემალისა და მაჰმუდ შელბაის სანახავად მისულა ხალედის ჰოსპიტალში — ფეხბურთელთა დაშავების მიზეზი სათამაშო ტრავმა არ ყოფილა. მაგანი, ჯერაც ამოუცნობი ხულიგნები დახვედრიან და ჩაუწიხლავთ, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული როგორ ვერ შეინარჩუნეთო. არადა „ალ ვიდატი“ აქამდე ზედიზედ ოთხჯერ გამხდარიყო იორდანიის ოქროს თასის მფლობელი და უპირველესი გუნდი.


REUTERS ამანიდან

# კვლავ ბუკინგემში

ბუკინგემის სასახლეში სპორტსმენთა დაჯილდოებას მოუხშირეს. განთქმული მძლეოსანი ივან ტომასი ბრიტანეთის იმპერიის ჯილდოს წარმოგვიდგენს. ახლახან ნაოპერაციევ ტომასისთვის დედოფალ ელისაბედ II-ეს მძლეოსნებთან სავანგებო შეხვედრისას გადაუცია ეს საპატიო ორდენი.


REUTERS ლონდონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli